მოსაზრებები სირიის არაბული რესპუბლიკიდან გამოქცეულ ადამიანთა დაცვის შესახებ

მეოთხე განახლებული გამოცემა

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (UNHCR)
2015 წლის ნოემბერი
HCR/PC/SYR/01

შინაარსი

შესავალი 3

კონფლიქტი და უსაფრთხოების მდგომარეობა 3

სამოქალაქო მსხვერპლი 8

იძულებითი გადაადგილება 9

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები 14

კონფლიქტისა და ძალადობის ზემოქმედება სამოქალაქო მოსახლეობაზე სირიაში 20

ჰუმანიტარული მდგომარეობა 35

ტერიტორიაზე დაშვება და თავშესაფრის უფლება 40

თავშესაფრის სამოქალაქო და ჰუმანიტარული ხასიათი 43

თავშესაფრის მოთხოვნის ინდივიდუალური განაცხადების შეფასება 43

რისკის მახასიათებლები 45

გამორიცხვის ასპექტები 47

დაბრუნება, მორატორიუმი იძულებით დაბრუნებაზე და Sur Place განაცხადების განხილვა ... 48

სოლიდარობა და პასუხისმგებლობის განაწილება 49

შესავალი

1. ეს არის განახლებული დოკუმენტი და იგი ანაცვლებს UNHCR-ის 2014 წლის[1] ოქტომბრის მესამე განახლებულ გამოცემას დოკუმენტისა 'მოსაზრებები სირიის არაბული რესპუბლიკიდან გამოქცეულ ადამიანთა დაცვის შესახებ'. ეს დოკუმენტი ეფუძნება 2015 წლის 15 ნოემბრისთვის არსებულ ინფორმაციას, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, და მისი განახლება მოხდება სირიაში სიტუაციის განვითარების შესაბამისად. სირიიდან გამოქცეულ სამოქალაქო პირთა საერთაშორისო დაცვის საჭიროებასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება უნდა დაეფუძნოს განახლებულ ინფორმაციას ქვეყანაში არსებული უსაფრთხოების, ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სიტუაციის შესახებ.

კონფლიქტი და უსაფრთხოების მდგომარეობა

2. ძალადობრივი დაპირისპირება სირიის თითქმის ყველა კუთხეში მძვინვარებს, რომელიც სხვადასხვა სუბიექტებს შორის მიმდინარეობს ნაწილობრივ ურთიერთგადამფარავი კონფლიქტების სახით, ხოლო მასში მონაწილე რეგიონულ თუ საერთაშორისო აქტორთა რაოდენობა სულ უფრო იზრდება.[2] ქვეყანა სერიოზულად არის დანაწევრებული, რადგან მის სხვადასხვა კუთხეს კონფლიქტის სხვადასხვა მხარე აკონტროლებს და ზეგავლენით სარგებლობს, მათ შორის, სირიის სამხედრო ძალები,[3]

---

[1] ეს დოკუმენტი ანაცვლებს UNHCRის დოკუმენტს "მოსაზრებები სირიის არაბული რესპუბლიკიდან გამოქცეულ ადამიანთა დაცვის შესახებ", *III* განახლებული გამოცემა, 2014 წლის 27 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/544e446d4.html.

[2] "The Guardian", "ვინ ვის უჭერს მხარს სირიის კონფლიქტში", 2015 წლის 9 ოქტომბერი, http://bit.ly/1P3bePb; "BBC", სირიის კრიზისი: *სად ძევს კონტროლის გასაღები*, 2015 წლის 2 ოქტომბერი, http://bbc.in/1HGuoIn; საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი (ICG), საჰაერო მოიერიშეთა კოალიციის პრობლემა სირიაში, 2015 წლის 15 სექტემბერი, http://bit.ly/1LvjdnS. იხ. აგრეთვე, *კარნეგის წვლილი საერთაშორისო მშვიდობის დამყარებაში, რას ბომბავს რუსეთი სირიაში?* 2015 წლის 2 ოქტომბერი, http://ceip.org/1iRdknP; "The Guardian", საფრანგეთი იწყებს პირველ საჰაერო იერიშებს *ISIS*-ის წინააღმდეგ სირიაში, 2015 წლის 27 სექტემბერი, http://bit.ly/1MRtWJg; "The Guardian", აშშ სამხედრო თვითმფრინავები იწყებენ პირველ საჰაერო შეტევებს *ISIS -ის წინააღმდეგ სირიაში,* 2015 წლის 12 აგვისტო, http://bit.ly/1Eog4xA.

[3] ტერმინი "სამთავრობო ძალები", თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოიცავს, სირიის შეიარაღებულ ძალებს და უსაფრთხოებისა და დაზვერვის სააგენტოებს, ასევე, მთავრობის მხარდამჭერ შეიარაღებულ ჯგუფებს, მათ შორის, ეროვნული თავდაცვის ძალებს (NDF), სახალხო კომიტეტებს და "შაბიჰას" (ეს ტერმინი ხშირად არაფორმალურად გამოიყენება, როგორც ქოლგა-ტერმინი "პროსამთავროო" ძალების აღსანიშნად), ასევე, უცხოურ პროსამთავრობო ჯგუფებს, როგორიცაა, ჰეზბოლა, ერაყი და სხვა შიიტური მილიცია. იხ. აგრეთვე გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 13 აგვისტო, A/HRC/30/48, http://www.refworld.org/docid/55e955344.html (შემდგომში: გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო), FN 3

‘ერაყისა და ალ-შაიმის ისლამური სახელმწიფოს’ ჯგუფი (შემდგომში, ISIS),[4] ანტისახელმწიფო შეიარაღებული ჯგუფები,[5] და ქურთთა ძალები[6] (სახალხო დაცვის ნაწილები, YPG).[7] ვინაიდან სირიაში კონფლიქტის დასრულებისკენ მიმართულმა საერთაშორისო ძალისხმევამ ჯერ კიდევ უნდა მოიტანოს შედეგები,[8] კონფლიქტი კვლავ

---

[4] “ერაყისა და ალ-შამის ისლამური სახელმწიფო” (ISIS) (არაბულად: *Ad-Dawlah Al-ʾIslāmiyyah fi Al Iraq wa Al-Sham*), ცნობილია ასევე შემდეგი სახელწოდებით “ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო” (ISIL) და თავი გამოაცხადა “ისლამურ რესპუბლიკად” (IS). გაეროს უშიშროების საბჭოს (UNSC) პოზიცია ISIS-ის, ჯაბჰატ-ალ ნუსრას (JAN) და სხვა ჯგუფებისა და ინდივიდების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ალ-ქაიდასთან, იხ. UNSC, *უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 2161 (2014) [on Threats to International Peace and Security Caused by Terrorist Acts by Al-Qaida]*, 2014 წლის 17 ივნისი, S/RES/2161 (2014), http://www.refworld.org/docid/53aaa1af4.html და UNSC, *უშიშროების საბჭოს რეზოლუცია* 2014, S/RES/2170 (2014), http://www.refworld.org/docid/53f729b84.html

[5] ტერმინი ‘‘ანტი-სამთავრობო შეიარაღებული ჯგუფები’’ ნიშნავს არასახელმწიფო შეიარაღებულ ჯგუფებს და ალიანსებს, რომელთა უპირველესი მიზანია სირიის მთავრობის ჩამოგდება ძალადობრივი გზით. მათ შორის არიან, *inter alia*, კონკესტთა ჯართან დაკავშირებული ჯგუფები (არაბულად: *Jaish Al-Fatah*), რომელიც 2015 წლის მარტში შეიქმნა. იგი ძირითადად აქტიურია სირიის ჩრდილო-დასავლეთში (იდლიბის, ჰამას და ლატაკიას გუბერნიები) და მასში დომინირებს ალ-ქაიდასთან დაკავშირებული JAN და Ahrar Al-Sham. სხვა ალიანსთა შორის არის ე.წ. სამხრეთის ფრონტი, სირიის თავისუფალი არმიის (FSA) დივიზიები, რომლებიც აქტიურად მოქმედებენ სამხრეთში (დერას და ქუნეიტას გუბერნიები); იხ., მაგ. Al Jazeeraს კვლევითი ცენტრი, *Mapping Southern Syria’’s Armed Opposition*, 2015 წლის 13 ოქტომბერი, http://bit.ly/1N0qdYX; ომის კვლევების ინსტიტუტი (ISW), სირიის ოპოზიციის სახელმძღვანელო, 2015 წლის 7 ოქტომბერი, https://shar.es/15e853; ჯეიმსთაუნის ფონდი, “The Rise of Jaysh al-Fateh in Northern Syria”, *ტერორიზმის მონიტორინგი*, ტ. 13, გამოცემა 12, 2015 წლის 12 ივნისი, http://bit.ly/1M6PNqe

[6] YPG არის დემოკრატიული კავშირის პარტიის (PYD) შეიარაღებული ფრთა. YPG-ს ასევე ჰყავს ქალთა ნაწილები, რომელსაც დაცვის ქალთა ნაწილებს ეძახიან (YPJ). 2012 წლის ივლისში ქურთთა უმეტესი ქალაქებიდან, დაბებიდან და სოფლებიდან სამთავრობო შეიარაღებული და უშიშროების ძალების გასვლის შემდეგ, PYD და YPG, ინფორმაციის თანახმად, *დე ფაქტო* კონტროლს ახორციელებს ქურთთა უმრავლესობის სამ ანკლავზე ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში. იხ. მაგ., სტრატფორი, have reportedly established *de facto* control over three Kurdish-majority enclaves in northern and north-eastern Syria. *The Fragile Gains of Syria's Kurds*,2015 წლის 31 ივლისი, http://bit.ly/1M2XORk; “ტელეგრაფი”, ვინ არიან ქურთები? *A User's Guide to Kurdish Politics*,2015 წლის 5 ივლისი, http://bit.ly/1exTYSF; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 5 თებერვალი, A/HRC/28/69, http://www.refworld.org/docid/54e74b777.html (შემდგომში: გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 5 თებერვალი), პარ. 40

[7] “ნიუ-იორკ ტაიმსი”, *Untangling the Overlapping Conflicts in the Syrian War*, 2015 წლის 18 ოქტომბერი, http://nyti.ms/1LDreW2

[8] 2015 წლის 14 ნოემბერს, ვენის მოლაპარაკებათა ბოლო რაუნდზე, აშშ-მ, რუსეთმა, გაერთიანებულმა სამეფომ, საფრანგეთმა, ირანმა და საუდის არაბეთმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომელიც მხარს უჭერს სირიის მთავრობასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებების დაწყებას 2016 წლის 1 იანვარს, რომლის მიზანიც არის ქვეყნის მასშტაბით ცეცხლის შეწყვეტა 2016 წლის 14 მაისისთვის. სირიის მხარდამჭერი საერთაშორისო ჯგუფის (ISSG) 19 მონაწილემ მანდატი მიანიჭა იორდანიას, შეადგინოს ოპოზიციური ჯგუფების სია, რომლებმაც შეიძლება მონაწილეობა მიიღონ სამშვიდობო მოლაპარაკებებში. გაეროს უშიშროების საბჭომ ტერორისტულ ჯგუფებში ჩაწერა ISIS და JAN, რომლებიც უნდა გამოირიცხონ მოლაპარაკებებიდან და ისინი შეიძლება კვლავ დარჩნენ სამხედრო შეტაკებათა პოტენციური სამიზნეები ცეცხლის შეწყვეტის ძალაში შესვლის შემდეგაც. სირიის კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შორის მოლაპარაკებების მიზანი არის სირიაში “საიმედო, ინკლუზიური და არასექტური” გარდამავალი მთავრობის ჩამოყალიბება, რომელიც შეიმუშავებს ახალი კონსტიტუციის ჩამოყალიბების გრაფიკს და ჩაატარებს თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს 18 თვის განმავლობაში,

მძვინვარებს, რაც გამანადგურებლად მოქმედებს სირიის მოსახლეობაზე და იწვევს, მათ შორის, სამოქალაქო მოსახლეობის დაღუპვას,[9] ფართომასშტაბურ გადაადგილებას ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ,[10] და უპრეცედენტო ჰუმანიტარულ კრიზისს.[11] ზოგ ტერიტორიაზე მოხერხდა ცეცხლის შეწყვეტის მყიფე შეთანხმების მიღწევა მთავრობასა და ანტისამთავრობო ძალებს შორის, რასაც მოჰყვა ბრძოლების დროებითი დეესკალაცია ადგილობრივ დონეზე.[12]

3. ამ მასალის მომზადების დროს სირიის სამხედრო ძალები კვლავ ახორციელებენ სრულ ან ნაწილობრივ კონტროლს პროვინციათა უმეტეს დედაქალაქებში (რაქასა და იდიბის გარდა), დედაქალაქ დამასკოს ჩათვლით, ასევე, ლატაკიას სანაპირო ზოლზე და

გაეროს ზედამხედველობით. გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრებმა დახმარება აღუქვეს მისიას, რომელსაც გაეროს რეზოლუციით მიენიჭა მანდატი, და რომლის მიზანიც არის ცეცხლის შეწყვეტისა და პოლიტიკური გარდამავალი პერიოდის მონიტორინგი. გარდა ამისა, მხარეთა მიერ მის დაცვაზე პასუხისმგებლები იქნებიან ქვეყნები, რომლებიც თითოეულ მხარეს უწევს სპონსორობას. გაეროს სპეციალური წარმომადგენელი სირიაში, სტაფან დე მისტურა, სირიის ახალი მთავრობისთვის 18 თვიანი ვადის დაწესებას, "პრობლემურს, მაგრამ შესაძლებელს" უწოდებს; გაეროს ახალი ამბების ცენტრი, *'Rare Moment of Diplomatic Opportunity to End Conflict in Syria,' Says Ban as Talks in Vienna Reconvened*, 2015 წლის 14 ნოემბერი, http://bit.ly/1Ycaf1k; გაეროს გენერალური მდივანი პან-გი მუნი, ინფორმაცია კორესპონდენტებისთვის: სირიის საერთაშორისო მხარდამჭერი ჯგუფი, 2015 წლის 14 ნოემბერი, http://www.un.org/sg/offthecuff/index.asp?nid=4259; "The Guardian", *Paris Attacks Galvanise International Efforts to End Syria War*, 2015 წლის 15 ნოემბერი, http://gu.com/p/4e89n/stw.

[9] იხ. ქვემოთ. პარ. 7: "სამოქალაქო მსხვერპლი"

[10] იხ. ქვემოთ, პარ. 8-11, "იძულებითი გადაადგილება"

[11] იხ. ქვემოთ, პარ. 27-30, "ჰუმანიტარული სიტუაცია"

[12]2015 წლის სექტემბრის ბოლოს, ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფებისა და მთავრობის წარმომადგენლები, სირიაში გაეროს სპეციალური წარმომადგენლის ოფისის მხარდაჭერით, ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ, რომელშიც ძირითადად მონაწილეობდნენ იდლიბის გუბერნიის ალ-ფუაჰისა და ალ-კაფრაიას შიიტური ქალაქების წარმომადგენლები და ოპოზიციის მიერ კონტროლირებული ზაბადანისა და მადაიას წარმომადგენლები (ლიბანის საზღვართან, დამასკოს სასოფლო რეგიონი). ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შედეგად შესაძლებელი გახდა ჰუმანიტარული დახმარების შეტანა 2015 წლის 18 ოქტომბერს: UNSC, *გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014) და 2191 (2014)*, 2015 წლის 22 ოქტომბრის S/2015/813 რეზოლუციების შესრულების შესახებ, http://www.refworld.org/docid/562dd5a54.html (შემდგომში: *გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014) და 2191 (2014)*, 2015 წლის 22 ოქტომბრის S/2015/813 რეზოლუციების შესახებ), პარ. 7, 8, 22, 55. იხ. აგრეთვე, გაეროს ახალი ამბების ცენტრი, *Syrians Living "Tragedy and Despair Barely Imaginable Five Years Ago," Says Top UN Relief Official*, 2015 წლის 27 ოქტომბერი 27, http://bit.ly/1LZiQg5 (შემდგომში: გაეროს ახალი ამბების ცენტრი, *Syrians Living "Tragedy and Despair Barely Imaginable Five Years Ago," Says Top UN Relief Official*, 2015 წლის 27 ოქტომბერი 27); გაეროს ახალი ამბების ცენტრი, *UN and Partners Deliver Critical Relief Supplies to Besieged Areas of Syria*, 2015 წლის 19 ოქტომბერი, http://bit.ly/1L5PhI8; "International Business TimesInternational Business Times" *Syria Ceasefire: Hezbollah, Syrian Opposition Agree to Truce in Zabadani, Idlib*, 2015 წლის 28 სექტემბერი, http://bit.ly/1GwL1X0. ცეცხლის შეწყვეტის ადგილობრივი შეთანხმებების შესახებ იხ. UNSC, *გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014) და 2191 (2014)*, 2015 წლის 22 ოქტომბრის S/2015/813 რეზოლუციების შესრულების შესახებ, პარ. 22-23; "Reuters"Reuters", *U.N. Sees Chance for Local Ceasefires in Syria, Political Talks*, 2015 წლის 15 ოქტომბერი, http://reut.rs/1ZFmANd; ღია დემოკრატია, სირიაში ადგილობრივი ცეცხლის შეწყვეტის მიღწევა, 2014 წლის 15 დეკემბერი, https://shar.es/15mqzI; Madani, *Hungry for Peace: Positives and Pitfalls of Local Truces and Ceasefires in Syria*, 2014 წლის ოქტომბერი, http://www.lse.ac.uk/newsAndMedia/PDF/Syriareport.pdf

ტარტუს გუბერნიაში.[13] თუმცა, ბოლო წელს განვითარებული კურსის შედეგად, როგორც აცხადებენ, სირიის შეიარაღებულმა ძალებმა მრავალ გუბერნიაში დაკარგეს სტრატეგიული ადგილები და სამხედრო პოზიციები, მათ შორის, აღმოსავლეთ ჰომსში, იბდიბში და დერაში, რაც გამოიწვია ცოცხალი ძალის ნაკლებობამ და არასახელმწიფო შეიარაღებული დაჯგუფებების მზარდმა სამხედრო ზეწოლამ.[14] არსებული ინფორმაციის თანახმად, ბოლო პერიოდში, უცხოელი მოკავშირეების მზარდი მხარდაჭერით, სამთავრობო ძალებმა, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების მიზნით, სერიოზული სამხედრო შეტევები წამოიწყეს რამდენიმე ფრონტზე, ალეპოს, ჰამასა და ლატაკიას გუბერნიების ჩათვლით.[15]

4. ISIS-მა მოახდინა მისი პოზიციის გამაგრება ჩრდილოეთი და ცენტრალური სირიის ტერიტორიის გასწვრივ (ასევე, ვრცელ ტერიტორიაზე მეზობელ ერაყში), აღმოსავლეთი ალეპოს გარეუბნიების, რაქას, დეირ ეზ-ზურის და სამხრეთი ჰასაკეჰის გუბერნიების ჩათვლით, მიუხედავად დიდი დანაკარგებისა, რომელიც YPG-მ ჩრდილო-დასავლეთ სირიაში განიცადა, თურქეთის საზღვრის გასწვრივ.[16] ამავდროულად, ISIS-მა გააფართოვა მის კონტროლსა და გავლენას დაქვემდებარებული ტერიტორიები, განსაკუთრებით, სირიის ცენტრალურ ნაწილში, ჰომსის გუბერნიის აღმოსავლეთში (სადაც მან დაიკავა ქალაქები პალმირა და ქარიათენი, 2015 წლის 21 მაისსა და 6 აგვისტოს, შესაბამისად), ასევე, სამხრეთის ტერიტორიებზე, დერაას და სუვეიდას გუბერნიების ტერიტორიების ჩათვლით.[17]

5. ანტისამთავრობო შეირაღებული ჯგუფები - რომლებსაც სხვადასხვა იდეოლოგიური და პოლიტიკური საფუძველი აქვთ და ალიანსების ცვალებადობით გამოირჩევიან - ძირითადად მოქმედებენ დერაას და ქუნეიტრას გუბერნიების სამხრეთ ტერიტორიებზე, დამასკოს სოფლებში, ჰომსის გუბერნიის ჩრდილოეთ ნაწილში, ლაკატიას და იბდიდის

---

[13] ISW, ტერიტორიის კონტროლი სირიაში, 2015 წლის 14 სექტემბერი, http://bit.ly/1P0xtEk

[14] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 10-11. იხ. აგრეთვე, IHS Jane's Intelligence Review, *Syrian Government no Longer Controls 83% of the Country*, 2015 წლის 23 აგვისტო, http://bit.ly/1h8Vj3s; "BBC", *Syria: President Assad Admits Army Strained by War*, 2015 წლის 26 ივლისი, http://bbc.in/1LwtGw8; "The Guardian", *String of Losses in Syria Leaves Assad Regime Increasingly Precarious*, 2015 წლის 11 ივნისი, http://bit.ly/1L3nQnz; CEIP, *ასადი აგებს ომს სირიაში?* 2015 წლის 13 მაისი, http://ceip.org/1FkO3fT

[15] ISW, რეჟიმი და ირანული ძალები იწყებენ მრავალმხრივ შეტევებს ალეპოზე, 2015 წლის 21 ოქტომბერი, http://bit.ly/1GqpLSs; "Wall Street Journal", *Syrian Regime,Backed by Russia, Iran and Hezbollah, Expands Ground Offensive to Aleppo*, 2015 წლის 18 ოქტომბერი, http://on.wsj.com/1ZPv9oR; Al Jazeera, *Assad Forces Stage Vast Offensive in Western Syria*, 2015 წლის 8 ოქტომბერი, http://bit.ly/1PPoWop

[16] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 17; "ბიზნეს ინსაიდერ", *ISIS is Facing One of Its Most Serious Setbacks Yet*, 2015 წლის 24 ივნისი, http://read.bi/1S5MfJM

[17] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 16. იხ. აგრეთვე, "New York Times", *ISIS Makes Gains in Syria Territory Bombed by Russia*, 2015 წლის 9 ოქტომბერი, http://nyti.ms/1k4bkcu; "ატლანტიკა", *How ISIS Territory Has Changed since the U.S.Bombing Campaign Began*, 2015 წლის 11 სექტემბერი, http://theatln.tc/1Q6V98m; ISW, *ISIS Sanctuary Map*, 2015 წლის 15 სექტემბერი, http://bit.ly/1QfqGVE; CEIP, რატომ ფართოვდება *ISIS-ი, 2015 წლის 21 იანვარი,* http://ceip.org/1MOnkWN

სოფლებში და ალეპოს გუბერნიაში. არსებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის მარტის ბოლოს ანტისამთავრობო ჯგუფებმა მნიშვნელოვან ტაქტიკურ უპირატესობას მიაღწიეს სამთავრობო ძალების წინააღმდეგ დერაას, ალეპოსა და იდბიდის გუბერნიებში, პროვინციის დედაქალქის, იდბიდის ჩათვლით.[18] ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფები დროდადრო აგრძელებენ ბრძოლებს ISIS-თან ალეპოს გუბერნიის სოფლებში და დამასკოს გუბერნიის სამხრეთ ნაწილში.[19] როგორც აცხადებენ, ანტისამთავრობო შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის დომინანტურ როლს ასრულებს ჯაბჰატ ალ-ნურსა (JAN), რომელიც ცდილობს ადგილობრივ თემებს თავს მოახვიოს თავისი ექსტრემისტული იდეოლოგია.[20]

6. ადგილობრივი შეიარაღებული დაჯგუფებებისა[21] და საერთაშორისო კოალიციის საჰაერო თავდასხმების მხარდაჭერით, YPG-მ კიდევ უფრო წაიწია წინ და კონტროლი განამტკიცა ქურთთა მიერ *დე ფაქტო* ადმინისტრირებულ ტერიტორიაზე ქვეყნის ჩრდილოეთით, კერძოდ, ჰასაკეჰში, კობანესა (არაბულად აინ ალ-არაბი) და აფრინში. მათ ასევე დაიკავეს ადრე ISIS-ის ხელში მყოფი ტერიტორიები, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კობანეს (ალეპოს გუბერნია) და თალ აბიადის (რაქას გუბერნია) აღება 2015 წლის იანვარში და ივნისის შუა პერიოდში, შესაბამისად. [22] ამ ოპერაციათა შედეგად YPG ამჟამად აკონტროლებს კობანესა და ალ-ჯაზირას (ჰასაკეჰის გუბერნია) მნიშვნელოვან მოსაზღვრე ტერიტორიებს. სირიის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში კვლავ გრძელდება YPG-ის შეტაკებები ISIS-თან,[23] ხოლო

---

[18] ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის ოფისი (OCHA), *Situation in Idleb Flash Update 2*, 2015 წლის 30 მარტი, https://shar.es/1uPJYn; "BBC", *Syria Crisis:Idlib 'Captured by Islamist Groups'*, 2015 წლის 28 მარტი, http://bbc.in/1kLMEGg.

[19] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 12.

[20] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 14. იხ. აგრეთვე, "Al-jaziraAl Jazeera", *Syria Loses Last Idlib Army Base to Nusra Front, Other Groups*, 2015 წლის 9 სექტემბერი, http://bit.ly/1LwCmCz; "ალ-მონიტორი", *Jabhat al-Nusra Competes with Ahrar Al-Sham in Idlib*, 2015 წლის 10 ივლისი, http://bit.ly/1KAiDhx.

[21] "*YPG სხვადასხვა ფრონტზე იბრძვის სხვა შეიარაღებულ ძალებთან ერთად, არაბთა ტომების, ასირიელთა მილიციის და FSA-სთან დაკავშირებულ დანაყოფებთან ერთად";* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 19.

[22] "Washingtion Post", *მათ გაათავისუფლეს სირიული ქალაქი ISIS-სგან. ახლა მათ უნდა მართონ იგი, 2015 წლის 30 ოქტომბერი,* http://wpo.st/YCEk0; "Al Jazeera", *Syrian Kurdish Forces Capture Key ISIL-Held Town*, 2015 წლის 16 ივნისი, http://aje.io/jup7; "BBC", " *Syrian Kurds 'Drive Islamic State out of Kobane'*, 2015 წლის იანვარი, http://bbc.in/1z2bKTX

[23] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 17-18. იხ. აგრეთვე, "არა ნიუსი", *Kurds Deter ISIS Attack North Raqqa*, 2015 წლის 25 ოქტომბერი, http://bit.ly/1WjWZub; "Reuters", *Town Joins Kurdish-Led Order in Syria, Widening Sway at Turkish Border*, 2015 წლის 21 ოქტომბერი, http://reut.rs/1i97ZaF; "არა ნიუსი" *ISIS-თან შეტაკებების შემდეგ ქურთებმა კვლავ დაიბრუნეს სამი ახალი სოფელი სირიის ჩრდილოეთით*, 2015 წლის 5 ოქტომბერი, http://bit.ly/1Mm8b4G; "Reuters", სირიის ქურთთა მილიცია აფართოვებს მის ტერიტორიას, 2015 წლის 14 აგვისტო, http://reut.rs/1NvEMlI.

დროდადრო დაპირისპირება უწევს JAN-თან და სხვა ანტისამთავრობო შეიარაღებულ დაჯგუფებებთან ალეპოსა და ჰასაჯეჰის გუბერნიებში.[24]

სამოქალაქო მსხვერპლი

7. არსებული შეფასებებით, 2011 წლიდან (მას შემდეგ, რაც კონფლიქტი დაიწყო) დღემდე, 145000-დან 250000-მდე ადამიანია დაღუპული.[25] დაღუპულთა ყველაზე დიდი რაოდენობა დამასკოს სოფლებში დაფიქსირდა, შემდეგ მოდის ალეპოს, ჰომსის, იდლიბის, დერას და ჰამას გუბერნიები.[26] მართალია, დაღუპულთა უმრავლესობა მამაკაცები არიან (როგორც მებრძოლები, ისე სამოქალაქო პირები), მაგრამ, არსებული ინფორმაციის თანახმად, დაღუპული სამოქალაქო მოსახლეობის ერთ მეოთხედს სწორედ ქალები და ბავშვები შეადგენენ.[27] კონფლიქტის შედეგად განადგურდა სირიის

---

[24] "Reuters", *Syrian Rebels Launch Fresh Offensive against ISIS*, 2015 წლის 1 ნოემბერი, http://ara.tv/yf64d; UNSC, *გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014) და 2191 (2014)*, 2015 წლის 22 ოქტომბრის S/2015/813 რეზოლუციების შესახებ, პარ. 10.

[25] 2014 წლის იანვარში, გაერომ ოფიციალურად შეწყვიტა სირიაში დაღუპულთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და გამოქვეყნება, რადგან, შეზღუდული წვდომის გამო, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო დაღუპულთა რაოდენობის ადგილზე გადამოწმება; UNHCR, *გაერო წყვეტს სირიის კონფლიქტში დაღუპულთა დათვლას*, 2014 წლის 8 იანვარი, http://bit.ly/1PCRiTL. თუმცა, ამ მოხსენებაზე მუშაობის დროს, მიუთითებდნენ 250 000 დაღუპულზე, 2011 წლის მარტში სირიის კონფლიქტის დაწყების დღიდან; იხ. მაგ., OCHA, *კრიზისის შესახებ,* დაუთარიღებელი (ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის 15 ნოემბერს), http://bit.ly/1END1dC. ამჟამად სირიაში დაღუპულთა რაოდენობის მონიტორინგს ახორციელებენ მხოლოდ სირიის მონიტორინგის ჯგუფები, როგორიცაა, სირიის დამკვირვებლები ადამიანის უფლებებისთვის (SOHR), ადამიანის უფლებათა სირიის ქსელი (SNHR), და დარღვევათა დოკუმენტირების ცენტრი (VDC). ეს ჯგუფები გადამოწმებისა და მოხსენებისთვის სხვადასხვა მეთოდოლოგიას იყენებენ, რაც მათი სტატისტიკის სხვაობას იწვევს. მაგალითად, SOHR-ის მონაცემებით, 2015 წლის 17 ოქტომბრისთვის მსხვერპლი არის 256124 ადამიანი (74426 სამოქალაქო პირის ჩათვლით), ხოლო VDC 2015 წლის 15 ნოემბრისთვის დაღუპულად აცხადებს 145489 ადამიანს (91229 სამოქალაქოს ჩათვლით); SOHR, სირიის ომში 250 000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა: "მონიტორი", 2015 წლის 17 ოქტომბერი, http://bit.ly/1GnuV1E; VDC, დაზარალებულთა და რეჟიმის შედეგად დაღუპულთა მონაცემთა ბაზა, ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის 15 ნოემბერს, http://www.vdc-sy.info/index.php/en/martyrs და http://www.vdc-sy.info/index.php/en/otherstatistics. ინფორმაცია მსხვერპლთა შესახებ ყოველი თვის მიხედვით იხ. SNHR, *Victims" Death Toll*, ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის 15 ნოემბერს, http://bit.ly/1OZr4cp

[26] VDC-ის შესაბამისად, რომელიც დაღუპულ "წამებულთა" (ანუ, არასამთავრობო მსხვერპლი) მონაცემებს იძლევა გუბერნიების მიხედვით, ამ მოხსენებაზე მუშაობის დროისათვის შემდეგ მონაცემებს აქვეყნებდა: დამასკოს სასოფლო რეგიონი (28933), ალეპოს (24854), ჰომსის (15540). იდლიბის (14297), დერას (12519) და ჰამას (8221) გუბერნიები; VDC, *Martyrs Fatalities Database*, ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის 15 ნოემბერს, http://www.vdc-sy.info/index.php/en/martyrs. VDC-ის სტატისტიკა გუბერნიების მიხედვით დაღუპულთა შესახებ იმავე ტენდენციას უჩვენებს, როგორიც იყო გაეროს მოხსენებაში სირიაში მსხვერპლთა შესახებ. დეტალური შედარებისთვის იხ. ადამიანის უფლებათა მონაცემთა ანალიზის ჯგუფი (HRDAG), *Updated Statistical Analysis of Documentation of Killings in the Syrian Arab Republic*, Commissioned by the Office of the UN High Commissioner for Human Rights, 2014 წლის აგვისტო, http://bit.ly/1OORlvF.

[27] ბრიტანეთის სამედიცინო ჟურნალი (BMJ), *სირიის კონფლიქტის დროს გამოყენებული იარაღით დაღუპული სამოქალაქო პირები,* 2015 წლის 29 სექტემბერი, http://bit.ly/1KVlByB. იხ. აგრეთვე, "Al Jazeera", კვლევა: სირიის ომში დაღუპულთა მეოთხედი ბავშვები და ქალები არიან, 2015 წლის 29 სექტემბერი, http://alj.am/uv5y; "New York Times", *Death in Syria Infographic*, 2015 წლის 14 სექტემბერი, http://nyti.ms/1iJjVkp.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, რამაც გამოიწვია ასობით ათასი გარდაცვალების შემთხვევა ისეთი დაავადებებისაგან, რომლებიც ჩვეულებრივ სასიკვდილო შედეგს არ იწვევს, კერძოდ, ქრონიკული დაავადებები, არალეტალური ინფექციური დაავადებებით გამოწვეული ადრეული გარდაცვალების შემთხვევები, ნეონატალური და არასათანადო კვებით გამოწვეული სიკვდილიანობა.[28] გარდა ამისა, არსებული მონაცემებით, მილიონზე მეტი ადამიანი დაიჭრა კონფლიქტის შედეგად, რასაც ხშირად ქმედუნარიანობის ხანგრძლივი დაკარგვა მოჰყვა.[29] კიდევ უფრო მეტ ადამიანს ფსიქოლოგიური ტრავმა აქვს მიღებული იმის გამო, რომ მოწმენი არიან ძალადობის, ოჯახის წევრების დაკარგვის, დევნილობისა და სიდუხჭირის.[30]

იძულებითი გადაადგილება

8. სირიაში არსებული სიტუაცია მსოფლიოში იძულებითი გადაადგილების ყველაზე დიდი გამომწვევი ძალაა. მოსახლეობის ნახევარზე მეტმა დატოვა საკუთარი საცხოვრებელი,[31] მათგან 6,5 მილიონი სირიის ფარგლებში გადაადგილდა,[32] ხოლო 4,2

---

[28] "კონფლიქტი ასევე არაპირდაპირი გზით ზრდის ადამიანთა სიკვდილიანობას, რასაც იწვევს სამედიცინო თვალსაზრისით განკურნებადი დაავადებებისათვის მკურნალობის ნაკლებობა, რაც შესაძლოა პოსტკრიზისულ პერიოდშიც გაგრძელდეს"; სირიის პოლიტიკის კვლევის ცენტრი / UNRWA / UNDP, *სირია:გაუცხოება და ძალადობა, სირიის კრიზისის ზემოქმედება*, 2015 წლის მარტი, http://www.refworld.org/docid/5502cf6f4.html (შემდგომში: SCPR/UNRWA/UNDP, *სირია:გაუცხოება და ძალადობა, სირიის კრიზისის ზემოქმედება*, 2015 წლის მარტი), გვ. 51-52. იხ. აგრეთვე, "ნიუ-იორკ ტაიმსი", *როგორ კვდებიან სირიელები,* 2015 წლის 14 სექტემბერი, http://nyti.ms/1UPieDd; "მსოფლიოს ექიმები", *Four Years On: Syria''s Shameful Healthcare Quagmire*, 2015 წლის 16 მარტი, http://bit.ly/1hX6JaG; "სირია დიპლი", *სირიას აღარ შეუძლია ქრონიკული დაავადებების მკურნალობა, ამბობს წამყვანი სამედიცინო ექსპერტი*, 2015 წლის 4 თებერვალი, http://nwsdp.ly/t-a5p.

[29] OCHA, კრიზისის შესახებ, დაუთარიღებელი (ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის 15 ნოემბერს), http://bit.ly/1END1dC; SOHR, *250000 ადამიანზე მეტი მოკლეს სირიის ომში: "მონიტორი", 2015 წლის 17 ოქტომბერი,* http://bit.ly/1GnuV1E; "Reuters", *ერთი მილიონი ადამიანი დაჭრილია, დაავადებები ვრცელდება სირიაში: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია*, 2014 წლის 19 დეკემბერი, http://reut.rs/1wKLE87.

[30] "ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, დღეისათვის 350000 სირიელი იტანჯება მწვავე ფსიქიკური აშლილობით, ხოლო ორ მილიონს და შესაძლოა მეტსაც, მსუბუქიდან საშუალო სიმწვავის ფსიქიკური აშლილობა აქვს, როგორიცაა, აღგზნება და დეპრესია, პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობის ჩათვლით *(PTSD)*"; "სირია დიპლი", *Mental Health Issues the Most Underreported Problem in Syria,* 2015 წლის 4 მაისი, http://bit.ly/1AAhHq4. საერთაშორისო სამედიცინო კორპუსის (IMC) მიერ ჩატარებული კვლევის შესაბამისად, "ჯანდაცვის ობიექტები, რომლებიც ადრე უზრუნველყოფდნენ ინტეგრირებულ ფსიქიკურ ჯანდაცვას სირიაში, თვით გახდნენ ომის მსხვერპლი - მათი უმრავლესობა განადგურებული ან დაზიანებულია, ან არ ფუნქციონირებს. გამოცდილი ფსიქიატრების დიდი ნაკლებობაა, როგორც სირიაში, ისე მეზობელ ქვეყნებში, სადაც ახლა ლტოლვილები ცხოვრობენ"; IMC, *Syria Crisis – Addressing the Mental Health Needs and Gaps in the Context of the Syria Crisis*, 2015 წლის 16 მარტი, http://bit.ly/1H2uHb0. იხ. აგრეთვე, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ.: 80, 86, 100.

[31] OCHA, სირიის არაბული რესპუბლიკა - საკვანძო ციფრები, დაუთარიღებელი (ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის 15 ნოემბერს), http://www.unocha.org/syria; UNHCR, *Worldwide Displacement Hits All-Time High as War and Persecution Increase*, 2015 წლის 18 ივნისი, http://www.unhcr.org/558193896.html.

მილიონზე მეტი ლტოლვილი რეგისტრირებულია მეზობელ ქვეყნებსა და ჩრდილოეთ აფრიკაში.[33] მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის თანახმად, „კონფლიქტის სისასტიკის გამო კვლავ გრძელდება გადაადგილების მასშტაბის უპრეცედენტო ზრდა“.[34] 2015 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე ადგილმონაცვლე გახდა 1,2 მილიონინ ადამიანი. ზოგ მათგანს მრავალჯერ მოუხდა გადაადგილება სირიის ფარგლებში.[35] გადაადგილებული მოსახლეობის ნახევარზე მეტი ბავშვია.[36] გადაადგილების ძირითად გამომწვევ მიზეზად მიჩნეულია სამოქალაქო პირთა განზრახ მიზანში ამოღება და ის ფაქტი, რომ კონფლიქტის მხარეებს არ შეუძლიათ სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა.[37] გარდა ამისა, ადამიანები უფრო მეტად იძულებულნი არიან

---

[32] სირიის ყველა გუბერნიაში არიან იძულებით გადაადგილებული პირები; ყველაზე დიდი რაოდენობა არის დამასკოს სასოფლო გუბერნიასა და ალეპოში (თითოეულმა მათგანმა მიიღო 1,2 მილიონზე მეტი), შემდეგ მოდის იდლიბი (700 000 იგპ) და ჰომსისა და ჰამას გუბერნიები (500 000 იგპ-ზე მეტი თითოეულში); OCHA, *Syrian Arab Republic:Estimated People in Need and IDPs per Governorate*, 2015 წლის 31 ოქტომბერი, https://www.humanitarianresponse.info/en/node/113097; OCHA, *სირიის არაბული რესპუბლიკა: ჰუმანიტარული მდგომარეობა (2015 წლის 31 ოქტომბრის მიხედვით)*, 2015 წლის 31 ოქტომბერი, http://bit.ly/1NfqFOS.

[33] UNHCR, *Syria Regional Refugee Response*, დაუთარიღებელი (მისაწვდომი იყო 2015 წლის 15 ნოემბერს), http://data.unhcr.org/syrianrefugees/regional.php; UNHCR, *UNHCR-ის გლობალური ტენდენცია 2014: World at War*, 2015 წლის 18 ივნისი, გვ. 8, http://www.refworld.org/docid/558292924.html. იხ. აგრეთვე, "Washington Post", "სირია მოსახლეობისაგან იცლება", 2015 წლის 14 სექტემბერი, http://wapo.st/1Lv0Eu7.

[34] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 81.

[35] "ბანაკის მართვისა და ბანაკის კოორდინაციის" (CCCM) მიხედვით, 123800 ადამიანი გადაადგილდა ალეპოს, ჰამასა და იდლიბის გუბერნიებში 2015 წლის 5 ოქტომბრიდან 30 ოქტომბრამდე, რაც გამოიწვია შემდგომმა ესკალაციამ და საჰაერო დაბომბვების გააქტიურებამ; OCHA, სირიის არაბული რესპუბლიკა: მოვლენები ჩრდილოეთის გუბერნიებში - მეორე მოხსენება სიტუაციის შესახებ *(2015 წლის 3 ნოემბრისთვის)*, 2015 წლის 3 ნოემბერი, http://bit.ly/1Hn3K7o. 2015 წელს ახალი იძულებითი გადაადგილებების შესახებ აგრეთვე იხ. გაეროს ახალი ამბების ცენტრი, *Syrians Living "Tragedy and Despair Barely Imaginable Five Years Ago," Says Top UN Relief Official*, 2015 წლის 27 ოქტომბერი; ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო (NRC), *მოსალოდნელია კიდევ ათასობით ადამიანის სვლა გადაჭედილ ჩასახლების ადგილებში*, 2015 წლის 26 ოქტომბერი, http://www.nrc.no/?did=9208424; OCHA, *სირიის არაბული რესპუბლიკა: შიგა გადაადგილება (იანვარი-აგვისტო, 2015)*, 2015 წლის 22 სექტემბერი, http://bit.ly/1GpK3Mi; UNHCR, ახალი გადაადგილება, ცვლადი დინამიკა,*UNHCR-ის რეაგირება, 2015 წლის სექტემბერი,* http://www.refworld.org/docid/55e7f68a4.html (შემდგომში:UNHCR, ახალი გადაადგილება, ცვლადი დინამიკა,*UNHCR-ის რეაგირება, 2015 წლის სექტემბერი*5), გვ.5.

[36] იგპ-თა ორმოცდაათი პროცენტი და სირიელ ლტოლვილთა ორმოცდაათ პროცენტზე მეტი, არსებული ინფორმაციით, ბავშვები არიან; ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო/შიგა გადაადგილების მონიტორინგის ცენტრი (NRC/IDMC), *სირიის იგპ მაჩვენებელთა ანალიზი, დაუთარიღებელი (ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის 15 ნოემბერს),* http://bit.ly/1N6FpBv; UNHCR, *UNHCR Global Trends 2014:World at War*, 2015 წლის 18 ივნისი, გვ.41. http://www.refworld.org/docid/558292924.html.

[37] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის ზეპირი ანგარიში სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 23 ივნისი, A/HRC/29/CRP.3, http://www.refworld.org/docid/558aa6cc4.html (შემდგომში: გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის ზეპირი ანგარიში სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 23 ივნისი), პარ. 24,28, 40; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება სირიის შესახებ, 2015 წლის 5 თებერვალი, დანართი II, პარ. 272. იხ. აგრეთვე, "ტელეგრაფი", *As Long as Assad's Barrel Bomb Blitz Continues, Syrians Will Flee in Droves*, 2015 წლის 22 სექტემბერი, http://bit.ly/1QKMNnC; ვოქსი, რატომ გარბიან ადამიანები სირიიდან: მოკლე, მარტივი

გაიქცნენ მომსახურების სფეროს სრული განადგურების, არასათანადო სამედიცინო მომსახურების და ცხოვრების საარსებო პირობების დაკარგვის, ასევე, საარსებო საშუალებებზე ფასების ზრდის გამო.[38] მრავალჯერადი იძულებითი გადაადგილება სირიის კონფლიქტის შემაშფოთებელი მახასიათებელია, რადგან ფრონტის ხაზი იცვლება და მანამდე უსაფრთხო ტერიტორიები კონფქლიტში ეხვევა.[39] დაფიქსირებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) სამიზნედ გამოყენება და კვლავ ხშირია ხელახალი გადაადგილების შემთხვევები.[40] მრავალი იგპ განსაკუთრებით

ახსნა, 2015 წლის 4 სექტემბერი, http://bit.ly/1M4V1s2; "New York Times", *Thousands Flee Syria as Kurds Gain on ISIS*, 2015 წლის 14 ივნისი, http://nyti.ms/1GSVIO2; ""Al Arab", *Fighting and Infighting in Syria*, 2015 წლის 1 ივნისი, http://bit.ly/1NjNUd8; "ნიუსვიკი", *ახალი გამოსვლა: ქრისტიანები ISIS-ს გაურბიან ახლო აღმოსავლეთში*, 2015 წლის 26 მარტი, http://bit.ly/1FZbauc; NRC/IDMC, *Syria: Forsaken IDPs Adrift inside a Fragmenting State*, 2014 წლის 21 ოქტომბერი, http://bit.ly/1RpOYgo.

[38] "კონფლიქტმა დააჩქარა ადამიანთა უფლებების მიღწევათა უკუსვლა, რომელიც მას 2010 წელს ჰქონდა. ადამიანის განვითარების ინდექსმა აქ 31 პროცენტით დაიწია. (...) დღეს ქვეყანაში უმუშევრობა 58 პროცენტია. მათგან, ვისაც ჯერ კიდევ აქვს ოფიციალური სამუშაო, 55 პროცენტი საჯარო სექტორში მუშაობს. ყოველი მეოთხე თუ მეხუთე სირიელი ეროვნული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, ხოლო მოსახლეობის ორი მესამედი უკიდურეს სიღარიბეშია, რადგან ისინი იძულებულნი არიან მოიპოვონ აუცილებელი საკვები და საყოფაცხოვრებო ნივთები; 30 პროცენტი აუცილებელი საკვების მოპოვებას ვერ ახერხებს. კონფლქიტის ზონაში და ალყაშემორტყმულ ტერიტორიებზე უკიდურესად ღარიბი მოსახლეობა არასათანადო კვების და თვით შიმშილის საფრთხის წინაშე დგას. ამ სოციალური დეზინტეგრაციისა და ეკონომიკური დეგრადაციის ფონზე დანგრეულია განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემები;" SCPR/UNRWA/UNDP, *Dramatic Findings of New Syria Report Include Plummeting Life Expectancy and LoomingEconomic Collapse*, 2015 წლის 10 მარტი, http://bit.ly/1GovX8q. იხ. აგრეთვე, UNHCR, პირობების გაუარესება სირიაში და რეგიონის ნავთობის დაცემა, ათასობით ადამიანს ევროპისკენ უბიძგებს, 2015 წლის 8 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/55eed0484.html UNHCR, პირობების გაუარესება სირიაში და რეგიონის ნავთობის დაცემა, ათასობით ადამიანს ევროპისკენ უბიძგებს, 2015 წლის 8 სექტემბერი; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 83; "Chatham House", *Syria"s Economy - Picking up the Pieces*, 2015 წლის ივნისი, http://bit.ly/1R96xBd

[39] OCHA, კრიზისის შესახებ, დაუთარიღებელი (ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის ნოემბერში), http://www.unocha.org/syrian-arab-republic/syria-country-profile/about-crisis; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 83; NRC/IDMC, *Syria IDP Figures Analysis*, დაუთარიღებელი (ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის 15 ნოემბერს), http://bit.ly/1N6FpBv; "სირია დიპლი", *Syrians Facing "Multiple Displacements" as Humanitarian Crises Multiply, Says ICRC President*, 2015 წლის 24 ივნისი, http://nwsdp.ly/7p2re; გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR), გაეროს სპეციალური მომხსენებელი იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებების საკითხში, ბ-ნი ჩალოკა ბეიანი, სირიის არაბულ რესპუბლიკაში 2015 წლის 16-19 მაისს მისი ვიზიტის შედეგად გაკეთებული დასკვნები, 2015 წლის 19 მაისი, https://shar.es/1uszOm (შემდგომში, OHCHR, იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა საკითხზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის, ბ-ნი ჩალოკა ბეიანის განცხადება, 2015 წლის 19 მაისი).

[40] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2014 წლის მოხსენებები ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - სირია, 2015 წლის 25 ივნისი, http://www.state.gov/documents/organization/236834.pdf (შემდგომში: აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2014 წლის მოხსენებები ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - სირია, 2015 წლის 25 ივნისი), გვ. 2; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის ზეპირი ანგარიში სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 23 ივნისი, პარ.52; NRC/IDMC, *Failing Syria: Assessing the Impact of UN Security Council Resolutions in Protecting and Assisting Civilians in Syria*, 2015 წლის 12 მარტი, გვ.9, http://www.refworld.org/docid/5502c8e24.html.

მოწყვლადია უსაფრთხოების რისკების მიმართ, მათ შეზღუდული წვდომა აქვთ მომსახურებაზე, დახმარებასა თუ დასაქმებაზე, რადგან დევნილობის დროს ხშირია დოკუმენტების დაკარგვის შემთხვევები.[41] მიმდინარე კონფლიქტი კვლავ იწვევს იძულებით გადაადგილებას.[42]

9. ფართომასშტაბური იძულებითი გადაადგილების გარდა, 4,2 მილიონზე მეტმა სირიელმა თავი შეაფარა მეზობელ ქვეყნებსა და ჩრდილოეთ აფრიკას: 2,18 მილიონი დარეგისტრირებულია თურქეთში; 1,07 მილიონზე მეტი - ლიბანში, სადაც ლტოლვილთა კონცენტრაცია ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მაღალია უახლოეს ისტორიაში;[43] ასევე, 630000 სირიელი დარეგისტრირებულია იორდანიაში; 245000 - ერაყში; 128000 - ეგვიპტეში; და 26700 - ჩრდილოეთი აფრიკის სხვა ქვეყნებში.[44] არსებული შეფასებების მიხედვით, 2014 წლის ბოლოს სირიის მოსახლეობა 15%-ით შემცირდა კონფლიქტამდე არსებულ რაოდენობასთან შედარებით.[45] რეგიონში

---

[41] "ყველაზე სასწრაფო პრობლემა მრავალი იგპ-სთვის არის დაკარგული დოკუმენტები, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მათ უსაფრთხოებას და სერვისებზე, დახმარებასა და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობას. *დოკუმენტების გარეშე მკაცრად შეიზღუდება მათი გადაადგილების თავისუფლება და უსაფრთხო ადგილის მოძიების შესაძლებლობა, მაგალითად, კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიებზე ისინი შეიძლება არ გაატარონ საკონტროლო პუნქტებზე";* OHCHR, იძულებით გადაადგილებულ პირთა დადამიანის უფლებათა საკითხზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის, ბ-ნი ჩალოკა ბეიანის განცხადება, 2015 წლის 19 მაისი.

[42] OCHA-ის შესაბამისად, საჰაერო თავდასხმებით მხარდაჭერილი სახმელეთო სამხედრო ოპერაციების განახლების შედეგად, რომელსაც აწარმოებდა მთავრობა და მისი მოკავშირეები ჰამას, ალეპოსა და ჰომსის გუბერნიებში, 2015 წლის სექტემბრის ბოლოდან 22 ოქტომბრამდე, სულ მცირე, 120000 ადამიანის გახდა იძულებით გადაადგილებული; OCHA, სირიის არაბული რესპუბლიკა: მოვლენები ჩრდილოეთის გუბერნიებში - პირველი მოხსენება სიტუაციის შესახებ *(2015 წლის 24 ოქტომბრისთვის)* 2015 წლის 24 ოქტომბერი, http://bit.ly/1k8XS7i. იხ. აგრეთვე, "ნიუ იორკ ტაიმსი", *Violence inSyria Spurs a Huge Surge in Civilian Flight*, 2015 წლის 26 ოქტომბერი, http://nyti.ms/1RAMNXl; "ფრანს-პრესის სააგენტო" (AFP), *Tens of Thousands Flee AleppoFollowing Latest Wave of Airstrikes in Syria*, 2015 წლის 20 ოქტომბერი, http://gu.com/p/4df87/stw. "რა თქმა უნდა, ახალი გადადგილებისა და ქვეყანაში მოსახლეობის მასობრივი მოძრაობის პერსპექტივა ძალზე მაღალია, რაც გამოწვეულია არასტაბილურობით სირიის ბევრ კუთხეში და შეიარაღებულ ოპოზიციურ ჯგუფებთან მიმდინარე კონფლიქტით, ასევე, ეგრეთ წოდებული *ISIS*-ის დესტრუქციული როლით, რაზედაც მიუთითებს პალმირას დაცემა, რამაც გადაადგილების ახალი ტალღა გამოიწვია"; OHCHR, იძულებით გადაადგილებულ პირთა ადამიანის უფლებათა საკითხზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის, ბ-ნი ჩალოკა ბეიანის განცხადება, 2015 წლის 19 მაისი. იხ. აგრეთვე, "The Guardian", *Syria Conflict Will Displace another Million People, Says UN Official*, 2015 წლის 12 სექტემბერი, http://gu.com/p/4cb8t/stw.

[43] "ლოს ანჯელეს ტაიმსი", "რომელი ქვეყნები იღებს სირიელ ლტოლვილებს?", 2015 წლის 8 სექტემბერი, http://lat.ms/1M0osIN; UNHCR, *ლტოლვილები სირიიდან: ლიბანი - 2015 წლის მარტი, 2015 წლის 31 მარტი,* http://bit.ly/1kEpK3H.

[44] 2015 წლის 3 ნოემბრის მონაცემებით. განახლებული მონაცემები იხ. UNHCR, http://data.unhcr.org/syrianrefugees/regional.php. გამკაცრებული სასაზღვრო შეზღუდვების, ლტოლვილთა ევროოპისკენ მოძრაობისა და მეზობელი ქვეყნებიდან სირიაში დაბრუნების შედეგად, დღეს სირიელი ლტოლვილების რაოდენობა იორდანიაში, ლიბანში, ერაყში და ეგვიპტეში რამდენადმე შემცირდა. 2015 წლის სექტემბრის ბოლოსთვის UNHCR-მა დააფიქსირა, რომ ამ ოთხ ქვეყანაში სირიელ ლტოლვილთა რაოდენობა 44500-ით შემცირდა; UNHCR-ის სარეგისტრაციო მონაცემები, 2015 წლის 30 სექტემბერი.

[45]SCPR-ის შესაბამისად, 2010 წელს სირიაში 20,87 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა; 2014 წლის ბოლოს, არსებული ინფორმაციის თანახმად, მოსახლეობის რაოდენობა 17,65 მილიონამდე შემცირდა, რაც

დემოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, უსაფრთხოების და სოციალური ასპექტების გამწვავების ფონზე, მიმღები სახემწიფოების მთავრობები, შემოსულთა გაკონტროლების მიზნით, სულ უფრო ხშირად იყენებენ საზღვრის მართვის ღონისძიებებს.[46]

10. სირიასა და მეზობელ ქვეყნებში პირობების გაუარესების გამო ათასობით სირიელი თავშესაფრის საძიებლად შორეული ქვეყნებისაკენ მიემართება, განსაკუთრებით, ევროპის მიმართულებით.[47] შესაბამისად, სირიაში კონფლიქტის დაწყების შემდეგ, სირიელი თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადების რაოდენობა ევროპულ ქვეყნებში (თურქეთის გარდა) სულ უფრო იზრდება. 2011 წლის აპრილიდან 2015 წლის ოქტომბრამდე 681 713 განაცხადი შევიდა.[48] 2014 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის ოქტომბრამდე ევროპაში 538000-ზე მეტი თავშესაფრის მაძიებელი დარეგისტრირდა, თუმცა, მრავალი ფაქტორის გამო, ზოგიერთ ქვეყანაში მიმღები ობიექტების და ინტეგრირების პერსპექტივის უქონლობის ჩათვლით, ასევე, თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადების დიდი რაოდენობით გამოწვეული მათი რეგისტრირების დაგვიანების

ძირითადად გამოიწვია ადამიანთა მიერ ქვეყნის დატოვებამ და კონფლქიტთან დაკავშირებული სიკვდილიანობის გაზრდამ. ომამდე სირიის მოსახლეობის დონის ზრდის გათვალისწინებით, სირიაში მოსახლეობის რაოდენობა - კონფლიქტი რომ არ მომხდარიყო - 2014 წლის ბოლოსთვის 22,99 მილიონ მოსახლეს მიაღწევდა; SCPR/UNRWA/UNDP, *სირია: გაუცხოება და ძალადობა, სირიის კრიზისის ზემოქმედება,* 2015 წლის მარტი, გვ.40.

[46] "სირიელები ამჟამად სულ უფრო მზარდი პრობლემის წინაშე დგანან მეზობელ ქვეყნებში უსაფრთხოებისა და დაცვის პოვნის თვალსაზრისით. ამ ქვეყნებმა, ლტოლვილთა უსაზღვროდ დიდი რაოდენობის, არასაკმარისი საერთაშორისო დახმარებისა და უსაფრთხოების პრობლემების ფონზე, მიმდინარე წელს მიიღეს ზომები ლტოლვილთა ტალღის შესაჩერებლად, მათ შორის, საზღვრების შეზღუდვისა და საზღვრების უფრო მკაცრი კონტროლის მეშვეობით, ასევე, შემოიღეს, მძიმე და რთული მოთხოვნები ლტოლვილებისათვის ქვეყანაში დარჩენის ვადის გასაგრძელებლად"; UNHCR, პირობების გაუარესება სირიაში და რეგიონის ნავთობის დაცემა, ათასობით ადამიანს ევროპისკენ უბიძგებს, 2015 წლის 8 სექტემბერი. იხ. "Amnesty International ", *Pushed to the Edge: Syrian Refugees Face Increased Restrictions in Lebanon*, 2015 წლის 15 ივნისი, MDE 24/1785/2015, http://www.refworld.org/docid/56405c274.html; "The Guardian" *Syria Conflict Will Displace Another Million People, Says UN Official*, 2015 წლის 12 სექტემბერი, http://bit.ly/1PdeY0K; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 21; გაეროს უშიშროების საბჭო [უშიშროების საბჭოს სახელით გაკეთებული განცხადება 7433-ე სხდომაზე, 2015 წლის 24 აპრილი, საბჭოს მოსაზრებები თემაზე "სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში"], 2015 წლის 24 აპრილი, S/PRST/2015/10, http://www.refworld.org/docid/553ded4e4.html.

[47] UNHCR, უიმედობა და სიღარიბის ზრდა სირიელებს აიძულებს თავშესაფარი ეძებონ ევროპაში, 2015 წლის 25 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/5608edf74.html. იხ. აგრეთვე, "The Guardian", *Six Reasons Why Syrians are Fleeing to Europe in Increasing Numbers*, 2015 წლის 25 ოქტომბერი, http://bit.ly/1PNqcJD; UNHCR, პირობების გაუარესება სირიაში და რეგიონის ნავთობის დაცემა, ათასობით ადამიანს ევროპისკენ უბიძგებს, 2015 წლის 8 სექტემბერი; " "BBC", რატომ ებრძვის ევროკავშირი მიგრანტებსა და თავშესაფრის მაძიებლებს?, 2015 წლის 1 სექტემბერი, http://bbc.in/1vYKIba.

[48] შესაძლებლობის ფარგლებში, ციფრები მიუთითებს საწყისი პერიოდის თავშესაფრის განაცხადებს, მაგრამ, ზოგიერთი სტატისტიკა შეიძლება მოიცავდეს განმეორებით განაცხადებსაც (იმავე ან სხვა ქვეყანაში); UNHCR, *Syria Regional Refugee Response*, ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის 15 ნოემბერს, http://data.unhcr.org/syrianrefugees/asylum.php.

შედეგად, ამ ბოლო პერიოდში ჩასულთა უმრავლესობამ ჯერ ვერ მოახერხა განაცხადების წარდგენა ან მათი დარეგისტრირება.[49]

11. სირიელ ლტოლვილთა მცირე, მაგრამ მზარდი რაოდენობა რეგიონის ქვეყნებიდან საკუთარი ძალებით ბრუნდება სირიაში.[50] ამ დაბრუნების მიზეზი, *inter alia*, არის, სირიაში ოჯახის წევრებთან შეერთება, ვინც, მიმღებქვეყნებში გამკაცრებული სასაზღვრო კონტროლის გამო, მათთან ჩასვლას ვერ ახერხებს; განადგურებული საცხოვრებელი პირობების გარემოში საარსებო საშუალების არქონა; და მიმღებიქვეყნის მიერ ჰუმანიტარული დახმარების შეწყვეტა. სხვებმა მიიღეს გადაწყვეტილება თურქეთის გავლით მიეღწიათ ევროპამდე.[51] არსებული ინფორმაციის შესაბამისად, ათობით ათასი ლტოლვილი დაბრუნდა თურქეთიდან კობანეში, მას შემდეგ, რაც ISIS-მა 2015 წლის იანვარში კონტროლი დაკარგა ჩრდილოეთის ამ ქალაქსა და მის შემოგარენზე. ლტოლვილები, როგორც ამბობენ, ფართომასშტაბიანი ნგრევის, მომსახურების არქონისა და ძალადობის განახლების საფრთხის წინაშე დგანან.[52]

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები

12. სირიაში კვლავ უარესდება სიტუაცია ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. გაეროს გენერალური მდივნის შეფასებით „კონფლიქტის მხარეები

---

[49] UNHCR, უიმედობა და სიღარიბის ზრდა სირიელებს აიძულებს თავშესაფარი ეძებონ ევროპაში, 2015 წლის 25 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/5608edf74.html. სირიელთა 10 პროცენტზე მეტმა, რომლებიც კონფლიქტს გაექცნენ, ევროპას შეაფარეს თავი (თურქეთის გარდა). მხოლოდ გერმანიამ, სერბეთმა და კოსოვომ მიიღეს სირიელ თავშესაფრის მაძიებელთა განაცხადების 53 პროცენტი, ხოლო შვედეთმა, უნგრეთმა, ავსტრიამ, ბულგარეთმა და ნიდერლანდებმა ერთად - განაცხადების 34 პროცენტი. UNHCR, *Syria Regional Refugee Response*, ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის 15 ნოემბერს. http://data.unhcr.org/syrianrefugees/asylum.php

[50] სირიაში უსფრთხოების მუდმივი გაუარესების და ადამიანის უფლებათა ჰუმანიტარული სიტუაციის ფონზე, UNHCR-ი არ უჭერს მხარს სირიაში დაბრუნებას. იხ. აგრეთვე ქვემოთ, პარ. 40.

[51] UNHCR, რეგიონში ქვეყნის მოქმედების მიზნების კვლევა და შეფასება, 2015 წლის აგვისტო და სექტემბერი. იხ. აგრეთვე, მსოფლიო სასურსათო პროგრამა (WFP), *Impact of WFP Cuts on Vulnerable Syrian Refugees in Jordanian Communities*, 2015 წლის 31 ოქტომბერი, გვ. 2, http://bit.ly/1L4xjFQ; "National", The National, *When Refugees Return to Syria, the World is Silent*, 2015 წლის 13 ოქტომბერი, http://bit.ly/1Su7DrV; "BBC", *Desperate Syrian Refugees Return to War Zone*, 2015 წლის 12 ოქტომბერი, http://bbc.in/1ZwUMuu; NRC, ათასობით ლტოლვილი იორდანიიდან სირიაში ბრუნდება, 2015 წლის 6 ოქტომბერი, http://bit.ly/1WbQWb0; "Associated Press", *Syrian Refugees Increasingly Return to War Zones in Homeland*, 2015 წლის 5 ოქტომბერი, http://apne.ws/1jJe0MO; "International Business Times", *Syrian Refugee Crisis 2015:Record Levels of Humanitarian Aid still not enough to Support Syrian Refugees, UN Official Says*, 2015 წლის 19 სექტემბერი, http://bit.ly/1jCNc0W; "The Guardian", *Pushed Back into the Fire: The Refugees Who Feel Compelled to Return to Syria*, 2015 წლის 14 სექტემბერი, http://bit.ly/1NVNdcU.

[52] იხ. მაგ., "Washingtion Post", კობანეს ნანგრევები, 2015 წლის 13 ნოემბერი, http://wapo.st/1HRzTyV; "National", *Syrians Return to Devastated Kobani in Droves*, 2015 წლის 24 ოქტომბერი, http://bit.ly/1jI3Xbd; "Mild East Eye", ათასობით ადამიანი ბრუნდება დანგრეულ კობანეში, 2015 წლის 21 სექტემბერი, http://bit.ly/1lpXz8X.

კვლავ იქცევიან დაუსჯელად და ჰუმანურობისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საფუძვლების სრული უგულვებელყოფით“,[53] ხოლო 2015 წლის აგვისტოს მოხსენებაში, მოკვლევის დამოუკიდებელმა საერთაშორისო კომისიამ, დაპირისპირებულ მხარეთა მოქმედება სამოქალაქო პირთა მიმართ აღწერა, როგორც: „სამხედრო დანაშაულის და კაცობრიობის წინაშე დანაშაულის პარპაშის ცოცხალი დადასტურება, რაც მოითხოვს მართლმსაჯულებას, ანგარიშვალდებულებას და მშვიდობას“.[54] მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისია აცხადებს, რომ კონფლიქტის მონაწილე მხარეები ჩადიან სამხედრო დანაშაულს და უხეშად არღვევენ ადამიანის უფლებებს, კაცობრიობის წინაშე ჩდენილი დანაშაულის ჩათვლით,[55] და ეს ხდება ფართოდ გავრცელებული დაუსჯელობის ფონზე.[56]

13. მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიისა და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების მოხსენებებში ნათქვამია, რომ სირიის სამხედრო ძალები ჩადიან *„კაცობრიობის წინაშე დანაშაულს მკვლელობების, განადგურების, წამების, გაუპატიურების, ძალადობრივი გაუჩინარების და სხვა არაჰუმანური ქმედებების სახით“*.[57] ამავე წყაროებზე დაყდნობით, ამ ძალებისთვის დამახასიათებელია ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევები და სამხედრო დანაშაულები - მკვლელობა, წამება, გაუპატიურება და სქესობრივი ძალადობის სხვა ფომები, და სამოქალაქო მოსახლეობის მიზანში ამოღება. გარდა ამისა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ისინი ახდენენ

---

[53] *გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014) და 2191 (2014)*, 2015 წლის 22 ოქტომბრის S/2015/813 რეზოლუციების შესრულების შესახებ, პარ. 62, http://www.refworld.org/docid/5566c07f4.html.

[54] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 166.

[55] იხ. მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის შემდგომი მოხსენებები, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ohchr.org/en/hrbodies/hrc/iicisyria/pages/independentinternationalcommission.aspx. იხ. აგრეთვე მოხსენებები ორგანიზაციისა “Human Rights Watch” (HRW), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.refworld.org/publisher,HRW,COUNTRYREP,SYR,,,0.html და “ამნესტი იტნერნეიშენალ“ - ვებგვერდზე: http://www.refworld.org/publisher,AMNESTY,ANNUALREPORT,SYR,,,0.html.

[56]პაოლო სერჯიო პინჰეირო, სირიის საკითხებზე მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის თავმჯდომარე, ხაზგასმით მიუთითებს, რომ საჭიროა გადაუდებელი საერთაშორისო მოქმედება, რათა “შეწყდეს ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევები და გაირღვეს დაუსჯელობის მოუხელთებელი წრე”; გაეროს ახალი ამბების ცენტრი, *Citing Need to Break “Cycle of Impunity,” UN Panel Urges Referral of Syria to ICC*, 2015 წლის 17 მარტი, http://www.refworld.org/docid/55093f084.html. იხ. აგრეთვე, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენებები სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ohchr.org/EN/HRBodies/HRC/IICISyria/Pages/IndependentInternationalCommission.aspx. “ასოშიეიტედ პრესი”, *UN Chief Urges World Leaders to Refer Syria to ICC*, 2015 წლის 28 სექტემბერი, http://huff.to/1KVQbtZ; “გარდიაი”, *Call for Special Tribunal to Investigate War Crimes and Mass Atrocities in Syria*, 2015 წლის 17 მარტი, http://bit.ly/1BRhX7Q; გაეროს ახალი ამბების ცენტრი, Centre, *Russia, China Block Security Council Referral of Syria to International Criminal Court*, 2014 წლის 22 მაისი, http://bit.ly/1k9500x.

[57] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 168; “Amnesty International”, Amnesty International-ის მოხსენება *2014/15 – სირია*, 2015 წლის 25 თებერვალი, http://www.refworld.org/docid/54f07d919.html; HRW, *World Report 2015 – Syria*, 2015 წლის 29 იანვარი, http://www.refworld.org/docid/54cf837c15.html.

სპეციალური დაცვის იგნორირებას, რომლითაც, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საფუძველზე, საავადმყოფოები და სამედიცინო და ჰუმანიტარული პერსონალი სარგებლობს. ტერიტორიების განურჩეველი და არაპროპორციული დაბომბვა, კასეტური ბომბების, იმპროვიზებული ნაღმებისა და ქლორის გაზის გამოყენება და საარტილერიო შეტევები იწვევს სამოქალაქო მოსახლეობის მასიურ მსხვერპლს, მომიჯნავე ტერიტორიების ნგრევას და ტერორიზმის გავრცელებას სამოქალაქო პირთა შორის ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე. არსებული ინფორმაციის თანახმად, სირიის სამხედრო ძალებს ალყაში აქვთ მოქცეული ოპოზიციის მიერ დაკავებული ზოგიერთი ტერიტორია, რომელთა გაძლიერება ხდება უწყვეტი რეგულარული დაბომბვით.[58] მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიისა და სხვა წყაროების თანახმად, მთავრობის მხარდამჭერ ზოგიერთ შეიარაღებულ ჯგუფში არიან დაქირავებული ბავშვები და მათ სამხედრო დაპირისპირების დროს იყენებენ.[59]

14. მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიისა და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების მოხსენებებში საუბარია ISIS-ის წევრთა მიერ ჩადენილი წამების, მკვლელობის, გაუპატიურების, სქესობრივი დამონების, სქესობრივი ძალადობისა და იძულებითი გადაადგილების ფაქტების შესახებ, რომლებსაც ისინი იყენებენ სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მათი კონტროლის ქვეშ მყოფ გუბერნიებში (რაქა, დეირ ეზ-ზური, ჰასაკეჰი, ალეპო, ჰამა და ჰომსი), რაც კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის ტოლფასია. იმავე წყაროების მიხედვით, ISIS-ის მებრძოლები ასევე ჩადიან სამხედრო დანაშაულს, მკვლელობის, სათანადო პროცესის გარეშე სიკვდილით დასჯის, წამების, ტყვედ აყვანის, გაუპატიურების და სქესობრივი ძალადობის, ბავშვების დაქირავებისა და მათი სამხედრო დაპირისპირებებში გამოყენების და დაცულ ობიექტებზე დავდასხმების ჩათვლით. ისინი ამავდროულად ჩადიან საერთაშორიოს ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის სხვა სერიოზულ ქმედებებს.[60] მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიისა და სხვა

---

[58] იხ. მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის თანმიმდევრული მოხსენებები, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ohchr.org/en/hrbodies/hrc/iicisyria/pages/independentinternationalcommission.aspx. იხ. აგრეთვე მოხსენებები ორგანიზაციისა "Human Rights Watch" (HRW), ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.refworld.org/publisher,HRW,COUNTRYREP,SYR,,,0.html და "Amnesty International" - ვებგვერდზე: http://www.refworld.org/publisher,AMNESTY,ANNUALREPORT,SYR,,,0.html.

[59] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 68; UNSC, ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტი: გენერალური მდივნის მოხსენება, 2015 წლის 5 ივნისი, A/69/926–S/2015/409, http://www.refworld.org/docid/557abf904.html (შემდგომში: UNSC, ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტი: გენერალური მდივნის მოხსენება, 2015 წლის 5 ივნისი), პარ. 195.

[60] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 172, 173. იხ. აგრეთვე, HRW, *Slavery: The ISIS Rules*, 2015 წლის 5 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/55ed6f124.html და *სირია: სამოქალაქოთა განზრახ მკვლელობები ISIS-ის მიერ*, 2015 წლის 3 ივლისი, http://www.refworld.org/docid/559e1f1a4.html; OHCHR, ტერორის წესი: ცხოვრება სირიაში *ISIS*-ის გავლენის ქვეშ, 2014 წლის 14 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/5469b2e14.html (შემდგომში,OHCHR, ტერორის წესი: ცხოვრება სირიაში *ISIS*-ის გავლენის ქვეშ, 2014 წლის 14 ნოემბერი).

წყაროების მოხსენებებზე დაყრდნობით, ISIS-ი ახდენს განურჩეველ თავდასხმებს სამოქალაქო მოსახლეობაზე, იყენებს ყუმბარმტყორცნებს, რაკეტებს, დანაღმულ მანქანებსა და თვითმკვლელ-ტერორისტებს. რეალური თუ ამგვარად აღქმული უთანხმოება ISIS-ის ხელისუფლებასთან ან მისი წესების დარღვევა, რომელიც ეფუძნება შარიათის კანონის მკაცრ ინტერპრეტაციას, მკაცრი სასჯელით სრულდება, სათანადო პროცესის გარეშე, საჯაროდ სიკვდილით დასჯის, გაროზგვისა და კიდურების მოკვეთის ჩათვლით.[61] არსებული ინფორმაციის თანახმად, ISIS-ი - ჯგუფის რადიკალური იდეოლოგიით მოტივირებული, რომელიც განსხვავებული რელიგიისა თუ ეთნიკური თემის წარმომადგენლებს წარმართებად მიიჩნევს, სისტემატურად ახორციელებს თავდასხმებს ასეთ თემებზე, იძულებითი გადაადგილებისა და მათი სალოცავების ნგრევის ჩათვლით.[62] მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიისა და სხვა წყაროების შესაბამისად, ISIS-ი აგრძელებს ბავშვთა დაქირავების აქტიურ პრაქტიკას და მათ გამოყენებას სამხედრო ოპერაციებში, თვითმკვლელი-ტერორიტების მისიებისა და სიკვდილით დასჯის ჩათვლით.[63] არსებული ინფორმაციის მიხედვით, ISIS-მა ალყაში მოაქცია მისდამი ოპოზიციურად განწყობილი, ქალაქ დეირ-ეზ-ზურის მჭიდროდ დასახლებული უბნები, რის გამოც ასი ათასობით სამოქალაქო პირს შეეზღუდა წვდომობა საკვებზე, წამლებზე, წყალზე, ელქტროენერგიასა და საწვავზე.[64]

15. მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიისა და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების მოხსენებებში ნათქვამია, რომ მთავრობის მოწინააღმდეგე შეიარაღებული ჯგუფები ჩადიან სამხედრო დანაშაულს - მკვლელობას, სიკვდილით დასჯას სათანადო პროცესის გარეშე, წამებას, ტყვედ აყვანას, ბავშვთა დაქირავებას და მათ გამოყენებას კომბატანტური და არაკომბატანტური ფუნქციების შესასრულებლად, დაცულ ობიექტბზე, სამედიცინო პერსონალზე, რელიგიურ მსახურებზე და

[61] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ.: 21, 48, 58-62, 74, 97, 98, 147, 153, 158, 159. იხ. აგრეთვე, HRW, სირია: სამოქალაქო პირთა განზრახ მკვლელობა *ISIS*-ის მიერ, 2015 წლის 3 ივლისი, http://www.refworld.org/docid/559e1f1a4.html; OHCHR, OHCHR, ტერორის წესი: ცხოვრება სირიაში *ISIS*-ის გავლენის ქვეშ, 2014 წლის 14 ნოემბერი.

[62] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ.: 113-124, 126-128; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 5 თებერვალი, პარ. 39, დანართი 2, პარ. 210.

[63] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ.: 47, 69, 75; UNSC, ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტი: გენერალური მდივნის მოხსენება, 2015 წლის 5 ივნისი, პარ.: 191, 194; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 5 თებერვალი, პარ. 39; HRW, *"ან ვიოცხლებთ, ან გადავრჩებით": ბავშვთა რეკრუტი შეიარაღებული ჯგუფების მიერ სირიაში,* 2014 წლის 24 ივნისი, http://www.refworld.org/docid/53a9751b4.html.

[64] *გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014) და 2191 (2014),* 2015 წლის 22 ოქტომბრის S/2015/813 რეზოლუციების შესრულების შესახებ, პარ. 48; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 105; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის ზეპირი ანგარიში სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 23 ივნისი, პარ. 54.

ჟურნალისტებზე თავდასხმას. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მთავრობის კონტროლის ქვეშ მყოფი ადგილები, რელიგიურ უმცირესობათა ტერიტორიების ჩათვლით, ხშირად ხდება საარტილერიო და სარაკეტო ჭურვებისა და იმპროვიზებული ნაღმების სამიზნე, რასაც ახორციელებენ მთავრობის მოწინააღმდეგე შეიარაღებული ჯგუფები.[65] მთავრობის მოწინააღმდეგე ჯგუფებმა ალყაში მოაქციეს ზოგიერთი ტერიტორია, რომელთა მოსახლეობაც მთავრობის მიმართ თანაგრძნობას გამოხატავს, და მათ დროებით შეუწყვიტეს წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდება.[66]

16. მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიისა და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების მოხსენებებში აღნიშნულია, რომ YPG და ასაიში (*Asayish*), რომლებიც, შესაბამისად, დემოკრატიული კავშირის პარტიის (PYD) სამხედრო ფრთასა და პოლიციის ძალებს წარმოადგენენ, ადამიანის უფლებათა დარღვევებში მონაწილეობენ, დაკავებისა და დაპატიმრების ჩათვლით. ისინი არღვევენ წინასწარი პატიმრობის პროცედურებს და არ განიხილავენ გაუხსნელი მკვლელობებისა და გაუჩინარების საქმეებს.[67] არსებული ინფორმაციის თანახმად, YPG-მა რამოდენიმეჯერ დაშალა ანტისამთავრობო და ანტი-PYD საპროტესტო აქციები, დააპატიმრა დემონსტრანტები და

---

[65] იხ. მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენებები, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.refworld.org/publisher,HRW,COUNTRYREP,SYR,,,0.html და "Amnesty International ", ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.refworld.org/publisher,AMNESTY,ANNUALREPORT,SYR,,,0.html.

[66] "ანტი-სამთავრობო შეიარაღებულმა ჯგუფებმა ალყაში მაოქციეს ნუბული და ზაჰრა (ალეპო) და ფოუა და აფრია (იდლიბი), ნაწილობრივ იმიტომ, რომ აქ შიიტური და ალავაიტური სოფლებია, რომლებიც, მათი აზრით, მხარს უჭერენ მთავრობას"; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 138. იხ. აგრეთვე, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის ზეპირი ანგარიში სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 23 ივნისი, პარ. 53; "Amnesty International ", Amnesty International-ის მოხსენება *2014/15 – Syria*, 2015 წლის 25 თებერვალი, გვ. 356, http://www.refworld.org/docid/54f07d919.html. 2015 წლის ოქტომბრისთვის, OCHA აღარ მიიჩნევს ნუბულსა და ზაჰრას, როგორც ალყაშემორტყმულს, ბოლო სამი თვის პერიოდში მნიშვნელოვანი გაუმჯობესების ფონზე, ჰუმანიტარულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით; იხ. გაეროს ახალი ამბების ცენტრი, *Syrians Living "Tragedy and Despair Barely Imaginable Five Years Ago," Says Top UN Relief Official*, 2015 წლის 27 ოქტომბერი.

[67] "*ადამიანის უფლებათა აქტივისტები მიუთითებენ დარღვევებზე PYD-ის, YPG-ის და Asayish-ის მხრიდან. ეს მოიცავს თვითნებური დაპატიმრებისა და ოპოზიციის სამოქალაქო წევრთა მიმართ ძალადობის ფაქტებს. ადამიანის უფლებათა აქტივისტები, რომელთა ორგანიზაციებიც სირიაში დარღვევათა დოკუმენტირებას ახდენენ, აცხადებენ, რომ PYD-ი ხშირად აპატიმრებს აქტივისტებს, და რომ დაკითხვები მიმსგავსებულია სირიის სამთავრობო ძალების პრაქტიკასთან. დაკავებულებს უყენებენ წინასწარ მოფიქრებულ ბრალდებებს ტერორიზმის მხარდაჭერასა და ღალატში, რომლებსაც ხშირად აწამებენ (...)";* სტაბილურობა: უსაფრთხოებისა და განვითარების საერთაშორისო ჟურნალი, *The Security Gap in Syria: Individual and Collective Security in "Rebelheld" Territories - The PYD: Collective or Individual Security Objectives?*, 2015 წლის 16 ივლისი, http://bit.ly/1kEn0TK. იხ. აგრეთვე, "AmnesTy International" *Syria:Arbitrary Detentions and Blatantly Unfair Trials Mar PYD Fight against Terrorism*, 2015 წლის 7 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/55efecce4.html; HRW, *World Report 2015 – Syria*, 2015 წლის 29 იანვარი, http://www.refworld.org/docid/54cf837c15.html; HRW, *Under Kurdish Rule: Abuses in PYD-Run Enclaves of Syria*, 2015 წლის 19 ივნისი, http://www.refworld.org/docid/53a400c04.html; გაეროს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის ზეპირი ანგარიში სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2014 წლის 18 მარტი, პარ. 22, http://www.refworld.org/docid/537605144.html.

პოლიტიკური ოპონენტები.[68] იმ პერიოდში, როდესაც YPG-მა კვლავ დაიკავა ტერიტორია, რომელსაც მანამდე ISIS-ი ფლობდა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ YPG-ი შეიძლება ძალადობრივ აქტებს ჩადიოდა ძირითადად არაქურთი სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, კერძოდ, ხდებოდა მათი იძულებითი გადაადგილება, საცხოვრებელი სახლების დანგრევა და ქონების ჩამორთმევა და განადგურება.[69] რაქასა და ჰასაკეჰის გუბერნიებში "Amnesty International"-ისმიერ განხორციელებულმა მისიამ დააფიქსირა სამოქალაქო პირთა იძულებითი გადაადგილების ფაქტები ათი სოფლიდან და ორი სოფლის სრული განადგურება ქურთთა ძალების მიერ, რაც, არსებული ინფორმაციის თანახმად, იყო შურისძიება ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ, რომელიც თანაუგრძნობდა ან კავშირი ჰქონდა ISIS-თან.[70] მოხსენებიდან გამომდინარე, YPG-ი სამოქალაქო პირთა იძულებითი გადაადგილების მიზეზად ასახელებდა თვით მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვას ან სამხედრო მიზნებს.[71] მოგვიანებით YPG-მა გააქარწყლა ეს მოხსენება და მას „თვითნებური, მიკერძოებული, არაპროფესიონალური

---

[68] "დაკავებულებმა Amnesty International-თან განაცხადეს, რომ ისინი დააკავეს კაპრიზის გამო, უსაფუძვლო მტკიცებულებით, მშვიდობიანი ოპოზიციონერობის ან *PYD*-ის ხელისუფლების კრიტიკის გამო, ან ტერორისტულ ჯგუფებთან სავარაუდო კავშირისთვის"; "ამნესტი იტნერნეიშენალ", *Syria: Arbitrary Detentions and Blatantly Unfair Trials Mar PYD Fight Against Terrorism*, 2015 წლის 7 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/55efecce4.html. იხ. აგრეთვე, სტაბილურობა: უსაფრთხოების და განვითარების საერთაშორისო ჟურნალი, *The Security Gap in Syria: Individual and Collective Security in "Rebel-held" Territories - The PYD: Collective or Individual Security Objectives?*, 2015 წლის 16 ივლისი, http://bit.ly/1kEn0TK; HRW, *Under Kurdish Rule: Abuses in PYD-Run Enclaves of Syria*, 2014 წლის 19 ივნისი, გვ. 4, http://www.refworld.org/docid/53a400c04.html; ICG, *Flight of Icarus? The PYD"s Precarious Rise in Syria*, 2014 წლის 8 მაისი, გვ. 14, 17, http://bit.ly/1rAwrz4; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2013 წლის 16 აგვისტო, A/HRC/24/46, პარ. 53, 62, 94, http://www.refworld.org/docid/52302c5c4.html.

[69] "მას შემდეგ რაც *YPG-მა კვლავ აიღო მანამდე ISIS-ის* მიერ კონტროლირებული ალ-საკაჰას ტელ ტამერის რეგიონი, *YPG-ის* მებრძოლებმა დაარბიეს არაბული სოფლების კუთვნილი სახლები. მიუხედავად ზოგიერთი მოხსენებისა, სადაც საუბარია ამ ტერიტორიებზე არაბული თემების იძულებითი გადაადგილების შესახებ, უმრავლესმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ ისინი გაიქცნენ *ISIS-სა და YPG-ს* შორის დაპირისპირების დაწყებამდე, და კოალიციის დაბომბვების მიმართ შიშის გამო"; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 133. იხ. აგრეთვე, SNHR, *შინ დაბრუნებას ალტერნატივა არა აქვს: ქურთთა თვითმართული ძალების მიერ ჩადენილი დარღვევები ალ ჰასაკას გუბერნიაში, 2015 წლის 28 ოქტომბერი,* http://bit.ly/1MuSecC; "სიდნეი მორნინგ ჰერალდი"(SMH), *Kurdish Forces Deny Claims of Abuse in Towns They Liberate from IS*, 2015 წლის 19 ივნისი, http://bit.ly/1hDHvhf; ISW, *ISW Blog: The YPG Campaign for Tel Abyad and Northern Ar-Raqqa Province*, 2015 წლის 17 ივნისი, ttp://bit.ly/1OPWzFY; "ტელეგრაფი", *Syrian Rebels Accuse Kurdish Forces of 'Ethnic Cleansing' of Sunni Arabs*, 2015 წლის 15 ივნისი, http://bit.ly/1X25HtJ.

[70] "იძულებითი გადაადგილების ზოგიერთ შემთხვევათა გარემოებები, რომლებზედაც ამ მოხსენებაშია მითითებული, უჩვენებს, რომ ისინი განხორციელდა იმ ადამიანთა მიმართ ვინც მოიაზრებოდა *IS-ის ან სხვა შეიარაღებული ჯგუფების მხარდამჭერად, ან ნათესაური კავშირები ჰქონდათ ამ ძალების წევრობაში ეჭვმიტანილებთან. ეს შეიძლებოდა გამხდარიყო კოლექტიური დასჯის საბაბი, რაც საერთაშორისო ჰუმანტიარული სამართლის დარღვევას წარმოადგენს"; "Amnesty International ", "წასასვლელი არსად გვქონდა" - იძულებითი გადაადგილება და წგრევა ჩრდილოეთ სირიაში,* 2015 წლის 12 ოქტომბერი, MDE 24/2503/2015, გვ. 6, http://www.refworld.org/docid/561cbdaf4.html.

[71] "Amnesty International", *"წასასვლელი არსად გვქონდა" - იძულებითი გადაადგილება და წგრევა ჩრდილოეთ სირიაში,* 2015 წლის 12 ოქტომბერი,,MDE 24/2503/2015, pp. 6, 28, 32, http://www.refworld.org/docid/561cbdaf4.html.

და პოლიტიზირებული“ უწოდა.[72] YPG-მა და *Asayish*-მა იკისრეს ვალდებულება, რომ შეწყვეტენ ბავშვთა რეკრუტს და დაიწყეს 18 წლამდე ასაკის ყველა ბავშვის დემობილიზაციის პროცესი; თუმცა, მოხსენების თანახმად, გასული წლის განმავლობაში კვლავ ხდებოდა ბავშვთა რეკრუტი.[73]

კონფლიქტისა და ძალადობის ზემოქმედება სამოქალაქო მოსახლეობაზე სირიაში

17. კონფლიქტის განსაკუთრებული და დამამძიმებელი მახასიათებელი არის ის, რომ კონფლიქტის მხარეები თავიანთ პოლიტიკურ მოსაზრებებს ხშირად მიაწერენ ადამიანთაფართო მასებს, მათ შორის, ოჯახებს,[74] ტომებს,[75] რელიგიურ ან ეთნიკურ

---

[72] რუდოუ, *YPG Dismisses Amnesty Report Accusing Kurds of Ethnic Cleansing*, 2015 წლის 19 ოქტომბერი, http://bit.ly/1Km1AzN. YPG-ის სრული განცხადება “Amnesty International”-ისმოხსენების საპასუხოდ, 2015 წლის 1 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: http://links.org.au/node/4585.

[73] HRW, *Syria: Kurdish Forces Violating Child Soldier Ban*, 2015 წლის 15 ივლისი, http://www.refworld.org/docid/55adf6324.html; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკსი შესახებ, 2015 წლის 5 თებერვალი, პარ.: 42, 57, 71, და დანართი II, პარ.: 214-216.

[74] მოხსენებებში მუდმივად არის აღწერილი ოჯახის წევრებისა და სხვა პირთა შევიწროების შემთხვევები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ადამიანებთან, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეულნი. მაგალითად, (რეალური ან ნავარაუდევი) დემონსტრანტების, აქტივისტების, ოპოზიციური პარტიების ან შეიარაღებული ოპოზიციური ჯგუფების მებრძოლთა ოჯახის წევრები (მეუღლეების, მცირეწლოვანი ბავშვების, დედმამიშვილების, მშობლების და ახლო ნათესავების ჩათვლით), ხშირად ხდებიან სამიზნე თვითნებური დაკავების, პროცესის გარეშე დაპატიმრების, წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების, სქესობრივი ძალადობის და სხვა უკანონო ანგარიშსწორების ჩათვლით. არსებული ინფორმაციის თანახმად, ანგარიშწორების ობიექტები ხდებიან მეზობლები, კოლეგები და მეგობრები. როდესაც მთავრობის ოპონენტი არის დევნილი, ან მთავრობის ოპონენტად მიჩნეულ პირს ვერ პოულობენ, უშიშროების ძალები ხშირად ახდენენ მათი ოჯახის წევრების დაკავებას და/ან მათ მიმართ ძალადობის განხორციელებას, მათ შორის, ბავშვების წინააღმდეგ. ამის მიზეზი შეიძლება იყოს შურისძიება ოპოზიციონერი ძებნილი პირის მიმართ, ინფორმაციის მოპოვება მისი ადგილმდებარეობის შესახებ, ან იძულება ძებნილი პირისა აღიაროს მისთვის წაყენებული ბრალდება. განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში ხდება ოპოზიციის წევრის ან მოღალატის მთელი ოჯახის დაპატიმრება ან სასამართლოს გარეშე დასჯა, მაგალითად, სახლის ჩხრეკის დროს; იხ. მაგ., გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 41, 50, 51, 55; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2014 წლის მოხსენებები ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - სირია, 2015 წლის 25 ივნისი, გვ. 8; HRW, *World Report 2015 - Syria*, 2015 წლის 29 იანვარი, http://www.refworld.org/docid/54cf837c15.html. ანალოგიურად, ანტისამთავრობო შეიარაღებული ოჯახები არჩევენ მთავრობის მხარდამჭერთა ან ასეთად მიჩნეულ პირთა ოჯახების წევრებს, რათა ისინი სიკვდილით დასაჯონ ან გაიტაცონ გამოსასყიდის მიღების მიზნით, გაცვალონ პატიმრებზე ან გამოიყენონ შურისძიების რაიმე სხვა ფორმებისთვის; იხ. მაგ., ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო საბჭოს მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 5 თებერვალი, დანართი II, პარ. 17; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის ზეპირი ანგარიში სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2014 წლის 18 მარტი, პარ. 28, http://www.refworld.org/docid/537605144.html. მოხსენებები ასევე მიუთითებს, რომ ISIS-ი დევნის იმ პირთა ოჯახის წევრებს, რომლებსაც მოწინააღმდეგედ მიიჩნევენ. ხდება მათი დაკავება და დასჯა, სიკვდილით დასჯის ჩათვლით. ISIS-ის მიერ დაკავებული

ჯგუფებს[76] ან მთელ ქალაქებს, სოფლებსა თუ რაიონებს, კუთვნილების მიხედვით.[77] ფართო თემთა წევრები, ინდივიდუალური შერჩევის გარეშე, მოწინააღმდეგე მხარის

ტერიტორიებიდან ვრცელდება ინფორმაცია, რომ დაკავებისა და გაროზგვის საფრთხის წინაშე დგანან იმ ქალთა მამები, ძმები და მეუღლეები, რომლებიც არ დაიცავენ ISIS-ის მკაცრ წესებს ჩაცმულობასთან დაკავშირებით. იხ. მაგ., CBC News, *Covert Citizen Journalists Inside Islamic State Use Truth to Fight ISIS*, 2015 წლის 24 ოქტომბერი, http://bit.ly/1PTUtFO; "Chanell 4", *სირია: ავტობუსის დაკავება ისლამური სახელმწიფოს დედაქალაქში,* 2015 წლის 6 ოქტომბერი, https://shar.es/15axZj; "Chirstian Post", *ISIS Crucifies 11 Christian Missionaries, Cuts Fingertips off 12-Y-O in Front of Preacher-Father Before Killing Them*, 2015 წლის 10 ოქტომბერი, http://bit.ly/1PTUtFO; მაკ კლეჩი, *For Syrian Activist Group, Resisting the Islamic State Isn''t About Making War*, 2015 წლის 8 ივლისი, http://bit.ly/1D1DesK; CNN, *სირიელი ქალი: იძულებული ვიყავი ISIS-ის პოლიციის უფროსს გავყოლოდი, მამაჩემის სიცოცხლე რომ გადამერჩინა*, 2015 წლის 5 თებერვალი, http://cnn.it/1igxBmg.

[75] 2014 წლის აგვისტოში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ISIS-მა სიკვდილით დასაჯა სიიტური ტომის 700 წევრი, ძირითადად, სამოქალაქო პირები - დეირ ეზ-ზურის გუბერნიის სოფლებში, ISIS-ის წესების წინააღმდეგ გამოსვლების გამო. უფრო მოგვიანებით, 2015 წლის მაისში, ამავე ტომის რამდენიმე მამაკაცი დასაჯეს სიკვდილით ISIS-ის ძალებმა მალმირასი (ჰომსი) და დეირ ეზ-ზურში, იმ ტომთან ურთიერთობისთვის, რომელიც ISIS-ის საწინააღდეგო პოზიციით გამოირჩეოდა; International Business Times, *ISIS: Sunni Tribe in Eastern Syria Pay Bloody Price for Rebellion against Islamic State*, 2015 წლის 21 მაისი, http://bit.ly/1K88N6g; ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო საბჭოს მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 5 თებერვალი, დანართი II, პარ. 27-30; OHCHR, ტერორის წესი: *ISIS-ის კონტროლის ქვეშ ცხოვრება სირიაში,* 2015 წლის 14 ნოემბერი, პარ. 68.

[76] *კონფლიქტის განვითარების ფონზე, რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფები, მათ შორის, ალავიტები, შიიტები, ქრისტიანები და დრუზები, სულ უფრო ინტენსიურად ემხრობოდნენ მთავრობას, ძირითადად კოპლექსური ფაქტორების გამო, როგორიცაა, შურისძიების შიში და დისკრიმინაცია რადიკალური ოპოზიციის მხრიდან, პოლიტიკური ალტერნატივების არქონა, ოჯახის წევრების დაკარგვა, ასევე, ეკონომიკური მიზეზები. რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფები აგრეთვე შეუერთდნენ პრო-სამთავრობო ძალებს, მათ შორის, თავდასხმებისაგან (რეალური თუ მოსალოდნელი) თავიანთი თემების დაცვის მიზნით. კონფლიქტის მიმდინარეობისას, ქურთთა მოსახლეობა სულ უფრო მეტად მიიჩნეოდა (განსაკუთრებით, ISIS-ის და JAN-ის მიერ) YPG-ის მხარდამჭერად, რომელმაც კვლავ ხელში აიღო მანამდე ISIS-ის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი სირიის ჩრდილოეთით. ექსტრემისტული ჯგუფები ქურთებს "ურწმუნოებად" მიიჩნევენ; არსებული ინფორმაციის თანახმად, რელიგიური და უმცირესობათა ჯგუფების წინააღმდეგ თავდახმები კიდევ უფრო გახშირდა; მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა მოტივაციის კომბინაცია. რელიგიური ან ეთნიკური უმცირესობების ჯგუფები არასახელმწიფო შეიარაღებული ჯგუფების მხრიდან თავდასხმის საფრთხის ქვეშ აღმოჩდნენ, რეიდების, საარტილერიო ცეცხლის, სარაკეტო შეტევების და დანაღმული მანქანების ჩათვლით, ასევე, ალყისა და ძირითადი მოხმარების საგნების მიწოდების შეწყვეტის. მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის თანახმად „ზოგიერთი [რელიგიური და ეთნიკური] თემი ISIS-ის და ალ-ნუსრას მხრიდან განსაკუთრებული დევნის ობიექტი აღმოჩნდა, დისკრიმინაციული განზრახვით, მათი ფაქტობრივი თუ ნავარაუდევი რელიგიური და/ან ეთნიკური კუთვნილების გამო. ზოგიერთი თავდასხმის დროს ანტისამთავრობო შეიარაღებული ძალები ჯაბჰატ ალ-ნუსრასთან ერთად მოქმედებდნენ. ზოგ შემთხვევაში თავდასხმის მოტივაცია უფრო რთულია, რაც მომდინარეობს თავდამსხმელთა დამოკიდებულებიდან თემის ეთნიკური და/ან რელიგიური წარმომავლობის მიმართ და მათი პოლიტიკური ლოიალობის მიმართ. იქ, სადაც, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს ოპოზიციური მეომარი მხარეების მხარდამჭერებად მიიჩნევენ, მთელი თემი ხდება დისკრიმინაციის ობიექტი და, ზოგ შემთხვევაში, ძალადობრივი თავდასხმებისაც.* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 110, 111. მაგალითად, იხ. იგივე მოხსენება, პარ.: 126, 129, 137, 138. იხ. აგრეთვე, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის ზეპირი ანგარიში სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 23 ივნისი, პარ. 29, 35;დაცვის პასუხისმგებლობის გლობალური ცენტრი, *Failure to Protect: Syria*

რეალური თუ სავარაუდო მხარდაჭერის გამო, ხშირად ხდებიან სხვადასხვა აქტორთა საპასუხო მოქმედებების სამიზნე, მათ შორის, სამთავრობო ძალების,[78] ISIS-ის,[79] და

---

and the UN Security Council, Occasional Paper Series No. 5, 2015 წლის მარტი, გვ. 9, http://www.globalr2p.org/publications/360; HRW, *"ის არ უნდა მომკვდარიყო": ოპოზიციური ჯგუფების განურჩეველი თავდასხმები სირიაში*, 2015 წლის 23 მარტი, გვ.1, 14-15, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 5 თებერვალი, პარ. 51, 123, და დანართი II, პარ. 220-238. (არაბი) სუნიტები, განსაკუთრებით, თუ ისინი არიან ისეთი ტერიტორიებიდან, რომლებიც თანაუგრძნობენ ოპოზიციას ან ცხოვრობენ ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების მიერ *დე ფაქტო* კონტროლირებულ ტერიტორიებზე, მთავრობის მიერ ოპოზიციად არის მიჩნეული. როგორც ასეთი, მათი მდებარეობის ადგილები ხშირად ხვდება დაბომბვის, არტილერიის შეტევის და სამხედრო დარბევების ობიექტი, ასევე, ხდება მათთვის საკვებისა და სხვა პირველადი მოხმარების საგნების მიწოდების შეწყვეტა. სამთავრობო ძალების მიერ სუნიტების დევნა ხდება სხვა საშუალებებითაც, როგორიცაა, თვითნებური დაკავება, სასამართლოს გარეშე დაპატიმრება, წამება და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმები, ასევე, სასამართლოს გარეშე და თვითნებური სიკვდილით დასჯა, რასაც საფუძვლად უდევს მათი კუთვნილება სუნიტურ ისლამთან ან სალაფისტურ მხარეებთან, ან, უფრო ზოგადად, ანტისამთავრობო შეიარაღებულ ჯგუფებთან. მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის თანახმად, "*მთავრობის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე, მამაკაცს, რომელიც არის დაუმორჩილებელი რეგიონიდან, დაკავების დიდი საფრთხე ელის საკონტროლო პუნქტზე ან ბინის ჩხრეკის დროს, რადგან მიიჩნევა, რომ იგი თანაუგრძნობს ან მხარს უჭერს ანტისამთავრობო ჯგუფებს. ამ საზოგადოებას გაუჩინარების, წამების და პატიმრობის სხვა ფორმების განსაკუთრებული საფრთხე ემუქრება";* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 134. იხ. აგრეთვე ამავე მოხსენების პარ. 136.

[77] "ვინაიდან თემები და ჯგუფები არიან შეშინებულნი, ან შიშის განცდა ჰქონდათ, მათ დაიხიეს ისეთი ტერიტორიებისკენ, რომლებიც უფრო უსაფრთხოდ მიაჩნდათ. ამან კიდევ უფრო განამტკიცა საშიში მოსაზრება იმის შესახებ, რომ არსებობს კავშირი ზოგიერთ ეთნიკურ და/ან რელიგიურ ჯგუფებსა და პოლიტიკურ ლოიალობას შორის. შესაბამისად, ოპოზიციური მებრძოლი მხარეების მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე განურჩეველი თავდასხმებისას დიდია კონკრეტული რელიგიური ან ეთნიკური თემებისთვის ზიანის მიყენების ალბათობა"; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 135.

[78] მოხსენებებში ნათქვამია, რომ მთავრობა ზოგადად ოპოზიციად მიიჩნევს სამოქალაქო პირებს, რომლებიც ცხოვრობენ ან წარმოშობით არიან იმ ადგილებიდან, სადაც ეწყობოდა სახალხო საპროტესტო გამოსვლები, ან სადაც იმყოფებოდნენ (თუნდაც დროებით) ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფები. მოხსენებების თანახმად, ეს არის უფრო ფართო პოლიტიკის ნაწილი, სადაც სამოქალაქო პირების დევნა ხდება იმ მიზეზით, რომ ისინი იმყოფებიან, ან წარმოშობით არიან რეგიონიდან, რომელიც მიჩნეული არის მთავრობის მოწინააღმდეგედ ან ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების მხარდამჭერად. მოხსენებებში აღწერილია, რომ მთავრობა ცდილობს ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფებისადმი მხარდაჭერა აღმოფხვრას სამოქალაქო პირთა დასჯით მათი რეალური თუ მათდამი მიწერილი ოპოზიციონერობისთვის მთავრობის მიმართ, და, მათთვის ცხოვრების აუტანელი პირობების შექმნით ამ ჯგუფების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიებზე. ამ ადგილებში მყოფი სამოქალაქო პირების წინააღმდეგ, გავრცელებული ინფორმაციის შესაბამისად, სამთავრობო ძალები იყენებენ დასჯის სხვადასხვა ფორმებს, დაკავების, წამების, სქესობრივი ძალადობის და სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯის ჩათვლით, რაც ხშირად ხდება ტერიტორიაზე შეჭრის და ბინების ჩხრეკის დროს, ასევე, საკონტროლო პუნქტებზე. არსებული ინფორმაციის თანახმად, სამხედრო რეიდების დროს, სამთავრობო ძალები ძარცვავენ და ანადგურებენ ოპოზიციონერთა სახლებსა და სავაჭრო ობიექტებს. ვინაიდან მთავრობამ ქვეყნის გარკვეულ ნაწილზე კონტროლი დაკარგა, იგი, არსებული ინფორმაციის თანახმად, სულ უფრო ხშირად იყენებს საარტილერიო შეტევებსა და საჰაერო დაბომბვებს ამ ტერიტორიებზე მყოფი სამოქალაქო პირების წინააღმდეგ. ანტისამთავრობო ჯგუფების მიერ დაკავებული მთელი რიგი ტერიტორიები მთავრობის მიერ არის ბლოკირებული, რის გამოც მოსახლეობა მოკლებულია პირველადი

ანტისამთავრობო შეიარაღებული ძალების.[80] შესაბამისი მოხსენებების თანახმად, ადგილობრივი მოსახლეობის ჯგუფები, კონფლიქტის მიმართ კონკრეტული

მოხმარების საგნებს, არა აქვს საკვები და სამედიცინო დახმარება. იხ. მაგალითად, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 168; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2014 წლის მოხსენებები ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - სირია, 2015 წლის 25 ივნისი, გვ. 22; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის ზეპირი ანგარიში სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 23 ივნისი, პარ. 40; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი კომისიის მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 5 თებერვალი, პარ. 49, 50.

[79] მოხსენებებში ნათქვამია, რომ კონტროლის დამყარებისა და განმტკიცების მიზნით, ISIS-ი განზრახ იყენებს სამიზნედ სამოქალაქო მოსახლეობას მათი რეალური (ამ მათდამი მიწერილი) პოლიტიკური მოსაზრებების და/ან რელიგიური თუ ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე, კერძოდ, მათ მიმართ ხორციელდება განურჩეველი შეტევა (უმცირესობათა) ტერიტორიებზე, სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯა და იძულებითი გადაადგილება. "(...) *ექსპერტებმა კვლავ შეშფოთებას გამოხატავენ სირიაში უმცირესობათა ჯგუფების წინაშე მდგარი საფრთხის გამო, ალავიტების, სომხების, დრუზების, ისმაილისტების და ქურთების ჩათვლით, რომლებსაც კლავენ, დევნიან ან სხვა გზით ავიწროებენ - ძირითადად არასახელმწიფო შეიარაღებული ჯგუფები, მათ შორის ჯაბჰატ ალ ნუსრასა და ეგრეთ წოდებული "ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო" – მათი რელიგიური თუ ეთნიკური იდენტობის საფუძველზე"; გაეროს ახალი ამბების ცენტრი, Syria: UN Rights Officials Deplore Government Aerial Attacks; Warn of Retaliation by Armed Groups*, 2015 წლის 12 ივნისი, http://www.refworld.org/docid/5580181c40a.html. მკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის შესაბამისად, "*ISIS-ის მიერ ოკუპირეულ ტერიტორიებზე, სადაც სხვადახვა ეთნიკური და რელიგიური თემები ცხოვრობენ, უმცირესობას აიძულებდნენ ან მოეხდინათ ასიმილირება, ან - გაქცეულიყვნენ. ამის შედეგად ქურთებმა ჯერ კიდევ 2013 წლის ივლისში იძულებით დატოვეს არრაქას დასახლებული პუნქტები. 2014 წლის ნოემბერში მათ გაასახლეს ალ ბაბში (ალეპო) მცხოვრები ქურთები. მათ, თავიანთ კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე, ასევე დაანგრიეს ქრისტიანული ეკლესიები და შიიტური სალოცავები*"; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 5 თებერვალი, პარ. 39. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 32, 98, 113, 123-126; OHCHR, *ტერორის წესი: სირიაში ცხოვრება ISIS-ის კონტროლის ქვეშ,* 2014 წლის 14 ნოემბერი, პარ. 24, 28, 29, 69-72.

[80]მოხსენებებში ნათქვამია, რომ ანტისამთავრობო შეიარაღბული ჯგუფები "პრო-სამთავრობო" მოსახლეობის განსაზღვრისთვის ძალზე ფართო ინტერპრეტაციას იყენებს. მათ მიაკუთვნებენ მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ ტერიტორიებზე, რომლებსაც აკონტროლებს მთავრობა; რომლებზედაც იმყოფება სამხედრო პერსონალი ან განლაგებულია სამხედრო დანაყოფები (ხშირად საცხოვრებელ უბნებშია განლაგებული); და თემებს, რომლებსაც მიიჩნევენ მთავრობის მხარდამჭერებად მათი რელიგიური იდენტობის გამო. ასეთი სამოქალაქო მოსახლეობა ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების მიერ მოწინააღმდეგედ არის აღქმული. არსებული ინფორმაციის თანახმად, "პრო-სამთავრობო" ძალად მიჩნევის შედეგად, ანტისამთავრობო შეიარაღბული ჯგუფები დევნის სამოქალაქო მოსახლეობას უბანში, სოფლებსა და დაბებში, რომლებიც ამჟამად ან ადრე იყვნენ სირიის მთავრობის კონტროლის ქვეშ. ანალოგიურად, უბნები, სოფლები და დაბები, რომლებიც ძირითადად დასახლებულია უმცირესობათა ჯგუფებით, ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების სამიზნე ხდება იმის გამო, რომ მოსახლეობას მთავრობის მხარდამჭერებად მიიჩნევენ. ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფები სხვადასხვა ტაქტიკას მიმართავენ, მათ შორის, ბომბავენ და სარაკეტო ცეცხლს უშენენ ადგილებს, სადაც "პრო-სამთავრობო" მოსახლეობა ცხოვრობს, იყენებენ სნაიპერებს, თვითმკვლელ ტერორისტებს და დანაღმულ მანქანებს, ასევე, ახორციელებენ სახმელეთო შეტევებს, რასაც თან სდევს მძევლების აყვანა, სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯა, მასობრივი ჟლეტის ჩათვლით, აგრეთვე,

პოლიტიკური მოსაზრების ან კუთვნილების გამო, საჰაერო დაბომბვის, საარტილერიო ჭურვების, თვითმკვლელი ტერორისტების და დანაღმული მანქანების, თვითნებური დაპატიმრების, მძევლად აყვანის, წამების, გაუპატიურების და სქესობრივი ძალადობის სხვა ფორმების, და სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯის სამიზნე ხდებიან. პოლიტიკური მოსაზრების ან კუთვნილების შესახებ შეხედულების ჩამოყალიბება ხშირად ეფუძნება პირის ფიზიკურ ყოფნას კონკრეტულ ტერიტორიაზე (ან იმ ფაქტს, რომ პირი წარმოშობით არის კონკრეტული ტერიტორიიდან), ან მის ეთნიკურ, რელიგიურ თუ ტომობრივ კუთვნილებას. ზიანის რისკი სერიოზული და რეალურია, და მას არანაირად არ ამცირებს ის ფაქტი, რომ მოცემული პირი შეიძლება ინდივიდუალურად არ გახდეს სამიზნე.

18. მიმდინარე კონფლიქტი დრამატულ ზემოქმედებას ახდენს **ქალებზე**, რადგან ისინი სულ უფრო ხშირად ხდებიან კონფლიქტის სხვადასხვა მხარეთა მხრიდან ძალადობის მსხვერპლნი, მათი გენდერის საფუძველზე.[81] არსებული ინფორმაციის თანახმად, ათასობით ქალი დაიღუპა სამოქალაქო ტერიტორიების დაბომბვის, სნაიპერების მოქმედების, თავდასხმებისა და სასტიკი ხოცვა-ჟლეტის დროს.[82] მრავალი მათგანი დააპატიმრეს, დაატყვევეს, აწამეს და მათ მიმართ ჩაიდინეს სქესობრივი და სხვა სახის ძალადობრივი აქტები. ქალებს იყენებენ ფარად ან მათ მიმართ იყენებენ შარიათის კანონის უმკაცრეს ინტერპრეტაციას.[83] ქალთა და გოგონათა სულ უფრო მზარდი

ძარცვა და საკუთრების დარბევა. გარდა ამისა, მოხსენებებიდან ჩანს, რომ ანტისამთავრობო შეიარაღებული ძალები, ზოგ ტერიტორიაზე, ბლოკადაში აქცევს "პრო-სამთავრობოდ" მიჩნეულ ტერიტორიებს ან ასეთ ტერიტორიებზე მყოფ სამოქალაქო პირებს განზრახ უსპობს ძირითად მომსახურებებზე და ჰუმანიტარულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობას. "პრო-სამთავრობო" ადგილების სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ ხდება მძევლად აყვანა გამოსასყიდის მოთხოვნის ან ტყვეთა გაცვლის მიზნით; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 32, 36, 37, 104, 137, 138; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის ზეპირი ანგარიში სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 23 ივნისი, პარ. 41; HRW, *"ის არ უნდა მომკვდარიყო": ოპოზიციური ჯგუფების განურჩეველი თავდასხმები სირიაში, 2015 წლის 23 მარტი, გვ. 1, 14-15;* http://www.refworld.org/docid/55111ca54.html; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 5 თებერვალი, პარ. 21-23 და დანართი II, პარ.:15-20, 60-65, 94, 95, 98, 100, 197, 198, 202, 230-237, 265-268.

[81] *"ვინაიდან კონფლიქტმა მოიცვა სამოქალაქო მოსახლეობის ტერიტორია, ადამიანებს მოესპოთ ნორმალური ცხოვრების შესაძლებლობა. განსაკუთრებით მძიმე ზემოქმედება მოხდა ქალებსა და ბავშვებზე, რომელთა ძირითადი უფლებები ირღვევა კონფლიქტის მხარეთა მოქმედებების შედეგად";* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2014 წლის 13 აგვისტო, A/HRC/27/60, პარ. 137, http://www.refworld.org/docid/53fed8134.html. იხ. აგრეთვე, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 49.

[82] BMJ, *Civilian Deaths from Weapons Used in the Syrian Conflict*, 2015 წლის 29 სექტემბერი, http://www.bmj.com/content/351/bmj.h4736. იხ. აგრეთვე, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის შემდგომი მოხსენებები, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე, http://www.ohchr.org/en/hrbodies/hrc/iicisyria/pages/independentinternationalcommission.aspx.

[83] გაეროს ახალი ამბების სამსახური, გაეროს უშიშროების საბჭო გმობს სქესობრივი ძალადობის გამოყენებას "საომარი ტაქტიკის" სახით, 2015 წლის 28 აგვისტო,

რაოდენობა ხდება ოჯახის ძირითადი ან ერთადერთი მარჩენალი, რადგან ოჯახის მამაკაცი წევრები არიან დასახიჩრებულნი ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, იმყოფებიან პატიმრობაში, გაუჩინარდნენ, გარდაიცვალნენ, მონაწილეობენ კონფლიქტში ან ვერ გადაადგილდებიან დაკავების, დაპატიმრების თუ საკონტროლო პუნქტებზე თვითნებური დახვრეტის შიშით.[84] ეს ქალები და გოგონები განსაკუთრებული სირთულის წინაშე დგანან მათი ცხოვრების ხელახალი აშენებისა და ოჯახებზე ზრუნვის თვალსაზრისით და, ამავდროულად, შეურაცხყოფისა და ექსპლუატაციის სულ უფრო მზარდი რისკის ქვეშ იმყოფებიან.[85]

19. კონფლიქტი ყველაზე უარყოფითად ბავშვებზე მოქმედებს. OCHA-ის თანახმად, *„დღეს სირია დედამიწის ზურგზე ყველაზე საშიშია ადგილია ბავშვისთვის“.* [86] ათასობით ბავშვი იქნა მოკლული ან დასახიჩრებული ჯვარედინი სროლების, საარტილერიო თავდასხმების თუ დაბომბვის შედეგად, ასევე, ისინი ხდებიან ისეთი ძალადობის სამიზნე, როგორიცაა, სნაიპერის მოქმედება, სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯა და ხოცვა-ჟლეტის აქტები.[87] მრავალი მათგანი არის დაჭრილი,

---

http://www.refworld.org/docid/55e4017840c.html; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 49-63; UNSC, კონფლიქტთან დაკავშირებული სქესობრივი ძალადობა: გენერალური მდივნის მოხსენება, 2015 წლის 23 მარტი, S/2015/203, http://www.refworld.org/docid/5536100a4.html (შემდგომში:UNSC ,კონფლიქტთან დაკავშირებული სქესობრივი ძალადობა: გენერალური მდივნის მოხსენება, 2015 წლის 23 მარტი), პარ. 60-62; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 5 თებერვალი, პარ. 60-64; OHCHR, *ტერორის წესი: სირიაში ცხოვრება ISIS-ის კონტროლის ქვეშ,* 2014 წლის 14 ნოემბერი, პარ. 47-57.

[84] *"სირიელ ლტოლვილთა და იგპ-თა ნახევარზე მეტი ქალია. ეს იმიტომ ხდება, რომ ზრდასრული მამაკაცები საბრძოლველად არიან წასული, ან მოკლეს, ან გაუჩინარდნენ. თუ ოჯახი დაზარალებული არ არის, მამაკაცები დაუმორჩილებელი რეგიონებიდან ან ისეთი თემებიდან, რომლებიც მიჩნეულნი არიან ოპოზიციური ფრაქციების მხარდამჭერებად, ხშირად გადაადგილებას არ მიმართავენ, რადგან ეშინიათ საკონტროლო პუქნტებზე დაკავების, დაპატიმრების ან სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯის. შესაბამისად, კონფლიქტის განმავლობაში და ISIS-ის კონტროლს გარეთ მყოფ ტერიტორიებზე, სირიის არაბულ რესპუბლიკაში შეინიშნება შინამეურნეობების ზრდა, რომლებსაც ქალი უდგას სათავეში. მიუხედავად ხელისშემშლელი სირთულეებისა, ქალები ხშირად არიან მთავარი ფიგურები ბავშვის აღზრდისა და უზრუნველყოფის პროცესში",* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 65.

[85] გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), *სიჩუმის დარღვევა - ახალი ცხოვრების იმედი,* 2015 წლის 29 აპრილი. http://bit.ly/1Dr6xeh; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 5 თებერვალი, პარ. 59. იხ. აგრეთვე, მეოთხე არხის ახალი ამბები, სირია: ფარული ომი ქალების წინააღმდეგ, 2015 წლის 8 სექტემბერი, http://bit.ly/1LWfZqh.

[86] OCHA, *ადამიანის უფლებათა და გადაუდებელი დახმარების საკითხებში გენერალური მდივნის მოადგილის, სეფენ ო"ბრაიენის განცხადება სირიის საკითხზე უშიშროების საბჭოს სხდომაზე, 2015 წლის 16 სექტემბერი,* https://shar.es/1uvVKh. იხ. აგრეთვე, *"Tragedy and Despair Barely Imaginable Five Years Ago," Says Top UN Relief Official*, 2015 წლის 27 ოქტომბერი.

[87] BMJ, *Civilian Deaths from Weapons Used in the Syrian Conflict*, 2015 წლის 29 სექტემბერი, http://bit.ly/1KVlByB; Save the Children, *განათლება თავდასხმების ფონზე სირიაში, 2015 წლის 16 სექტემბერი,* http://bit.ly/1Pqsw9g; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 70, 71; UNSC, ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტი: გენერალური მდივნის მოხსენება, 2015 წლის 5 ივნისი, პარ. 197, 198, 200, 205.

დაპატიმრებული, მათ იტაცებენ, აწამებენ, მათ მიმართ ხდება სქესობრივი ძალადობის აქტები, რის შედეგადაც ბავშვთა დიდი რაოდენობა მძიმედ არის ტრავმირებული.[88] სირიაში კონფლიქტის შედეგად 5,6 მილიონი ბავშვი არის დაზარალებული და ისინი ცხოვრობენ *„სიღარიბეში, დევნილობაში და მომწყვდეულნი არიან ცეცხლის ხაზებს შორის“,* [89] ხოლო ორ მილიონამდე ბავშვი სირიის ძნელადმისადგომ რეგიონებში ცხოვრობს.[90] ბავშვებზე განსაკუთრებით მძიმედ მოქმედებს ალყაშემორტყმულ ტერიტორიებზე ცხოვრება, სადაც მცირეწლოვან ბავშვთა სიკვდილიანობა ძირითადად გამოწვეულია არასათანადო კვებითა და დეჰიდრატაციით.[91] არსებული მონაცემების თანახმად, ორ მილიონზე მეტი ბავშვი სკოლაში ვერ დადის, ხოლო 450 000 ბავშვი სკოლის მიტოვების საფრთხის წინაშე დგას.[92] კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ბავშვები უკვე არიან, ან შეიძლება გახდნენ, ბავშვის შრომის, ოჯახში ძალადობის და/ან ადრეული და იძულებითი ქორწინების მსხვერპლი.[93] მოხსენებებში მითითებულია კონფლიქტში მონაწილე მხარეთა მიერ ბავშვთა რეკრუტის ფაქტებზე, დამხმარე თუ საბრძოლო ფუნქციების შესრულების მიზნით, რითაც მათ დაღუპვის, დასახიჩრების,

---

[88] იხ. მაგალითად, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), ბავშვთა დაცვა - ფაქტები და ციფრები - 2015 წლის სექტემბერი, 2015 წლის 10 ოქტომბერი, http://bit.ly/20EC2K1; გაეროს ახალი ამბების სამსახური, *უშიშროების საბჭო გმობს სქესობრივი ძალადობის გამოყენებას "ომის ტაქტიკის" სახით ერაყსა და სირიაში, 2015 წლის 28 აგვისტო,* http://www.refworld.org/docid/55e4017840c.html; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 72,74,68; UNSC, კონფლიქტთან დაკავშირებული სქესობრივი ძალადობა: გენერალური მდივნის მოხსენება, 2015 წლის 23 მარტი, პარ. 60-62; UNICEF, *სირიასა და ერაყში კონფლიქტით დაზარალებულია 14 მილიონი ბავშვი, 2015 წლის 12 მარტი, გვ. 5,* http://www.refworld.org/docid/562488db4.html.

[89] UNICEF, *სირიელი ბავშვები, დაუთარიღებელი (ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის 15 ნოემბერს),* http://childrenofsyria.info/.

[90] UNICEF, *Syria Crisis Monthly Humanitarian Highlights and Results*, 2015 წლის შექტემბერი, გვ. 2, http://bit.ly/1MQoCq4.

[91] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 77.

[92] UNICEF, *განათლება ცეცხლის ქვეშ, 2015 წლის 3 სექტემბერი, გვ. 4,* http://www.refworld.org/docid/55e954654.html.

[93] გოგონები პატარძლები არ არიან, *ბავშვთა ქორწინება მსოფლიოში: სირიის არაბული რესპუბლიკა, დაუთარიღებელი (ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის 15* ნოემბერს), http://bit.ly/1GzOhkc; World Vision, *რისი ცოდნა გსურს: კონფლიქტი სირიაში, ბავშვები და ლტოლვილთა კრიზისი,* 2015 წლის 5 ოქტომბერი, https://shar.es/1uQcYp; Save the Children/UNICEF, *პატარა ხელები, მძიმე ტვირთი: როგორ ერეკება სირიის კონფლიქტი ბავშვებს შრომის ბაზარზე,* 2015 წლის 2 ივლისი, http://www.refworld.org/docid/55966c574.html; UNICEF, *სირიასა და ერაყში კონფლიქტით დაზარალებულია 14 მილიონი ბავშვი, 2015 წლის 12 მარტი, გვ.* 3-4, http://www.refworld.org/docid/562488db4.html; UNFPA, *Child Marriage Takes a Brutal Toll on Syrian Girls*, 2014 წლის 15 ოქტომბერი, http://bit.ly/1xlkGkl. სირიელ ლტოლვილთა შორის ბავშვთა ქორწინება და გოგონათა და ქალთა მიმართ სქესობრივი ძალადობა მთავარ პრობლემად იქცა, რაც გამანადგურებლად მოქმედებს სირიელ გოგონათა ჯანმრთელობაზე, განათლებასა და ზოგად კეთილდღეობაზე; ABC, *Number of Syrian Refugee Girls Forced into Marriage Triples*, 2015 წლის 14 ოქტომბერი, http://ab.co/1G4GYRz; CARE, "*To Protect her Honour" - Child Marriage in Emergencies – the Fatal Confusion between Protecting Girls and Sexual Violence*, 2015 წლის 2 ივლისი, http://bit.ly/1Ky3vkF;"მიდლ ისტ აი", *Many Child Marriages among Syrian Refugees Driven by Economics*, 2015 წლის 2 აპრილი, https://shar.es/1uvMxS; მაშველთა საერთაშორისო კომიტეტი (IRC), *Are We Listening?Acting on Our Commitments to Women and Girls Affected by the Syrian Conflict*, 2014 წლის სექტემბერი, http://bit.ly/1NOquiU; Save the Children, *ქორწინებისთვის ძალიან ახალგაზრდა - იორდანიაში სირიელ გოგონათა ადრეული ქორწინების მზარდი პრობლემა*, 2014, http://bit.ly/1mnN4f9.

წამების თუ ტრავმირების უდიდესი საფრთხის წინაშე აყენებენ.[94] სირიაში, იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მთავრობის კონტროლის ქვეშ არ არის, სამოქალაქო რეესტრის სამსახური მოშლილია და აღარ ფუნქციონირებს, რის გამოც არ ხდება სირიაში დაბადებული ბევრი ბავშვის რეგისტრირება კანონიერი დოკუმენტის მეშვეობით, სადაც აღნიშნული იქნება მათი იდენტობა, ოჯახის შემადგენლობა ან ეროვნება.[95]

20. არსებული ინფორმაციის თანახმად, სირიის კონფლიქტი და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი მკაცრი პოლიტიკა და ექსტრემისტული ისლამური შეიარაღებული ჯგუფები, განსაკუთრებით, ISIS და JAN, დაუცველს ხდის და რისკის ქვეშ აყენებს **სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მქონე პირებს სირიაში.**[96] სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის მქონე პირები, გავრცელებული ინფორმაციის შესაბამისად, ხშირად ხდებიან სხვადასხვა ფორმის არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი სხვადასხვა აქტორთა ხელში,[97] მათი უშუალო ოჯახებისა და ნათესავების,[98] ფართო საზოგადოების,[99] ხელისუფლებისა[100] და, ასევე, შეიარაღებული

---

[94] გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 68, 69, 75, 76; UNSC, ბავშვები და შეიარაღებული კონფლიქტი: გენერალური მდივნის მოხსენება, 2015 წლის 5 ივნისი, პარ. 191-195, 207. იხ. აგრეთვე, ზემოთ, პარ. 12-16: "ადამიანის უფლებათა მდგომარეობა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები".

[95] UNHCR, 2015 წლის ნოემბერი.

[96] SMH, *'არაფერია იმაზე უარესი, ვიდრე იყო გეი დღევანდელ სირიაში'*, 2015 წლის 17 ოქტომბერი, http://bit.ly/1Mkftje (შემდგომში,SMH,*'არაფერია იმაზე უარესი, ვიდრე იყო გეი დღევანდელ სირიაში'*, 2015 წლის 17 ოქტომბერი); UNSC, *კონფლიქტთან დაკავშირებული სქესობრივი ძალადობა: გენერალური მდივნის მოხსენება, 2015 წლის 23 მარტი, პარ. 61;* CNN, *Amid Brazen, Deadly Attacks, Gay Syrians Tell of Fear of ISIS Persecution*, 2015 წლის 6 მარტი, http://cnn.it/1wY6VrN (შემდგომში: CNN, *Amid Brazen, Deadly Attacks, Gay Syrians Tell of Fear of ISIS Persecution*, 2015 წლის 6 მარტი); France 24, *Gays in Syria Risk Execution by IS Militants*, 2014 წლის 12 დეკემბერი, http://f24.my/1ApRyKS; BBC, *Gay Community Hit Hard by Middle East Turmoil, 2014 წლის 29 ოქტომბერი,* http://bbc.in/1wFN1SL (შემდგომში, BBC, *Gay Community Hit Hard by Middle East Turmoil*, 2014 წლის 29 ოქტომბერი).

[97] "*გეი ადამიანები არიან სახელმწიფოს, მისი მებრძოლი ჯგუფების და საკუთარი ოჯახის დევნის ობიექტები;* BBC, *Gay Community Hit Hard by Middle East Turmoil, 2014 წლის 29 ოქტომბერი.* "ბევრი გეი ორმაგი საფრთხის წინაშე დგას: მათ დევნის სირიის ჯარი და შეიარაღებული დაჯგუფებები, ხოლო ოჯახი უარყოფს მათ, ან კიდევ უფრო უარეს ზომებსაც მიმართავს"; "Washingtion Post", *ორმაგი საფრთხე გეი ადამიანისთვის, 2014 წლის 25 აპრილი,* http://wapo.st/1lO8WpT.

[98] SMH, *'არაფერია იმაზე უარესი, ვიდრე იყო გეი დღევანდელ სირიაში'*, 2015 წლის 17 ოქტომბერი; BBC, *Gay Community Hit Hard by Middle East Turmoil, 2014 წლის 29 ოქტომბერი;* 29 October 2014; Washingtion Post, *ორმაგი საფრთხე გეი ადამიანისთვის, 2014 წლის 25 აპრილი,* http://wapo.st/1lO8WpT.

[99] ადამიანის უფლებათა აქტივისტები და ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა სქესობრივი ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ადამიანთა უფლებებს იცავენ, აცხადებენ, რომ სირიის საზოგადოებაში ხდება აშკარა დისკრიმინაცია სქესობრივი ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე. ჰომოსექსუალიზმი კვლავ მიიჩნევა ფსიქიკურ აშლილობად ან გარყვნილებად. ადამიანთა უმრავლესობა, მათი რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, ღიად უარყოფს ჰომოსექსუალიზმს/ტრანსსექსუალიზმს, დომინანტი სოციალური და რელიგიური დამოკიდებულების საფუძველზე. განსხვავბული სქესობრივი ორიენტაციის მქონე პირთა ოჯახებს ეშინიათ საზოგადოებაში გავრცელებული სტიგმის, თუკი ცნობილი გახდება მათი ვაჟის ან ქალიშვილის სქესობრივი ორიენტაცია. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2014 წლის მოხსენებები ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - სირია, 2015 წლის 25 ივნისი, გვ. 55.

ჯგუფების ჩათვლით, მათ შორის, ISIS-ისა და JAN-ის.[101] როგორც აღნიშნავენ, სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მქონე ადამიანთა დიდი რაოდენობა, მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის შიში გამო, გარბის სირიიდან, განსაკუთრებით, იმ ტერიტორიებიდან, რომლებსაც ISIS-ი აკონტროლებს.[102]

---

[100] მოხსენებები მიუთითებს, რომ ხელისუფლება და სამთავრობო ძალები დევნიან კაცებს მათი სქესობრივი ორიენტაციის გამო, კერძოდ, ხდება მათი წამება და მათზე სქესობრივი ძალადობა საპატიმრო ადგილებში და საკონტროლო პუნქტებზე; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2014 წლის მოხსენებები ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - სირია, 2015 წლის 25 ივნისი, გვ. 56; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის ზეპირი ანგარიში სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2014 წლის 18 მარტი, პარ. 27, http://www.refworld.org/docid/537605144.html. იხ. აგრეთვე SMH, *'არაფერია იმაზე უარესი, ვიდრე იყო გეი დღევანდელ სირიაში'*, 2015 წლის 17 ოქტომბერი; Al Monitor ლგბტ საზოგადოება დამასკოს უფრო ღიად მიიჩნევს, 2014 წლის 15 დეკემბერი, http://bit.ly/1M3YvH8.

[101] 2013 წლის დასაწყისიდან, ექსტრემისტულმა ისლამურმა ჯგუფებმა, ISIS-ის და JAN-ის ჩათვლით, კონტროლი გააფართოვეს და შარიათის კანონების მკაცრი დაცვა დაიწყეს. მათი შეხედულებით, ერთი და იმავე სქესის ადამიანებს შორის თანხმობის საფუძველზე განხორციელებული სქესობრივი კავშირი კანონს ეწინააღმდეგება და ამის ჩამდენი სიკვდილით ისჯება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჰომოსექსუალი მამაკაცების სიკვდილით დასჯისთვის სხვადასხვა ფორმას იყენებენ: კოცონზე ცოცხლად დაწვას, თავის მოკვეთას, ჩაქოლვას, დახვრეტას ან ბრალდებულის გადმოგდებას მრავალსართულიანი შენობიდან. მოხსენებების შესაბამისად, ჰომოსექსუალურ კავშირში ნებაყოფლობით ჩართული კაცების მიმართ ხდება სქესობრივი ძალადობა, წამება, მოკვდინება, ვიდრე მათ სიკვდილს მიუსჯის უკანონოდ შექმნილი სასამართლო. მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის თანახმად, "ხდება გეი კაცების დევნა და მოკვლა მათი სექსუალური ორიენტაციის გამო. მოხსენებებიდან ჩანს, რომ ასეთი ქმედებები განსაკუთრებით დამახასიათებელია *ISIS-ის ძალებისთვის. ასეთი მოკვდინება არის მკვლელობა, როგორც სამხედრო დანაშაული და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული";* გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 5 თებერვალი, დანართი II, პარ. 189. იხ. აგრეთვე ადამიანის უფლებათა საბჭო, სპეციალური მომხსენებლის ანგარიში "ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ხელშეწყობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს", 2014 წლის 16 ივნისი, A/HRC/29/51, პარ. 27, http://www.refworld.org/docid/558982fc4.html. ამასთანავე, დამკვირვებლები აღწერენ, რომ ერთი და იმავე სქესის პირთა ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირის მონაწილის დევნით ISIS-ი ცდილობს გაავრცელოს ტერორი მოსახლეობას შორის, რათა კიდევ უფრო გაამლიეროს კონტროლი და დააფუძნოს მკაცრი მორალური კოდექსი. როგორც მოხსენებებში მიუთითებენ, ერთი და იმავე სქესის წარმომადგენელთა ნებაყოფლობითი კავშირი საკმარისია პირის "მსჯავრდებულად" გამოცხადებისთვის. აქტივისტები ასევე მიუთითებენ, რომ ISIS-ი ასეთი ხმების გავრცელებას იყენებს ISIS-ის წესების სავარაუდო ოპონენტების ჩამოსაშორებლად; Pink News, *ISIS-მა კიდევ ორი გეი მამაკაცი ჩაქოლა სირიაში, 2015 წლის 28 ოქტომბერი,* http://bit.ly/1S9fZ8M; The Independent, *"დარწმუნებული ვიყავი, რომ გამაუპატიურებდნენ ან მომკლავდნენ. შეშინებული ვიყავი": ჩემი ცხოვრება, როგორც სირიელი გეი ლტოლვილისა, რომელიც* ISIS-ს გამოექცა, 2015 წლის 3 სექტემბერი, http://ind.pn/1RdVI11; Washington Blade, *Reports Indicate Islamic State Executing Men for Sodomy*, 2015 წლის 7 https://shar.es/12gytP; CNN, *Amid Brazen, Deadly Attacks, Gay Syrians Tell of Fear of ISIS Persecution*, 2015 წლის 6 მარტი; France 24, *Gays in Syria Risk Execution by IS Militants*, 2014 წლის 12 დეკემბერი, http://f24.my/1ApRyKS.

[102] SMH, *'არაფერია იმაზე უარესი, ვიდრე იყო გეი დღევანდელ სირიაში'*, 2015 წლის 17 ოქტომბერი; "ფუჟენი", *შეუძლებელი მოგზაურობა: ISIS-სგან გაქცევა ლგბტ სირიელთა ერთ-ერთი პრობლემაა მრავალთა შორის,* 2015 წლის 27 მაისი, http://fus.in/1FOB1FI; Washington Blade, *Reports Indicate Islamic State Executing Men for Sodomy*, 2015 წლის 7 მარტი, https://shar.es/12gytP; "სი-ენ-ენ", *Amid Brazen, Deadly Attacks, Gay Syrians Tell of Fear of ISIS Persecution*, 2015 წლის 6 მარტი; AFP, *გეი სირიელებს ჯიჰადისტთა საფრთხე შიშს უძლიერებს*, 2014 წლის 27 დეკემბერი, http://dailym.ai/1HDQ5Cm.

21. სირიაში პალესტინელ ლტოლვილთა ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული მდგომარეობა, არსებული წყაროების თანახმად, კვლავ უარესდება. იმის გამო, რომ ისინი ძირითადად ურბანულ ცენტრებში ბინადრობენ, პალესტინელ ლტოლვილთა 12 ბანაკი და 23 თემი, ინტენსიური ბრძოლების ზემოქმედების ქვეშ მოექცა, მათ შორის, დერას, ქალაქ დამასკოს, დამასკოს სასოფლო ტერიტორიების, ჰომსის, ჰამასის, ლატაკიასა და ალეპოს გუბერნიებში.[103] კონფლიქტის ინტენსიური და მასშტაბური ხასიათი, და მასში ჩართული მხარეების მოქმედებები, სერიოზულ ზემოქმედებას ახდენს სირიაში გაეროს დახმარებისა და შრომის სააგენტოს (UNRWA) საქმიანობაზე.[104] UNRWA-ის შეფასებით, კონფლიქტის დაწყებამდე, სირიაში პალესტინელ ლტოლვილთა და UNRWA-ის მომსახურების მიმღებ პირთა ('პალესტინელი ლტოლვილები')[105] რაოდენობა 560 000-ს აღწევდა, მათგან 280 000 სირიის ფარგლებში გადაადგილდა, ხოლო 110 000 ქვეყნიდან გაიქცა.[106] მთლიანობაში, UNRWA-ის შეფასებით, სააგენტოში დარეგისტრირებულ პალესტინელ ლტოლვილთაგან სირიაში დარჩენილია 450 000 ადამიანი. თითქმის ყველა მათგანი, 96 პროცენტი, მოწყვლად ჯგუფებს მიეკუთვნება და

---

[103] UNRWA, *სირია: UNRWA - ჰუმანიტარული სიტუაცია 2015 წლის აგვისტოსთვის, 2015 წლის სექტემბერი,* http://bit.ly/1OOQOK7; UNRWA, *სირიის რეგიონულ კრიზისზე რეაგირება, განახლებული ვერსია,* 2015 წლის 15 მაისი, http://bit.ly/1VAc7xB; UNRWA, *Syria Regional Crisis Emergency Appeal 2015*, 2014 წლის 18 დეკემბერი, გვ. 2, http://bit.ly/1H2tGQf. იხ. აგრეთვე, კატრიენ დე ბოკი, "პალესტინელი ლტოლვილები სირიაში", BADIL Resource Center for Palestinian Residency and Refugee Rights, *Al Majdal*, გამოცემა No. 57 (2015 წლის ზაფხული), "პალესტინელი ლტოლვილები სირიიდან, მიმდინარე მაკბა, მიმდინარე დისკრიმინაცია (2)", გვ. 4-6, http://bit.ly/1N2hTrG (შემდგომში, კატერინ დე ბოკი, "პალესტინელი ლტოლვილები სირიაში, 2015 წლის ზაფხული) სირიაში მყოფ პალესტინელთა საკითხზე მომუშვე ჯგუფის შესაბამისად, 2015 წლის სექტემბრისთვის დაახლოებით 3000 პალესტინელი მოკლეს სირიაში კონფლიქტის დაწყების დღიდან; Associated Press, *At least 3,000 Palestinians Killed in Syria Conflict*, 2015 წლის 20 ოქტომბერი, http://bit.ly/1LQFPKc.

[104] UNRWA-ის 219 ობიექტიდან (სკოლა, ჰოსპიტალი და სხვა), სულ მცირე, 46 დაზიანდა 2011 წლის შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებიდან. დღეისათვის მოქმედებს UNRWA-ის 42 სკოლა და 14 სამედიცინო ცენტრი. UNRWA-ის ობიექტების დაზიანება და მათზე ხელმიუწვდომლობა კიდევ უფრო ართულებს პალესტინელ ლტოლვილთა უზრუნველყოფას აუცილებელი სერვისებით; გაეროს გენერალური ასამბლეა (UNGA), *Report of the Commissioner-General of the United Nations Relief and Works Agency for Palestine Refugees in the Near East – 1 იანვარი - 31 დეკემბერი, 2014*, 31 იანვარი 2014, A/70/13, პარ. 10-11, http://www.refworld.org/docid/56419abc4.html.

[105] ამ დოკუმენტში, ტერმინი "პალესტინელი ლტოლვილი" ნიშნავს პირს, რომელზედაც ვრცელდება 1951 წლის კონვენციის 1D მუხლი, როგორც ეს UNHCR-ს აქვს განსაზღვრული, *Note on the Applicability of Article 1D of the 1951 Convention Relating to the Status of Refugees to Palestinian Refugees*, 2002 წლის 2 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/3da192be4.html და დადასტურებულია *UNHCR-ის* განახლებული განცხადებით 1951 წლის კონვენციის *1D* მუხლის შესახებ, საქმეზე *Bolbol v.Bevándorlási és Állampolgársági Hivatal,* რომელიც წარდგენილი იყო ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში, 2009 წლის ოქტობერი, http://www.refworld.org/docid/4add79a82.html. იგივე დეფინიცია ხშირად გამოიყენება იმ პალესტინელთათვის, რომლებიც ლტოლვილები არიან 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის საფუძველზე. UNRWA-ის სერვისებზე ხელმისაწვდომობის კრიტერიუმების შესახებ იხ. UNRWA, *Consolidated Eligibility and Registration Instructions (CERI)*, 2009, გვ. 3, http://www.unrwa.org/sites/default/files/2010011995652.pdf.

[106] UNRWA-ის მიერ ლიბანში რეგისტრირებული იქნა 42500 პალესტინელი ლტოლვილი, რომლებიც სირიიდან წამოვიდნენ, ხოლო იორდანიაში - 16000. პალესტინელ ლტოლვილთა დიდი ჯგუფები გამოიქცნენ ღაზადან, ეგვიპტიდან და სხვა, მათთვის უცხო ქვეყნებიდან. UNRWA, *Syria Crisis – Facts and Figures*, undated (ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის 9 ნოემბერს), http://www.unrwa.org/syriacrisis.

სჭირდებათ საკვები, წყალი და სამედიცინო მომსახურება, ხოლო 48 000 განსაკუთრებით ძნელადმისადგომ ტერიტორიებზე ცხოვრობს.[107]

22. არსებული ინფორმაციის თანახმად, კონფლიქტის მონაწილე მხარეები ბლოკავენ პალესტინელი ლტოლვილების წვდომას ჰუმანიტარულ საჭიროებებზე და ალყაში ჰყავთ მოქცეული მათი ბანაკები.[108] 2015 წლის 1 აპრილიდან, იარმუკში (დამასკოს გუბერნია) თავდასხმებს ახორციელებდა შეიარაღებული ჯგუფები, რამაც ძალადობის მკვეთრი ესკალაცია გამოიწვია. ამის შედეგად, ათასობით სამოქალაქო პირმა იალდას, ბაბილას და ბეიტ შაჰამის მეზობელ ტერიტორიებს შეაფარა თავი.[109] ამ თავდასხმებს გამოეხმაურა გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი, რომელმაც იარმუკი დაახასიათა, როგორც 'ღრმა ჯოჯოხეთური წრე', და განაცხადა, რომ 'ლტოლვილთა ბანაკი სიკვდილის ბანაკს ემსგავსება'.[110] 2015 წლის აპრილიდან UNRWA-ი იარმუკში ვეღარ შედის, ხოლო 2014 წელს მხოლოდ 131 დღის განმავლობაში დაუშვეს მის ტერიტორიაზე, მრავალი სამოქალაქო პირი არის გამოკეტილი იარმუკში, საშინელ პირობებში, ჰუმანიტარულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გარეშე.[111] გარდა ამისა,

---

[107] იარმუკის და მისი შემოგარენის, ხან ეშიეჰის, რამადანის (ყველა არის დამასკოს სასოფლო გუბერნიები) და დერას გუბერნიების ჩათვლით; UNRWA, *2015 - მოხსენება სირიის კრიზისზე რეაგირების მიმდინარეობის შესახებ (მოიცავს პერიოდს 2015 წლის იანვრიდან მაისამდე)*, 2015, გვ. 4, 5, http://bit.ly/1i5jtvS (შემდგომში: UNRWA, *2015- მოხსენება სირიის კრიზისზე რეაგირების მიმდინარეობის შესახებ*, 2015).

[108] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2014 წლის მოხსენებები ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - სირია, 2015 წლის 25 ივნისი, გვ. 40. Middle East Monitor, *Palestinian Refugees in Rural Damascus Appeal for Help*, 2015 წლის 13 ივლისი, 3 July 2015, http://bit.ly/1dWBbj7.

[109] UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება უშიშროების საბჭოს რეზოლუციების 2139 (2014), 2165 (2014) და 2191 (2014) შესრულების შესახებ,* 2015 წლის 20 აგვისტო, S/2015/651, პარ. 6-7, http://www.refworld.org/docid/55dc77b34.html; UNHCR, *UNHCR ფოკუსი სირიაზე -გამოცემა 12 of 2015*,2015 წლის აგვისტო, გვ. 3, http://www.refworld.org/docid/55e556a84.html; UNRWA, *2015- მოხსენება სირიის კრიზისზე რეაგირების მიმდინარეობის შესახებ,* 2015, გვ. 1, 5, 8. იხ. აგრეთვე UNRWA-ის მომდევნო გამოცემები *Yarmouk Situation Updates*, ხელმისაწვდომია: http://www.unrwa.org/newsroom/emergency-reports. იხ. აგრეთვე, Middle East Monitor, *Palestinian Refugees in Rural Damascus Appeal for Help*, 12015 წლის 13 ივლისი, http://bit.ly/1dWBbj7; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2014 წლის მოხსენებები ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - სირია, 2015 წლის 25 ივნისი, გვ. 40; კატერინ დე ბოკი, "პალესტინელი ლტოლვილები სირიაში: მიმოხილვა", 2015 წლის ზაფხული, გვ. 5.

[110] გაეროს ახალი ამბების ცენტრი,*Opening Remarks at Press Encounter*, 2015 წლის 9 აპრილი, http://bit.ly/1RynEN9.

[111] ამ დოკუმენტზე მუშაობის დროს, იარმურკში UNRWA-ს შეწყვეტილი აქვს ყველა სახის საქმიანობა. იარმურკში UNRWA-ის ბოლო მისია განხორციელად 2015 წლის 28 მარტს. 2015 წლის სექტემბერში UNRWA-ს ნება დართეს ჩაეტარებინა 6 მისია მეზობელ იალდაში, სადაც იარმუკიდან მრავალი პალესტინელი ლტოლვილი გადაადგილდა. თუმცა UNRWA-ს ამ მისიების დროს მხოლოდ სამედიცინო სერვისების მიეწოდების ნება დართეს, რაც ტიფის დაავადების გავრცელებამ გამოიწვია; UNRWA, *სირია: UNRWA - ჰუმანიტარული სიტუაცია 2015 წლის სექტემბრისთვის,* http://bit.ly/1GNgGnf; UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება უშიშროების საბჭოს რეზოლუციების 2139 (2014), 2165 (2014) და 2191 (2014) შესრულების შესახებ,* 2015 წლის 22 ოქტომბერი, პარ. 43; UNHCR, *UNHCR ფოკუსი სირიაზე - გამოცემა 12,* 2015 წლის აგვისტო, გვ. 3 http://www.refworld.org/docid/55e556a84.html; UNRWA, *2015- მოხსენება სირიის კრიზისზე რეაგირების მიმდინარეობის შესახებ,* 2015, გვ. 1, 5, 8. იხ. აგრეთვე UNRWA-ის მომდევნო გამოცემები *Yarmouk Situation Updates*, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.unrwa.org/newsroom/emergency-reports.

2015 წლის ივნისში, დერაში მნიშვნელოვნად გამწვავებული ძალადობრივი აქტების შედეგად, პალესტინელ ლტოლვილთა ისედაც მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, მათი უმრავლესობა ძირითად მომსახურებასა და დახმარებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობის ამარა დარჩა.[112] ბრძოლების, დარბევებისა და შეტევების შედეგად პალესტინელთა ბანაკებში დაზიანდა ან დაინგრა სახლები, მაღაზიები, სკოლები, ჯანდაცვის ობიექტები და საცხოვრებელი კვარტლები, რის გამოც თითქმის ყველა რეზიდენტს იძულებითი გადაადგილება მოუხდა, განსაკუთრებით, დერას, ეინ ელ-ტალის (ალეპოს გუბერნია) და სბეინეჰის (დამასკოს სასოფლო გუბერნია) ბანაკებში.[113] 2015 წლის აგვისტოდან, ჰუსეინიეჰში (დამასკოს სასოფლო გუბერნია) უსაფრთხოების სიტუაციების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, ამ ტერიტორიას 4500 ოჯახი დაუბრუნდა, რომელთა 80 პროცენტი პალესტინელი ლტოლვილეიბ არიან.[114] რაც შეეხება უმცირესობათა სხვა ჯგუფებს, არსებული მოხსენებების საფუძველზე, პალესტინელი პირები ჩათრეულნი არიან კონფლიქტში, რომლებიც ეხმარებიან, ან ვარაუდობენ, რომ ეხმარებიან კონფლიქტის ერთ კონკრეტულ მხარეს, რითაც რეპრესალიების და ძალადობის საფრთხის ქვეშ აყენებენ თავიანთ თემს.[115] პალესტინელი ლტოლვილებისთვის განსაკუთრებით

---

[112] UNRWA, სირია: *UNRWA - ჰუმანიტარული სიტუაცია სირიაში 2015 წლის ივლისში,* 2015 წლის აგვისტო, http://bit.ly/205B6xO.

[113] UNRWA, *Syria: UNRWA - ჰუმანიტარული სიტუაცია სირიაში 2015 წლის ივლისში,* 2015 წლის აგვისტო, http://bit.ly/205B6xO; UNGA, *UNRWA-ის გენერალური კომისრის მოხსენება გენერალურ ასამბლეაზე, 2015, პარ. 8;* სირიაში მყოფ პალესტინელთა საკითხის სამოქმედო ჯგუფი, სბეინეჰის ბანაკის ბინადრები სირიის ჯარისაგან მოითხოვს გაუხსნას გზა სახლებში დასაბრუნებლად; 2015 წლის 9 სექტემბერი, https://shar.es/1ux7Kd; კატერინ დე ბოკი, "პალესტინელი ლტოლვილები სირიაში: მიმოხილვა", 2015 წლის ზაფხული, გვ. 4-5; UNRWA, *2015- მოხსენება სირიის კრიზისზე რეაგირების მიმდინარეობის შესახებ*, 2015, http://bit.ly/1VAc7xB; UNRWA, *Syria Regional Crisis Emergency Appeal 2015*, 2014 წლის 18 დეკემბერი, გვ. 2, 5, 8, http://bit.ly/1H2tGQf.

[114] ჰუსეინიეჰში დაბრუნების ტალღამ იმატა, მაგრამ იქ ჰუმანიტარული პირობები კვლავ არასაიმედოა - საჭიროა სახლების, სკოლების და სხვა ელემენტარული ინფრასტრუქტურის სასწრაფოდ შეკეთება (წყლის, კანალიზაციის და ელექტროენერგიის სისტემების). UNRWA, სირია*: UNRWA - ჰუმანიტარული სიტუაცია 2015 წლის სექტემბრისთვის,* 2015 წლის 26 ოქტომბერი, http://bit.ly/1GNgGnf; UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება უშიშროების საბჭოს რეზოლუციების 2139 (2014), 2165 (2014) და 2191 (2014) შესრულების შესახებ,* 2015 წლის 22 ოქტომბერი, პარ. 19.

[115] "*მას შემდეგ* [2012 წლის აგვისტოდან], *სირიაში 3000-მდე პალესტინელი ლტოლვილი გარდაიცვალა სირიის პრეზიდენტის, ბაშარ ალ-სადის ძალებსა და შეიარაღებულ ოპოზიციურ ჯგუფებს შორის გაჩაღებული ბრძოლების შედეგად, გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული "სირიის პალესტინელთა" სამოქმედო ჯგუფის ინფორმაცია. 943 ადამიანი დაპატიმრებულია სირიის სამთავრობო ძალების მიერ, ხოლო 277 გატაცებულია";* Syria Deeply, *Nusra and ISIS Targeting, Assassinating Local Palestinian Leaders in Yarmouk*, 2015 წლის 17 აგვისტო, http://bit.ly/1jyarsu. იხ. აგრეთვე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2014 წლის მოხსენებები ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - სირია, 2015 წლის 25 ივნისი, გვ. 25, 40; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 5 თებერვალი, პარ. 86; UNSC, *გენერალური მდივნის მოხსენება უშიშროების საბჭოს რეზოლუციის 2139 (2014)) შესრულების შესახებ,* 2014 წლის 22 მაისი, S/2014/365, პარ. 14, http://www.refworld.org/docid/53ac00ee4.html.

პრობლემურია უსაფრთხოების უზრუნველყოფა სირიის ფარგლებს გარეთ, რადგან მეზობელმა ქვეყნებმა მათ თავიანთ ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალეს.[116]

23. გარდა ამისა, UNHCR-ი შეწუხებულია 1000 პალესტინელი ლტოლვილის ბედით ერაყიდან, რომლებიც ძალადობას გამოექცნენ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დაცემის შემდეგ.[117] ამ მცირე ლტოლვილთა ჯგუფის წევრები დღეს უსაფრთხოების თვალსაზრისით სერიოზული პრობლემების წინაშე დგანან და მთელი მათი ისტორიის განმავლობაში მინიმალური შანსი აქვთ გრძელვადიან გადაწყვეტაზე სირიაში და, იურიდიული სტატუსის გარკვევაზე ამ ქვეყანაში, რამეთუ ეს ჯგუფი მნიშვნელოვნად განსხვავდება პალესტინელ ლტოლვილთა უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობისაგან, რომლებიც სირიაში ბინადრობს.[118] ამ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის ახალი განსახლება, როგორც ასეთი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათი პირდაპირი დაცვისა და გრძელვადიანი გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად.

24. 2011 წელს სირიაში კონფლიქტის დაწყების დღიდან მოყოლებული, სირიაში მყოფი ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები, ძირითადად ერაყიდან, სხვა არჩევანის არქონის გამო, გრძნობდნენ, რომ მათი წარმოშობის ქვეყანაში უნდა დაბრუნებულიყვნენ. ზოგ მათგანს კიდევ ერთხელ მოუწია გადაადგილება სირიის

---

[116] UNGA, *UNRWA-ის გენერალური კომისრის მოხსენება გენერალურ ასამბლეაზე, 2015, პარ. 11,13, 73;* Middle East Monitor, *Syria's Neighbouring Countries Deny Entry to Palestinian Refugees*, 2015 წლის 20 ივლისი, http://bit.ly/1PzDXut; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 5 თებერვალი, პარ. 86; IRIN, *A Timeline for Syria"s Closing Borders*, 2015 წლის 8 იანვარი, http://bit.ly/1FyFIoD; გაეროს ახალი ამბების სამსახური, *UN Says Palestinian Refugees from Syria Face "Increasingly Grave" Situation Region Wide*, 2014 წლის 24 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/54747a704.html; HRW, *Not Welcome: Jordan's Treatment of Palestinians Escaping Syria*, 2014 წლის 7 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/53e4a3de4.html; "Amnesty International ", *ოჯახები დაინგრა, რადგან სირიის პალესტინელ ლტოლვილებს ლიბანში შესვლაზე უარი უთხრეს,* 2014 წლის 1 ივლისი, http://bit.ly/1GceGoc.

[117] UNHCR, *UNHCR ექო სირიიდან, გამოცემა 12*, 2015 წლის 31 აგვისტო, გვ. 3, http://www.refworld.org/docid/561b65554.html. ეს პირები სირიაში დარეგისტრირებულია UNHCR-ის მიერ და მოიცავს პალესტინელებს, რომლებიც აღრიცხულია UNRWA-ის მიერ როგორც დაურეგისტრირებელი და არაუფლებამოსილი UNRWA-ის მიერ რეგისტრირებისთვის, და რომელთა რეგისტრაციის ინფორმაციაც 2014 წელს UNHCR-ის მიერ გადამოწმდა.

[118] ზოგადად პალესტინელებისაგან განსხვავებით, სირიაში ეს ერაყელი პალესტინელები, არც რეგისტრირებულნი არიან და არც UNRWA-ის მიერ რეგისტრირების უფლებამოსილება აქვთ. მათი უმრავლესობა დამასკოს გარეუბანში ცხოვრობს, მათ შორის, კონფლიქტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ უბნებშიც. ისინი მთლიანად არიან დამოკიდებულნი UNHCR-ის მიერ მიწოდებულ ჰუმანიტარულ დახმარებაზე. ერაყიდან სირიაში წამოსული პალესტინელები ყველაზე უფრო მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებიან - არა მხოლოდ იმიტომ, რომ დღევანდელ პირობებში მათ სირიაში ინტეგრაციის პერსპექტივა არა აქვთ, არამედ იმიტომაც, რომ მათ მძიმე ცხოვრება აქვთ გამოვლილი მათი თავშესაფრის ყოფილ ქვეყანაში, ერაყში, სადაც მათ მიმართ ხდებოდა არასათანადო მოპყრობა, ასევე, მათ მრავალჯერადი გადაადგილება მოუხდათ. ბოლო კონფლიქტის გამო ერაყში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება შეუძლებელია, რადგან იქ პალესტინელ ლტოლვილთა მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა.

ფარგლებში, ან სხვა ქვეყნებში გადავიდნენ.[119] 2015 წლის 30 სექტემბრის მონაცემებით, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისს სირიაში რეგისტრირებული ჰყავს 28 700 ლტოლვილი და თავშესაფრის მაძიებელი (თითქმის 10 000 ოჯახი).[120] დიდი უმრავლესობა ერაყელები არიან,[121] ასევე არიან მცირე ჯგუფები ავღანეთიდან, სუდანიდან და სხვა ქვეყნებიდან.[122] ტრადიციულად, სირიაში მყოფი ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები, ძირითადად დამასკოში და მის გარშემო მდებარე სოფლებში სახლდებიან, უფრო ნაკლებად - ჰომსში, დეირ ეზ-ზურსა და დერას გუბერნიებში, მრავალი სხვა ტერიტორიის ჩათვლით, რომლებიც კონფლიქტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა. სახიფათო ტერიტორიებზე მცხოვრებ ლტოლვილებსა და თავშესაფრის მაძიებლებს სიკვდილის, დასახიჩრებისა და დაპატიმრების საფრთხე ემუქრებათ.[123] მრავალი მათგანი ასეთ ტერიტორიებს სხვადასხვა მიზეზთა ერთობლიობის გამო ვერ ტოვებს, საკონტროლო პუნქტებზე გასავლელად საჭირო დოკუმენტაციისა და ხვაგან თავშესაფრის პოვნისთვის საჭირო თანხის არქონის ჩათვლით, ასევე, უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე და გზების ჩაკეტვის გამო. გარდა ამისა, აქტიური კონფლიქტისა და მზარდი უკანონობის გარემოში, ლტოლვილებს და თავშესაფრის მაძიებლებს შეიძლება დაემუქროს დაკავება, გატაცება, გაძარცვა, დაშინება და შეუაცხყოფა, რადგან მათ არა ჰყავთ ნათესავების წრე და არა აქვთ ტომზე თუ თემზე დაფუძნებული კავშირები (ქსელები).[124] ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები, რომლებიც მიიჩნევიან კონფლიქტის რომელიმე მხარის გულშემატკივრად, მათი ეროვნების, ეთნიკური ან რელიგიური წარმოშობის გამო, შეიძლება უშუალო სამიზნე გახდნენ, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.[125] 2014 წელს ერაყში კონფლიქტის ესკალაციის განახლების შედეგად ერაყელთა ახალმა ჯგუფებმა დატოვეს ქვეყანა და სირიას შეაფარეს თავი, უმცირესობათა ჯგუფების ჩათვლით. არსებული შეფასებით, მათ შორის იყო 95000 ეზიდი, რომლებიც 2014 წლის აგვისტოში ჰასაკეჰის გუბერნიაში შევიდნენ, ხოლო ლტოლვილთა უმრავლესობა, სირიის გავლით, ერაყის

---

[119] ალ-ახბარი, *ერაყელი ლტოლვილები სირიაში: კლდეებსა და მიუდგომელ ადგილებს შორის,* 2014 წლის 11 აპრილი, http://bit.ly/1Gk5JJJ; UNHCR, *A Year in Review 2013 - UNHCR სირია* 2013, გვ. 58, http://www.refworld.org/docid/52d7c00c4.html (შემდგომში: UNHCR, *A Year in Review 2013*, 2013); IRIN, *ანალიზი: სირიის მივიწყებული ლტოლვილები, 2012 წლის 23 აპრილი,* http://shar.es/11OlQ6.

[120] ამის შედარება ხდება დაახლოებით 110000 რეგისტრირებულ ლტოლვილთან 2012 წლის დასაწყისში და 143000-ზე მეტ ლტოლვილთან 2010 წლის ბოლოსთვის. 28700 რეგისტრირებული პირიდან 12200 არის ქალი, ხოლო 9000 - ბავშვი; UNHCR-ის რეგისტრაციის მონაცემები, 2015 წლის 30 სექტემბერი.

[121] სირიაში UNHCR-ის მიერ დაახლოებით 24000 ერაყელი მოქალაქეა რეგისტრირებული; UNHCR-ის რეგისტრაციის მონაცემები, 2015 წლის 30 სექტემბერი.

[122] 1500-ზე მეტი ავღანელი მოქალაქე და თითქმის 1000 სუდანელი არის რეგისტრირებული სირიაში UNHCR-ის მიერ; UNHCR-ის რეგისტრაციის მონაცემები, 2015 წლის 30 სექტემბერი.

[123] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2014 წლის მოხსენებები ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - სირია, 2015 წლის 25 ივნისი, გვ. 40.

[124] UNHCR, *ახალი გადაადგილება, დინამიკის ცვლილება, UNHCR-ის რეაგირება*, 2015 წლის სექტემბერი, გვ.67; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2014 წლის მოხსენებები ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - სირია, 2015 წლის 25 ივნისი, გვ. 40; UNHCR, *A Year in Review 2013*, 2013, გვ. 59.

[125] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2014 წლის მოხსენებები ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - სირია, 2015 წლის 25 ივნისი, გვ 40; UNHCR, *A Year in Review 2013*, 2013, გვ. 59.

ქურთებით დასახლებულ რეგიონში გადავიდა. დაახლოებით 3 000 კვლავ რჩება ნიურუზის ბანაკში, ჰასაკეჰის გუბერნიაში.[126]

25. უმუშევრობისა და საარსებო წყაროს დაკარგვის გამო, სირიაში მყოფ მრავალ ლტოლვილსა და თავშესაფრის მაძიებელს ფინანსური რესურსები ამოეწურა. მრავალი მათგანი დამოკიდებულია ჰუმანიტარულ დახმარებაზე; თუმცა, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისს და სხვა ორგანიზაციებს ლტოლვილებსა და თავშესაფრის მაძიებლებზე შეზღუდული წვდომა აქვთ უსაფრთხოების პრობლემების გამო.[127] გარდა ამისა, მათ მოუწევთ ბრძოლა დიდი რაოდენობით იძულებით გადაადგილებულ პრითათვის შესაბამისი განსახლების უზრუნველსაყოფად. ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა ბავშვების დიდი რაოდენობა იძულებული გახდა შეეწყვიტა სწავლა და ისინი ბავშვის მიმართ შრომისა და ექსპლუატაციის სხვა ფორმების გამოყენების საფრთხის წინაშე დგანან. სირიაში გაჭიანურებული კრიზისის გამო, მათთვის გრძლვადიანი გადაწყვეტის უზრუნველყოფის შესაძლებლობები საგრძნობლად შემცირდა. გრძელვადიანი გადაწყვეტის საჭიროების ფონზე, ხელახალი განსახლება ერთადერთი სიცოცხლისუნარიანი არჩევანი არის ლტოლვილთა ფიზიკური გადარჩენისთვის. 2014 წელს, თითქმის 1900-მა ლტოლვილმა დატოვა სირია სხვა ქვეყნებში ხელახალი განსახლების მიზნით. პრიორიტეტი მიენიჭათ სამედიცინო საჭიროებების მქონე პირებს, რისკის წინაშე მდგარ ქალებს, თანხლების გარეშე მყოფ ბავშვებს და პირებს, რომლებსაც სამართლებრივი და ფიზიკური დაცვა ესაჭიროებათ. გარდა ამისა, სირიაში მყოფ მრავალ ლტოლვილს, ძირითადად - ერაყელებს, შეტანილი ჰქონდათ განაცხადები მეზობელ ქვეყნებში განსახლებასთან დაკავშირებით, თუმცა მათ მოუწიათ გაქცეულიყვნენ სირიიდან. სასწრაფოდ არის საჭირო ახალი ადგილები ამ ლტოლვილთა ხელახალი განსახლებისთვის, ასევე, ლტოლვილთა მოწყვლადი ჯგუფებისთვის, რომლებიც კვლავ სირიაში იმყოფებიან.

26. როდესაც, კონფლიქტის გამო, UNHCR-ის მიერ მისი მანდატის საფუძველზე სირიაში აღიარებული ლტოლვილების გადაადგილება ხდება მესამე ქვეყანაში, იმ ფაქტს, რომ ისინი აღიარებულნი იყვნენ UNHCR-ის მიერ მისი მანდატის საფუძველზე, სახელმწიფოს თავშესაფრის პროცედურებში მნიშვნელოვანი წონა უნდა მიენიჭოს.[128]

---

[126] UNHCR, *ახალი გადაადგილება,დინამიკის ცვლილება, UNHCR-ის რეაგირება,* 2015 წლის სექტემბერი, გვ. 70; *Responds*, September 2015, p. 70; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი, 2014 წლის მოხსენებები ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ - სირია, 2015 წლის 25 ივნისი, გვ 41; UNHCR, *ერაყიდან სირიაში - განახლებული, 2014 წლის 1-18 აგვისტო,* 2014 წლის 18 აგვისტო, http://shar.es/11ODcS. იხ. აგრეთვე, BBC, *ერაყის კრიზისი: ლტოლვილთა "გაბერილი" ბანაკის შიგნით სირიაში,* 2014 წლის 15 აგვისტო, http://bbc.in/1tW4AA7.

[127] UNHCR, *2014 UNHCR Country Operations Profile - Syrian Arab Republic*, ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის 9 ნოემბერს, http://www.unhcr.org/pages/49e486a76.html. იხ. აგრეთვე, Al Akhbar", *ერაყელი ლტოლვილები სირიაში: "*Al Akhbar", *ერაყელი ლტოლვილები სირიაში: კლდეებსა და მიუდგომელ ადგილებს შორის,* 2014 წლის 11 აპრილი, http://bit.ly/1Gk5JJJ.

[128] UNHCR, *MM (ირანი) v. Secretary of State for the Home Department - წერილობითი კომუნიკაცია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სახელით, 2010 წლსი 3 აგვისტო,* C5/2009/2479, http://www.refworld.org/docid/4c6aa7db2.html.

ჰუმანიტარული სიტუაცია

27. სირიაში კონფლიქტის მეხუთე წელს ჰუმანიტარული სიტუაცია კვლავ სწრაფად უარესდება.[129] სირიის ფარგლებში, ჰუმანიტარული დახმარების საჭიროების მქონე ადამიანთა რაოდენობამ 13,5 მილიონს მიაღწია, 2015 წლის თებერვალში მათი რაოდენობა 12,2 მილიონს აღწევდა,[130] 6,5 მილიონი იძულებით გადაადგილებული პირის ჩათვლით. მართალია, კონფლიქტი მთელ სირიაზე ახდენს ზემოქმედებას, მაგრამ, არსებული მოხსენებების შესაბამისად, ჰუმანიტარული დახმარების საჭიროების მქონე ადამიანთა განსაკუთრებით დიდი რაოდენობა კონცენტრირებულია ალეპოში, დამასკოს სასოფლო ტერიტორიებზე და იდლიბში.[131] არსებული გაანგარიშების თანახმად, 2014 წლის ბოლოს, ყოველი ხუთი სირიელიდან ოთხი სიღარიბეში ცხოვრობდა, მათგან 65 პროცენტი - უკიდურეს სიღარიბეში. მათ მხოლოდ აუცილებელი სასურსათო თუ არასასურსათო ნივთების შეძენა შეუძლიათ, რათა გადაარჩინონ თავიანთი შინამეურნეობები. მოსახლეობის ოცდაათი პროცენტი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, რომლებსაც არ შეუძლიათ თავიანთი ოჯახების დაკმაყოფილება თვით პირველადი მოხმარების საგნებით, ხოლო ისინი, ვინც კონფლიქტის ზონაში ან ალყაშემორტყმულ ტერიტორიებზე ცხოვრობს, არასათანადო კვებისა და შიმშილის პრობლემის წინაშე დგანან.[132]

---

[129] სირიაში გაეროს წარმოამდგენლის/ჰუმანიტარული დახმარების კოორდინატორის, იაკუბ ელ ჰილოს განცხადებით, "(...) ჰუმანიტარული კრიზისი [სირიაში] ყოველდღიურად იზრდება და დღეს მსოფლიოში ყველაზე რთულ სიტუაციაშია. (...) სირიაში ჰუმანიტარული კატასტროფაა, როდესაც ხედავთ რა სისწრაფით ვითარდება იგი, მის მასშტაბებს, მის სიგრძეს... სირიელები ცხოვრობდნენ ქვეყანაში, რომელიც სულ მაღლა მიიწევდა ეკონომიკურადაც და განვითარების მხრივაც - იგი იყო არაბული ქვეყნების ხუთეულში, რომელიც შეასრულებდა ათასწლეულის გამოწვევის 2015 წლის მიზნებს, მაგრამ მისმა განვითარებამ 40 წლით უკან დაიხია. თუკი ადრე სირიელები თვითკმარნი იყვნენ, დღეს ხუთიდან ოთხი სირიელი ღარიბია, დღეში 2 დოლარზე ნაკლებს შოულობს... სირია ერთ დროს იყო რიგით მესამე ლტოლვილთა მიმღებ ქვეყნებს შორის - პაკისტანისა და ირანის შემდეგ. დღეს სირიელები პირველ ადგილზე არიან იმ ეროვნებათა შორის, რომლებიც თავშესაფარს ეძებენ. მათ, ვისთვისაც სირია ძვირფასია, ამის ყურება ტკივილს აყენებს"; OCHA, *"სირიელები არ დანებდნენ. მსოფლიომ არ უნდა მიატოვოს ისინი"*, 2015 წლის 20 მაისი, http://bit.ly/1Aoa77b. ახ. აგრეთვე, გაეროს ახალი ამბების ცენტრი, *Syrians Living "Tragedy and Despair Barely Imaginable Five Years Ago," Says Top UN Relief Official*, 2015 წლის 27 ოქტომბერი; ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარება და სამოქალაქო დაცვა, *ECHO-ის ფაქტები – სირიის კრიზისი – 2015 წლის სექტემბერი,* 2015 წლის ოქტომბერი, გვ. 1, http://bit.ly/1ftTuMD; გაეროს ახალი ამბების ცენტრი, *სირიის კრიზისის "გამწვავება" ჰუმანიტარული დაფინანსების ნაკლებობის ფონზე, გვაფრთხილებს გაეროს ჰუმანიტარული დახმარების სამსახურის მუშაკი,* 2015 წლის 26 მარტი, http://www.refworld.org/docid/55192e864.html.

[130] გაეროს ახალი ამბების ცენტრი, *სირიის "ტრაგედია და სასოწარკვეთა წარმოუდგენელი იყო ხუთი წლის წინათ",* ამბობს გაეროს ჰუმანტიარული დახმარების სამსახურის მაღალი თანამდებობის პირი, 2015 წლის 27 ოქტომბერი.

[131] OCHA, *სირიის არაბული რესპუბლიკა: ჰუმანიტარული მდგომარეობა (2015 წლის 31 ოქტომბრისთვის),* 2015 წლის 31 ოქტომბერი, http://bit.ly/1NfqFOS.

[132] SCPR/UNRWA/UNDP, სირია: ალტერნატივა და ძალადობა, მოხსენება სირიის კრიზისის ზემოქმედების შესახებ, 2015 წლის მარტი, გვ. 8, 25, 45-47.

28. საკვებზე,[133] წყალსა და სანიტარულ პირობებზე,[134] საცხოვრებელზე,[135] ჯანდაცვასა[136] და განათლებაზე[137] ხელმისაწვდომობას ძლიერ აფერხებს შეირაღებული კონფლიქტის

---

[133] კონფლიქტმა, სხვა სექტორებს შორის, მძიმედ იმოქმედა აგრარულ სექტორზე, რის შედეგადაც დრამატულად შემცირდა სურსათის წარმოება. საარსებო საშუალებათა დაკარგვა, სიღარიბის ზრდა, ინფლაცია და ფულის გაუფასურება კიდვე უფრო ამცირებს ოჯახების შესაძლებლობებს ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და კრიზისთან გამკლავების თვალსაზრისით. გაანგარიშების მიხედვით, დაახლოებით 6,3 მილიონი ადამიანი არ არის უზრუნველყოფილი სურსათით, ხოლო სირიის მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტს იგივე საფრთხე ემუქრება. სურსათთან დაკავშირებული საფრთხის მიმართ განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან იძულებით გადაადგილებული პირები და დაბრუნებულები, რადგან არასაკმარისი სურსათის პრობლემის წინაშე მოსახლეობის 40 პროცენტი დგას. არსებული ინფორმაციის თანახმად, სურსათით მომარაგების თვალსაზრისით პრობლემური მოსახლეობის ყველაზე დიდი კონცენტრაცია არის ჰასაკეჰის, ალეპოსა და დამასკოს სასოფლო გუბერნიებში. მიუთითებენ, რომ 8,7 მილიონ ადამიანს სჭირდება გარკვეული სახის დახმარება. თვეში სამიდან ათჯერ მშიერი იძინებს ყოველი მესამე ოჯახი, ხოლო მრავალმა ოჯახმა პრობლემების მოგვარების უარყოფითი გზა აირჩია. WFP, *სურსათის უსაფრთხოების შეფასება, რეზიუმე, სირია 2015 წლის ოქტომბერი,* http://bit.ly/1RH7lNU; სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) და მსოფლიო სასურსათო პროგრამა (WFP), *სპეციალური მოხსენება - FAO/WFP მარცვლეულისა და სურსათის უსაფრთხოების შეფასების მისია სირიის არაბულ რესპუბლიკაში,* 2015 წლის 23 ივლისი, გვ. 6,38, http://www.fao.org/3/a-i4804e.pdf. ბავშვების კვებითი ჯანმრთელობის მდგომარეობა, იხ. UNICEF, *Nutrition Facts & Figures - September 2015*, 2015 წლის 10 ოქტომბერი, http://bit.ly/1WGVqXb. იხ. აგრეთვე, CEIP, *Food Insecurity in War-Torn Syria: From Decades of Self-Sufficiency to Food Dependence*, 2015 წლის 4 ივნისი, http://ceip.org/1SVvuSh.

[134] კონფლიქტმა სირიაში მძიმე გავლენა იქონია სასმელი წყლით უზრუნველყოფაზე, რაც კრიზისამდე არსებულ დონესთან შედარებით დაახლოებით ნახევარჯერ შემცირდა. ზოგ ადგილებში, როგორიცაა ალეპო და ას-სალამიაჰი (ჰამა), წყლით მომარაგება 80 პროცენტით შემცირდა. მრავალი ადამიანი კრიზისამდე არსებული წყლის მოცულობის მხოლოდ 5 პროცენტით მარაგდება. წყლის შეწყვეტის რეგულარულ გამეორებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, თუმცა მათ შორის აღსანიშნავია: წყლისა და ელექტრომომარაგების სისტემების შეგნებული გადაკეტვა; საბოტაჟი და ელექტროსადგურებისთვის გაზის მიწოდების სისტემების დაზიანება; იგპ-თა დიდი ტალღებით გამოწვეული გაზრდილი მოთხოვნების გამო არსებული წყლის სისტემების მწყობრიდან გამოსვლა; და მომარაგების სისტემის სისტემური ავარიები, რომლებიც გამოწვეულია არაოპტიმალური მოვლა-პატრონობით. ბოლო თვეებში, ალეპოს, დამასკოს სასოფლო და დერას გუბერნიებში, ხუთ მილიონ ადამიანს ხანგრძლივად და შეგნებულად შეუწყვიტეს წყლის მიწოდება. არსებული ინფორმაციის თანახმად, სუფთა წყლის ნაკლებობით გამოწვეული ჯანმრთელობის რისკები იზრდება. ასევე, მკვეთრად არის შეფერხებული საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და უსაფრთხო გადამუშავება; UNICEF, *ფაქტები და მონაცემები წყლის, სანიტარული და ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ - 2015 წლის სექტემბერი,* 2015 წლის 10 ოქტომბერი, http://bit.ly/1QcoFgm; წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (წჯსკ), *სირია: წყლის გამოყენება ომში იარაღის სახით,* 2015 წლის 2 სექტემბერი, http://bit.ly/1Ey3iSo; UNICEF, *Severe Water Shortages Compound the Misery of Millions in War-Torn Syria - Says UNICEF*, 2015 წლის 25 აგვისტო, http://uni.cf/1hYZb86.

[135] კონფლიქტის შედეგად მძიმედ დაზარალდა სამოქალაქო ინფრასტრუქტურა. 1.2 მილიონამდე სახლი დაინგრა, ხოლო სამ მილიონამდე შენობა დაზიანდა. REACH-ის მონაცემებით, 3412 შენობა ან დაინგრა ან დაზიანდა ქალაქ დეირ ეზ-ზურში, 585 - ქალაქ რაქაში, 956 - ქალაქ დერაში და 519 - იდლიბში; REACH, *სირია - საცხოვრებლის ნგრევის შეფასება ქალაქ დარაში 2015 წლის 4 ივნისის მდგომარეობით,* 2015 წლის 29 ივნისი, http://bit.ly/1MMdJEi; *სირია - საცხოვრებლის ნგრევის შეფასება ქალაქ რაქაში 2015 წლის 29 მაისის მდგომარეობით,* 2015 წლის 25 ივნისი, http://bit.ly/1PqHlZw; *სირია - საცხოვრებლის ნგრევის შეფასება ქალაქ დეირ ეზ-ზურში 2015 წლის 10 მაისის მდგომარეობით,* 2015 წლის 22 ივნისი, http://bit.ly/1ON9s3t; და *სირია - საცხოვრებლის ნგრევის შეფასება იდლიბში 2015 წლის 6 აპრილის მდგომარეობით,* 2015 წლის 22 ივნისი; იხ. აგრეთვე, "Al Jazeera", *რა გადარჩა სირიაში?,* 2015 წლის 17 მარტი, http://bit.ly/1Ev25Yn. იხ. აგრეთვე, გაეროს სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი (UNITAR),

კუმულატიური ეფექტი, ასევე, ინფრასტრუქტურის ნგრევა, ძირითადი მომსახურებების შეწყვეტა და საარსებო საშუალებათა დაკარგვა.[138] სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე

ადამიანთა ოთხწლიანი ტანჯვა: სატელიტური გამოსახულებებით დანახული სირიის კონფლიქტი, 2015 წლის მარტი, გვ. 12-29, http://www.refworld.org/docid/551155c14.html; "Washington Post", *A Bird's-Eye View of War-Torn Syria*, 2015 წლის 20 მარტი, http://wapo.st/1AlIztw; "ალ-მონიტორი", *საცხოვრებლის კრიზისი სოციალურ ნაპრალს აღრმავებს სირიაში,* 2015 წლის 8 მარტი, http://bit.ly/1jym4j8.

[136] არსებული ინფორმაციის თანახმად, ჯანდაცვის სისტემას ზიანი მიაყენა სამედიცინო ობიექტებისა და ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის ნგრევამ და დაზიანებამ, სამედიცინო მუშაკთა გაქცევამ, გარდაცვალებამ თუ დასახიჩრებამ, და ფარმაცევტული წარმოების განადგურებამ. არსებული შეფასებით, სირიის საავადმყოფოთა ნახევარზე მეტი დანგრეულია ან სერიოზულად არის დაზიანებული. წამლების დამზადება 70 პროცენტით შემცირდა, ხოლო ფასები იმდენად გაიზარდა, რომ ადამიანებს წამლის შეძენა არ შეუძლიათ. გარდა ამისა, ჯანდაცვის ასობით მუშაკი მოკლეს ან დაასახიჩრეს, ხოლო სირიელ ექიმთა ნახევარმა ქვეყანა დატოვა; ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO/ჯანმო), *სირიაში შეიარაღებული კონფლიქტის გაგრძელების გამო, ჯანმოს დახმარება რეგიონში უკიდურესად აუცილებელია,* 2015 წლის 23 სექტემბერი, http://bit.ly/1MqbCUH; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 140-147; ექიმები ადამიანის უფლებებისთვის, *ყოველწლიური მოხსენება 2014,* 2015 წლის ივლისი, გვ. 2-6, http://bit.ly/1LHZhIZ; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის ზეპირი ანგარიში სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 23 ივნისი, პარ. 42-43; Médecins Sans Frontières (MSF), *საწვავის დეფიციტი რისკს უქმნის ჯანმრთელობის დაცვას,* 2015 წლის 22 ივნისი, http://bit.ly/1OYctj1; WHO, *მილიონობით სირიელს ჯანმრთელობის კრიზისის გადატანა უხდება: ჯანმო დამატებითი დაფინანსების საჭიროებაზე მიუთითებს,* 2015 წლის 27 მარტი, http://bit.ly/1RqxU9S; SCPR/UNRWA/UNDP, *სირია: გაუცხოვება და ძალადობა, სირიის კრიზისის ზემოქმედება,* 2015 წლის მარტი, გვ. 51-53; მსოფლიო ექიმები, *Syria"s Shameful Healthcare Quagmire*, 2015 წლის 16 მარტი, http://bit.ly/1hX6JaG; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 5 თებერვალი, პარ. 80-83.

[137] შეფასების თანახმად, 5000 სკოლა არის დანგრეული, დაზიანებული ან იქ იგპ-თა თავშესაფარი არის გახსნილი. ზოგი მათგანი საწყობად ან სამხედრო ბაზად არის გამოყენებული. გარდა ამისა, ასობით მასწავლებელი და განათლების მუშაკი მოკლეს, არიან დაჭრილები, გატაცებულები და დაკავებულები. 50000-ზე მეტმა მასწავლებელმა მიატოვა სამუშაო და გაიქცა. მოსწავლეთა რაოდენობისა და დასწრების მაჩვენებელი ძალიან დაბალია. ორ მილიონზე მეტი სასკოლო ასაკის ბავშვი არ დადის სკოლაში, ხოლო 400000 სკოლის მიტოვების საფრთხის წინაშე დგას. სკოლაში ბავშვთა ჩართულობის კოეფიციენტის მიხედვით სირია რიგით მეორეა უარეს მაჩვენებელთა შორის; Save the Children, *განათლება თავდასხმების ფონზე სირიაში, 2015 წლის 16 სექტემბერი,* http://www.refworld.org/docid/561cb1b84.html; გაეროს ახალი ამბების სამსახური, *სირიაში მილიონობით ბავშვს განათლებაზე ხელმისაწვდომობა არა აქვს, აცხადებს UNICEF-ი,* 2015 წლის 15 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/55f90a5740a.html; UNICEF, *განათლება ცეცხლის ქვეშ,* 2015 წლის 3 სექტემბერი, გვ. 4, 8, 10, http://www.refworld.org/docid/55e954654.html; UNSC, *გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014) და 2191 (2014) რეზოლუციების შესრულების შესახებ,* 2015 წლის 20 აგვისტო, S/2015/651, პარ. 57, http://www.refworld.org/docid/55dc77b34.html; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ.79.

[138] შეფასების მიხედვით, 2014 წლის ბოლოს სამუშაო ძალის 58 პროცენტი, ანუ - 3,73 მილიონი ადამიანი, უმუშევარი იყო. უმუშევართა დიდმა უმრავლესობამ, 2,96 მილიონმა ადამიანმა, სამუშაო დაკარგა კონფლიქტის დროს. მათ მიერ სამუშაოს დაკარგვამ ზემოქმედება იქონია მათ კმაყოფაზე მყოფ 12,2 მილიონ ადამიანზე. სირიელთა 75 პროცენტისთვის ძირითადი შემოსავალი რემიტენციებია - კონფლიქტამდე ეს მაჩვენებელი 15 პოცენტი იყო. ანალოგიურად, 74 პროცენტი ფულს მეგობრებისაგან ან ოჯახის წევრებისაგან სესხულობს, რათა გაუმკლავდეს შემოსავლისა და რესურსების უქონლობას; REACH, *საჭიროებათა და ჰუმანიტარული მდგომარეობის შეფასება სირიაში: საყოფაცხოვრებო პირობები,*

მომსახურებათა ობიექტები კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარის სამიზნეს წარმოადგენს, რაც უსაფრთხო სასმელი წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტას იწვევს.[139]

29. გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებაში, რომელიც ეხება უსაფრთხოების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014) და 2191 (2014) რეზოლუციების შესრულებას, ნათქვამია, რომ გაეროს ჰუმანტიარულმა სააგენტოებმა და პარტნიორებმა შეძლეს ჰუმანიტარული დახმარების გაწევა შეჭირვებაში მყოფი მილიონობით ადამიანისთვის, მათ შორის, გამყოფი ხაზებისა და ტრანსსასაზღვრო კონტექსტში.[140] თუმცა, როგორც გენერალური მდივანი აღნიშნავს, ჰუმანიტარული წვდომა კვლავ „განსაკუთრებით პრობლემურია“, რაც გამოწვეულია კონფლიქტის მხარეთა მიერ შექმნილი სახიფათო სიტუაციებითა და წვდომაზე შეზღუდვების დაწესებით.[141] განსაკუთრებით შემაშფოთებელია წვდომის შეფერხება დაახლოებით 4,6 მილიონ ადამიანამდე (მოსახლეობის ერთი მეოთხედი) 127 ძნელადმისადგომ ტერიტორიაზე.[142] მათგან 393700 ადამიანი, არსებული ინფორმაციის თანახმად, სირიის სამხედრო ძალებისა და ISIS-ის მიერ ალყაშემორტყმულ ტერიტორიებზე ცხოვრობს.[143] ჰუმანიტარული სფეროს მუშაკთა უსაფრთხოება მაღალი

2015 წლის სექტემბერი, გვ. 2, http://bit.ly/1PzTN8c; SCPR/UNRWA/UNDP, *სირია: გაუცხოება და ძალადობა, სირიის კრიზისის ზემოქმედება,* 2015 წლის მარტი, გვ. 9, 34-35.

[139] UNSC, *გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014) და 2191 (2014) რეზოლუციების შესრულების შესახებ,* 2015 წლის 10 სექტემბერი, S/2015/698, პარ. 58, http://www.refworld.org/docid/55f809b74.html; წჯსკ, *სირია: წყლის გამოყენება ომში იარაღის სახით,* 2015 წლის 2 სექტემბერი, http://bit.ly/1Ey3iSo.

[140] იხ. მომდევნო მოხსენებები - *გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014) და 2191 (2014) რეზოლუციების შესრულების შესახებ,* ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:http://www.un.org/en/sc/documents/sgreports/2015.shtml.

[141]“*ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება 12,2 მილიონი ადამიანისთვის, რომლებსაც ეს სჭირდებათ სირიის არაბულ რესპუბლიკაში, განსაკუთრებით პრობლემურია ზოგიერთ ტერიტორიებზე - აქტიური კონფლიქტისა და უსაფრთხოების საკითხის გამო. ჰუმანიტარული დახმარების შეტანას ხელს განზრახ უშლიან კონფლიქტის მხარეები, მათ შორის, რთული ადმინისტრაციული პროცედურებით“;* UNSC, *გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014) და 2191 (2014) რეზოლუციების შესრულების შესახებ,* 2015 წლის 22 ოქტომბერი, პარ. 35.

[142] სტრატეგიული რეაგირების გეგმა (SRP) “ძნელად მისადგომ ადგილებს” განსაზღვრავს როგორც ტერიტორიებს, რომლებზედაც ჰუმანიტარულ მუშაკებს რეგულარულად ხელი არ მიუწვდებათ მდგრადი ჰუმანიტარული პროგრამების განსახორციელებლად, რაც სხვადასხვა მიზეზით არის გამოწვეული, კერძოდ, მათ ტერიტორიაზე შესვლის უფლებას არ აძლევენ, მათ შორის, კონკრეტული მოლაპარაკებების მიზნითაც, ან შეზღუდული აქვთ შესვლა მიმდინარე კონფლიქტის და მრავალი საკონტროლო პუნტის გამო, ხშირად კი შესვლისთვის საჭირო ნებართვას ხელისუფლება დროულად არ გასცემს; OCHA, *სირიის არაბული რესპუბლიკა: ძნელადმისაგომი ალყაშემორტყმული ადგილების მიმოხილვა (2015 წლის ოტომბრისთვის),* 2015 წლის 31 ოქტომბერი, http://bit.ly/1Hn6lyn. 2015 წლის ივნისიდან სექტემბრამდე, გაეროს დაწესებულებებმა და მათმა პარტნიორებმა 127-დან მხოლოდ 30 ძნელადმისადგომ ტერიტორიაზე მოახერხეს შესვლა საშუალოდ თვეში ერთხელ (ადგილების 24 პროცენტი); UNSC, *გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014) და 2191 (2014) რეზოლუციების შესრულების შესახებ,* 2015 წლის 22 ოქტომბერი, პარ. 36; UNSC, *გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014) და 2191 (2014) რეზოლუციების შესრულების შესახებ,* 2015 წლის 10 სექტემბერი, S/2015/698, პარ. 37, http://www.refworld.org/docid/55f809b74.html.

[143]SRP “ალყაშემორტყმულად” განსაზღვრავს ტერიტორიას, რომელიც მეომარი სუბიექტების მიერ არის გარშემორტყმული, რის შედეგადაც ვერ ხდება ჰუმანიტარული დახმარების რეგულარული მიწოდება,

რისკის ქვეშ დგას, რადგან ათობით ჰუმანიტარული მუშაკი მოკლეს, დააპატიმრეს ან გაიტაცეს, მათ შორის, გაეროს სატრანსპორტო საშუალებები; ხდება თავდასხმები საწყობებსა და საველე სანიტარულ ობიექტებზე.[144]

30. 2014 წლის დეკემბერში, სირიის კრიზისის უპრეცედენტო მასშტაბისა და სულ უფრო გაჭიანურებული ბუნების ფონზე, როდესაც კვლავ საჭიროა, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ უზრუნველყოს სიცოცხლისათვის აუცილებელი ჰუმანიტარული დახმარება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დღემდე ყველაზე მასშტაბური მოწოდება გააკეთა სირიის რეაგირების გეგმის (2015) და ლტოლვილთა და მდგრადობის რეგიონული გეგმის (3RP) განხორციელების თვალსაზრისით.[145] ორივე გეგმისთვის საჭიროა 7,43 მილიარდი აშშ დოლარი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სირიასა და მეზობელ ქვეყნებში ჰუმანიტარული დახმარების გაწევა. 2015 წლის 15 ნოემბრისთვის, გაეროს ფინანსური სისტემის ანგარიშის მიხედვით, ორივე გეგმის სასარგებლოდ მიღებული იქნა საჭირო ბიუჯეტის მხოლოდ 37 და 51 პროცენტი, შესაბამისად.[146] ეს არასაკმარისი დაფინანსება კვლავ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს დახმარების ყველა სექტორზე როგორც სირიის შიგნით, ისე მთლიანად რეგიონში.[147]

ხოლო სამოქალაქო პირები, ავადმყოფები და დაჭრილები ვერ ტოვებენ ტერიტორიას; OCHA, *სირიის არაბული რესპუბლიკა: ძნელადმისადგომი ალყაშემორტყმული ადგილების მიმოხილვა (2015 წლის ოქტომბრისთვის),* 2015 წლის 31 ოქტომბერი, http://bit.ly/1Hn6lyn. UNSC-ის 2139 (2014) რეზოლუციის მიუხედავად, რომელიც მოითხოვს ალყის დაუყოვნებელ მოხსნას, კვლავ მრავალი ადგილია ალყაშემორტყმული, სადაც, ამ დოკუმენტის შექმნის მომენტისთვის, 393700 ადამიანია ალყის ზემოქმედების ქვეშ, მათგან 167500 ადამიანი სამთავრობო ძალების მიერ არის ბლოკირებული აღმოსავლეთი გუტაასა და დარაიას რეგიონში (დამასკოს სასოფლო გუბერნიები), ხოლო 228000 – ISIS-ის მიერ მთავრობის მიერ კონტროლირებული ქალაქის, დეირ ეზ-ზურის დასავლეთ უბნებში. მაგალითად, 2015 წლის სექტემბერში, ალყაშემორტყმულ ტერიტორიებში ვერ შეიტანეს ვერც სურსათი, და ვერც სამედიცინო თუ სხვა სახის დახმარებისთვის საჭირო ნივთები; გაეროს ახალი ამბების ცენტრი, *Syrians Living "Tragedy and Despair Barely Imaginable Five Years Ago," Says Top UN Relief Official*, 2015 წლის 27 ოქტომბერი; UNSC, UNSC, *გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014) და 2191 (2014) რეზოლუციების შესრულების შესახებ,* 2015 წლის 22 ოქტომბერი, პარ. 48-53.

[144]"გაეროს 36 თანამშრომელი არის კვლავ დაპატიმრებული ან უგზო-უკვლოდ დაკარგული, მათგან 31 *UNRWA*-დან, ერთი გაეროს განვითარების პროგრამიდან, სამი - *UNHCR-დან, ხოლო ერთი - UNICEF-დან.* 2011 წლის მარტიდან სულ დაღუპულია 81 ჰუმანიტარული მუშაკი. მათ შორის 18 გაეროდანაა, 48 სირიის არაბული წითელი ნახევარმთვარის თანამშრომელი ან მოხალისეა, რვა მოხალისე და თანამშრომელი - პალესტინური წითელი ნახევარმთვარიდან და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციათა წევრები არიან. 81-დან 15 ადამიანი 2015 წლის 1 იანვრის შემდეგ მოკლეს". UNSC, *გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება უშიშროების საბჭოს 2139 (2014), 2165 (2014) და 2191 (2014) რეზოლუციების შესრულების შესახებ,* 2015 წლის 22 ოქტომბერი, პარ. 61. იხ. აგრეთვე, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება სირიის არაბული რესპუბლიკის შესახებ, 2015 წლის 5 თებერვალი, პარ. 83; ჰუმანიტარული დახმარების მუშაკთა უსაფრთხოების მონაცემთა ბაზა, *Aid Worker Security Report 2015 – Figures at a Glance*, http://bit.ly/1RuXzyh and *Syria 2011 – Present*, http://bit.ly/1R5x2aV.

[145] OCHA, *სირია" გაერო და პარტნიორები ავრცელებენ მთავარ მოწოდებას,* 2014 წლის 18 დეკემბერი, http://bit.ly/1t5RDou.

[146] ფინანსური სამსახური, *სირიის კრიზისის ჯამური დაფინანსება, ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის 15 ნოემბერს,* http://bit.ly/1GNoT4Z.

[147] გაეროს ახალი ამბების ცენტრი, *სირია: გაეროს ჯანმრთელობის საგენტო დონორებს სთხოვს დაეხმარონ ქვეყნებს "მძიმე ტვირთის აწევაში"*, 2015 წლის 24 სექტემბერი,

ტერიტორიაზე დაშვება და თავშესაფრის უფლება

31. UNHCR-ი სირიიდან სამოქალაქო პირთა გამოქცევას ლტოლვილთა მოძრაობის კვალიფიკაციას ანიჭებს. სირიელებს, და პალესტინელ ლტოლვილებს, რომელთათვისაც სირია მანამდე მათი მუდმივი ცხოვრების ადგილი იყო, საერთაშორისო დაცვას საჭიროებენ, ვიდრე სირიაში მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესდება მათი უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა მდგომარეობა და არ შეიქმნება პირობები მათი ნებაყოფლობითი დაბრუნებისთვის, უსაფრთხო და ღირსეულ გარემოში.

32. UNHCR-ი დიდ მადლიერებას გამოხატავს რეგიონის ქვეყნების მიმართ, რომლებმაც გამოიჩინეს გულისხმიერება და და მიიღეს სირიიდან გამოქცეულ ადამიანთა უმრავლესობა, მიუხედავად იმისა, რომ მათი ეკონომიკა და საზოგადოება დიდი პრობლემებისა და წნეხის ქვეშ იმყოფება და დიდ ტვირთად აწვება მათ სოციალურ სამსახურებს, ინფრასტრუქტურას და სამთავრობო რესურსებს.[148] რეგიონში მიმღებ ქვეყნებზე დატვირთვა იზრდება. მიუხედავად ამისა, სულ უფრო მეტ შეშფოთებას იწვევს რეგიონისა და მის გარეთ ქვეყნებზე ხელმისაწვდომობა და დარჩენის ნებართვის მიღება სირიელი და პალესტინელი ლტოლვილებისთვის, რომელთათვისაც სირია მანამდე მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იყო, და რომლებმაც მრავალჯერ გადაადგილებნენ იძულებით[149]. არსებული ინფორმაციის თანახმად, სულ უფრო

---

http://www.refworld.org/docid/5605088240a.html; UNHCR, *Worsening Conditions inside Syria and the Region Fuel Despair, Driving Thousands towards Europe*, 2015 წლის 18 სექტემბერი; "The Guardian", *გაეროს დაწესებულებები "ველარ უმკლავდებიან" ლტოლვილთა მზარდ კრიზისს,* 2015 წლის 6 სექტემბერი, http://bit.ly/1hX9iJX; გაეროს ახალი ამბების ცენტრი, *დაფინანსების სიმცირის გამო გაეროს სააგენტო იძულებულია შეამციროს სუსრსათის მიწოდება,* 2015 წლის 26 მარტი,http://www.refworld.org/docid/55192e864.html.

[148] UNHCR, *გაეროს უშიშროების საბჭო (7349-ე შეხვედრა), ღია შეხვედრა სირიაში ჰუმანიტარული მდგომარეობის შესახებ. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის, ანტონიო გუტერესის სიტყვა,* 2015 წლის 26 თებერვალი, http://www.unhcr.org/54ef20579.html.

[149] "მეზობელ ქვეყნებში ლტოლვილთა უწყვეტი ნაკადის გამო გრძელდება რეგიონის დესტაბილიზაცია. იგი, მასპინძელ ქვეყნებში, მძიმე ზემოქმედებას ახდენს ცხოვრების პირობებზე, საჯარო სერვისებზე და ძირითადი მოხმარების საგნებით ადგილობრივი მოსახლეობის უზრუნველყოფაზე. ეს ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები, უსაფრთხოების პრობლემებთან ერთად, მეზობელ ქვეყნებს აიძულებს სასწრაფოდ მიიღონ საზღვრის მართვის ზომები, რომლებიც, ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სიტყვებით, "ლტოლვილებს უზღუდავს" უსაფრთხოების მიღწევის შანსებს"; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 21. იხ. აგრეთვე, "The Guardian", ლტოლვილები კვლავ მოდიან და მოდიან, მაგრამ ევროპაში იქმნება ბარიერები, 2015 წლის 31 ოქტომბერი, http://bit.ly/1RtQRc6; IRIN, *მავთულხლართებსა და დანაღმულ ველს შორის მომწყვდეული ლტოლვილები,* 2015 წლის 15 სექტემბერი, 2015 წლის 15 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/55f91b3bb7c.html; UNHCR, *Worsening Conditions inside Syria and the Region Fuel Despair, Driving Thousands towards Europe*, 2015 წლის 8 სექტემბერი; UNHCR, *გაეროს უშიშროების საბჭო (7349-ე შეხვედრა), ღია შეხვედრა სირიაში ჰუმანიტარული მდგომარეობის შესახებ. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის, ანტონიო გუტერესის სიტყვა,* 2015 წლის 26 თებერვალი,

იზრდება იძულებითი დაბრუნებისა და ქვეყანაში შესვლაზე უარის თქმის შემთხვევები, მათ შორის, სირიიდან გამოქცეული პალესტინელი ლტოლვილებისთვის.[150]

33. 2015 წელს ევროპაში საგრძნობლად იმატა ზღვის გავლით შესულ ლტოლვილთა რიცხვმა;[151] 2015 წლის 15 ნოემბრის მონაცემებით, 816 000 ადამიანმა გადაკვეთა ხმელთაშუა ზღვა გემების მეშვეობით, მათგან 52 პროცენტი სირიელი იყო.[152] ხმელთაშუა ზღვის გავლით შესულ პირთა რაოდენობა ყველაზე დიდი იყო 2015 წლის ოქტომბერში.[153] არსებული მონაცემების თანახმად, ათასობით ადამიანი, მათ შორის, სირიელები, დაიხრჩვნენ ან უგზო-უკვლოდ არიან დაკარგულნი.[154] სირიელ

---

http://www.unhcr.org/54ef20579.html; IRIN, *A Timeline of Syria's Closing Borders*, 2015 წლის 8 იანვარი, http://bit.ly/1FyFIoD.

[150] "The Guardian", *ლტოლვილთა გადარჩენილი ნავი თურქეთშია დაკავებული "მათ სირიაში დეპორტაციის ეშინიათ",* 2015 წლის 20 სექტემბერი, http://gu.com/p/4chc2/stw; HRW, *იორდანია: უდაბნოში გარიყული სირიელები,* 2015 წლის 3 ივნისი, http://www.refworld.org/docid/55757a9c4.html; HRW, *იორდანია:სირიაში დაბრუნებული მოწყვლადი ლტოლვილები,* 2014 წლის 24 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/54759dfe4.html. იხ. აგრეთვე, "The Daily Beast", არაბული ქვეყნები პალესტინელ დევნილებს კვლავ სირიაში დაბრუნებას აიძულებენ, 2015 წლის 27 აგვისტო, http://thebea.st/1MValaF; "მიდლ ისტ აი", *იორდანია პალესტინელი ლტოლვილების სირიაში დეპორტაციას ახდენს,* 2015 წლის 21 მაისი, http://bit.ly/1Wp3tYz.

[151] ეს ზრდა მაინც მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულმა სახელმწიფოებმა საზღვრის გასწვრივ ფიზიკური ბარიერები გამოიყენეს, მაგალითად, ღობურები და სხვა შემაკავებელი საშუალებები. იხ. HRW, *საბერძნეთი:ნავებზე შეტევა საფრთხეს უქმნის მიგრანტთა სიცოცხლეს,* 2015 წლის 22 ოქტომბერი, http://www.refworld.org/docid/5628a0404.html; "Amnesty International ", *მოიხსნას ღობურები: უნგრეთი არღვევს ლტოლვილთა და მიგრანტთა უფლებებს,* 2015 წლის 7 ოქტომბერი, http://bit.ly/1GzPjfT; "Amnesty International ", *Serbia/Hungary: Refugees Stuck in 'No-Man's Land' on Border amid Appalling Humanitarian Failure*, 2015 წლის 16 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/55fa962b4.html; UNHCR, *UNHCR-ი მოუწოდებს ევროპას შეცვალოს ლტოლვილთა კრიზისისადმი მიდგომა,* 2015 წლის 16 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/55fa85705.html; "Washingtion Post", *ლტოლვილებს ცრემლსადენი გაზით და წყლის ჭავლით ხვდებიან, როგორც კი ევროპის ახალ ბილიკებს გამოივლიან,* 2015 წლის 16 სექტემბერი, http://wpo.st/H4ng0; გლობალური კვლევა, *არასასურველი ლტოლვილები: ევროკავშირის ქვეყნები საზღვრებს ბლოკავენ,* 2015 წლის 16 სექტემბერი, http://bit.ly/1NpIUna; HRW, *Hungary: Abysmal Conditions in Border Detention*, 2015 წლის 11 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/55f2d6b94.html; Open Democracy, *დახუჭული თვალები, დაკეტილი საზღვრები: ევროკავშირის პოლიტიკა და ლტოლვილები სირიიდან,* 2014 წლის 3 სექტემბერი, http://bit.ly/1DaufId; "Amnesty International ", *სირიის გამომაფხიზლებელი გაფრთხილება მაკედონიის საზღვართან მიმწყვდეული ლტოლვილების შესახებ,* 2015 წლის 27 აგვისტო, http://www.refworld.org/docid/55e05aaf4.html.

[152] UNHCR, *გადაუდებელი რეაგირება ლტოლვილთა/მიგრანტთა საჭიროებებზე - ხმელთაშუა ზღვის რეგიონის მიმოხილვა,* ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის 15 ნოემბერს, http://data.unhcr.org/mediterranean/regional.php. 2015 წლის 1 იანვრიდან 15 ნოემბრამდე, საბერძნეთში 673 916 ადამიანი შევიდა, მათგან თითქმის ორი მესამედი სირიელი იყო; UNHCR, *გადაუდებელი რეაგირება ლტოლვილთა/მიგრანტთა საჭიროებებზე - ხმელთაშუა ზღვა/საბერძნეთი, ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის 15 ნოემბერს,* http://data.unhcr.org/mediterranean/country.php?id=83. 2015 წლის 1 იანვრიდან 15 ნოემბრამდე 142000 ადამიანი შევიდა იტალიაში, მათგან 5 პროცენტი სირიელი იყო; UNHCR, *გადაუდებელი რეაგირება ლტოლვილთა/მიგრანტთა საჭიროებებზე - ხმელთაშუა ზღვა/იტალია, ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის 15 ნოემბერს,* http://data.unhcr.org/mediterranean/country.php?id=105.

[153] დაახლოებით 219000 ადამიანი შევიდა, 23000-მდე ადამიანი შევიდა 2014 წლის ოქტომბერში; იქვე.

[154] არსებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის 1 იანვრიდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე, 3460 ადამიანი დაიხრჩო ან კვლავ დაკარგულად ითვლება ხმელთაშუა ზღვის გადმოკვეთის მცდელობის შემდეგ;

ლტოლვილთა, მათ შორის, უშუალოდ სირიიდან გამოსულ პირთა ევროპაში ჩასვლის ძირითადი მიზეზი არის მწვავე კონფლიქტის პოლიტიკური სიტუაციის სწრაფად მოგვარების მიმართ სრული უიმედობა, ასევე, სირიელთა ცხოვრების პირობების მკვეთრი გაუარესება - როგორც სირიაში, ისე რეგიონში, რასაც, ამავდროულად, ჰუმანიტარული დაფინანსების სიმწირეც უწყობს ხელს. რეგიონის ქვეყნებში, რომლებიც სირიელთა მიმღებ ქვეყნებს წარმოადგენენ, UNHCR-მა გამოავლინა, რომ ხდება საარსებო საშუალებათა მოპოვებისა და განათლების მიღების შესაძლებლობათა შემცირება და ცხოვრების უფლების კანონიერად გაგრძელების გართულება, ხოლო ლტოლვილები სულ უფრო დაუცველად გრძნობენ თავს.[155]

34. ამ ფონზე, UNHCR-ი კვლავ მიმართავს სახელმწიფოებს, უზრუნველყონ მათ ტერიტორიებზე სირიიდან გამოქცეულ სამოქალაქო პირთა დაშვება და მათთვის თავშესაფრის ძიების საშუალების მიცემა. სირიიდან გამოქცეული პირებს, რომლებმაც, დაცვის ძიებაში, საერთაშორისო წყლები გადაკვეთეს, საშუალება უნდა მიეცეთ მიადგნენ უსაფრთხო ნაპირს, ანუ, ფიზიკურად უსაფრთხო ადგილს, სადაც შეიძლება დაკმაყოფილდეს მათი ელემენტარული საჭიროებები, და სადაც მათ გაძევება არ დაემუქრებათ.[156] სირიიდან გამოქცეულ პირთა შესვლა და შესვლაზე ნებართვის მიცემა უნდა მოხდეს დაცვაზე ორიენტირებული მიდგომით, რომელიც შესაბამისობაშია სახელმწიფოს მიერ ეროვნული და საერთაშორისო სამართლის საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებთან, თავშესაფრის ძიების უფლების ჩათვლით, იმის მიუხედავად, ისინი ქვეყანაში შესვლას ცდილობენ სათანადო დოკუმენტების გარეშე თუ რაიმე სხვა უკანონო გზით. გათვალისწინებული უნდა იქნეს ოჯახის ერთიანობა და სპეციალური მოთხოვნების მქონე პირთა დაცვა. UNHCR-ი მიმართავს ყველა სახელმწიფოს, რომ უზრუნველყონ სირიიდან გამოქცეულ პირთა დაცვა გაძევებისაგან და მიანიჭონ მათ საერთაშორისო დაცვა, რომლის ფორმაც დამოკიდებული იქნება კონკრეტულ ქვეყანაში არსებული მიღების პროცედურებსა და შესაძლებლობებზე, ამავდროულად, დაცული უნდა იქნეს ადამიანის ძირითადი უფლებები.

UNHCR, *გადაუდებელი რეაგირება ლტოლვილთა/მიგრანტთა საჭიროებებზე - ხმელთაშუა ზღვის რეგიონის მიმოხილვა,* ხელმისაწვდომი იყო 2015 წლის 15 ნოემბერს, http://data.unhcr.org/mediterranean/regional.php. მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის შეფასებით, 2000-ზე მეტი სირიელი დაიხრჩო ევროპაში შეღწევის მცდელობისას; გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისიის მოხსენება, 2015 წლის 13 აგვისტო, პარ. 87.

[155] UNHCR, *სირიელ ლტოლვილთა ევროპისკენ სვლის გამომწვევი შვიდი ფაქტორი,* 2015 წლის 25 სექტემბერი, http://www.unhcr.org/560523f26.html. იხ. აგრეთვე, "The Guardian", *სულ უფრო მზარდი რაოდენობის სირიელთა ევროპაში გამოქცევის ექვსი მიზეზი,* 2015 წლის 25 ოქტომბერი, http://bit.ly/1PNqcJD; UNHCR, *Worsening Conditions inside Syria and the Region Fuel Despair, Driving Thousands towards Europe*, 2015 წლის 8 სექტემბერი; "The Guardian", *UN Agencies 'Broke and Failing' in Face of Ever-Growing Refugee Crisis*, 2015 წლსი 6 სექტემბერი, http://gu.com/p/4c38h/stw; UNHCR, *UNHCR-ის კვლევა უჩვენებს, რომ იორდანიაში სწრაფად უარესდება სირიელ ლტოლვილთა ცხოვრების პირობები,* 2015 წლის 14 იანვარი, http://www.unhcr.org/54b635b49.html.

[156] იხ. UNHCR, *გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის წარდგინება საქმეზე ჰირსი და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Hirsi and Others v. Italy),* 2011 წლის 29 მარტი,განაცხადი no. 27765/09, http://www.refworld.org/docid/4d92d2c22.html.

თავშესაფრის სამოქალაქო და ჰუმანიტარული ხასიათი

35. სირიაში არსებული შეიარაღებული კონფლიქტის გათვალისწინებით, შესაძლებელია, რომ, მათ შორის, ვინც დატოვა სირია და საერთაშორისო დაცვას ეძებს მეზობელ ქვეყნებში, შეიძლება იყვნენ ადამიანები, რომლებიც მონაწილეობდნენ სამხედრო დაპირისპირებაში. UNHCR-ი კარგად აცნობიერებს არსებული სიტუაციით გამოწვეულ პრობლემებს, თუმცა, ამის მიუხედავად, მოუწოდებს ყველა შესაბამის მთავრობას, ყველა ძალისხმევა გამოიყენონ სირიიდან შემოსულ პირთა შორის კომბატანტებისა[157] და შეიარაღებული ელემენტების[158] გამოსავლენად და კომბატანტების ცალკე განსათავსებლად, რომელიც დააკმაყოფილებს თავშესაფრის ჰუმანიტარულ და სამოქალაქო ხასიათს.[159] კომბატანტებად და/ან შეიარაღებულ ელემენტებად იდენტიფიცირებულ ინდივიდებს, შეიარაღებულ ძალებთან ან შეიარაღებულ ჯგუფებთან ასოცირებული ბავშვების ჩათვლით, უნდა მოექცნენ შესაბამისი საერთაშორისო სამართლით დადგენილი სტანდარტების დაცვით.[160]

თავშესაფრის მოთხოვნის ინდივიდუალური განაცხადების შეფასება

36. სირიიდან გამოქცეულ სირიელთა და სხვა ეროვნების პირთა უმრავლესობა რეგიონში რჩება, თუმცა სულ უფრო იზრდება იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც უფრო

---

[157] ყურადღება მიაქციეთ, რომ UNHCR-ი ტერმინს "კომბატანტი" უფრო ფართო მნიშვნელობით იყენებს, ვიდრე მისი კონკრეტული მნიშვნელობაა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში და იგი მოიცავს *„რეგულარული შეიარაღებული ძალების ან არარეგულარული შეიარაღებული ჯგუფების ნებისმიერ წევრს, ქალს თუ კაცს, ან პირს, ვინც აქტიურად მონაწილეობდა სამხედრო მოქმედებებში და შეიარაღებულ შეტაკებებში, ან ახორციელებდა სამხედრო პერსონალის რეკრუტთან და წვრთნასთან დაკავშირებულ საქმიანობას, ან იყო მეთაური ან გადაწყვეტილების მიმღები პირი რეგულარულ ან არარეგულარულ შეიარაღებულ ორგანიზაციაში, და ვინც შემდეგ მასპინძელ სახელმწიფოში აღმოჩნდა".* იხ.UNHCR, *Operational Guidelines on Maintaining the Civilian and Humanitarian Character of Asylum,* 2016 წლის სექტემბერი, გვ. 17, http://www.unhcr.org/refworld/docid/452b9bca2.html.

[158] ტერმინი "შეიარაღებული ელემენტი" მიუთითებს ყველა პირზე, ვინც იარაღს ატარებს, და ვინც შეიძლება იყოს როგორც კომბატანტი, ისე სამოქალაქო პირი. იგი მოიცავს სამოქალაქო პირებს, რომელსაც შეიძლება იარაღის ტარება მოუხდეს თავდაცვის ან რაიმე სამხედრო აქტივობის მიზნით. იხ. UNHCR, *Operational Guidelines on Maintaining the Civilian and Humanitarian Character of Asylum,* 2006 წლის სექტემბერი, გვ. 17, http://www.unhcr.org/refworld/docid/452b9bca2.html.

[159] მასპინძელი ქვეყნის საზღვრის გადაკვეთისას უნდა მოხდეს შეიარაღებული ელემენტების განიარაღება, მხოლოდ კომბატანტები უნდა გამოყონ და უნდა მოხდეს მათი ინტერნირება; იქვე.

[160] ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ჩათვლით. ზოგადად, შეიარაღებულ ძალებთან ან შეიარაღებულ ჯგუფებთან დაკავშირებული ბავშვების ინტერნირება არ ხდება, თუმცა გამონაკლის შემთხვევაში ეს შეიძლება შეეხოს 15 წლის და მეტი ასაკის ბავშვებს, კონფლქიტთან დაკავშირებული მიზეზების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, ინტერნირებული ბავშვი სარგებლობს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლითა და ადამიანის უფლებათა სამართლით დადგენილი სპეციალური გარანტიებით. იხ. UNHCR, *Operational Guidelines on Maintaining the Civilian and Humanitarian Character of Asylum,* 2006 წლის სექტემბერი, http://www.unhcr.org/refworld/docid/452b9bca2.html

შორეულ ქვეყნებში გადადიან და საერთაშორისო დაცვას ითხოვენ.[161] მათი მოთხოვნები სამართლიანი და ეფექტური პროცედურების მეშვეობით უნდა შეფასდეს. UNHCR-ი მიიჩნევს, რომ სირიელთა უმრავლესობა, რომლებიც საერთაშორისო დაცვას მოითხოვენ, სავარაუდოდ დააკმაყოფილებენ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლით დადგენილ განსაზღვრებას, რადგან მათ ექნებათ სათანადოდ დასაბუთებული შიში დევნის მიმართ, რომელიც დაკავშირებული იქნება კონვენციის ერთ-ერთ საფუძველთან. სირიიდან გამოქცეული სამოქალაქო პირთა უმრავლესობისთვის 1951 წლის კონვენციის საფუძველთან კავშირი განისაზღვრება მათი პირდაპირი ან არაპირდაპირი, რეალური ან სავარაუდო ასოცირებით კონფლიქტის რომელიმე მხარესთან.[162] იმისათვის რომ ინდივიდმა დააკმაყოფილოს ლტოლვილის კრიტერიუმები, აუცილებელი არ არის ადამიანი წარმოადგენდეს დევნის ინდივიდუალურ სამიზნეს, ანუ, საგანგებოდ 'შერჩეულს' დევნისთვის, ან მისგან მომდინარე რისკის ქვეშ იდგეს. ქვეყნიდან გამოქცეული სირიელები და სირიის მუდმივიმცხოვრებნი შეიძლება იდგნენ, მაგალითად, დევნის საფრთხის წინაშე პოლიტიკური შეხედულებებისთვის, რომლებსაც მათ მიაწერენ ნავარაუდევი კავშირისთვის კონფლიქტის კონკრეტულ მხარესთან, რასაც აფუძნებენ მათ რელიგიურ თუ ეთნიკურ წარმომავლობას, ან, იმის გამო, რომ იმ უბანსა თუ სოფელს, სადაც ისინი მანამდე ცხოვრობდნენ, კონფლიქტის კონკრეტული მხარის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. ამ თვალსაზრისით, UNHCR-ი მიესალმება სირიიდან წამოსული თავშესაფრის მაძიებელთათვის 2014 და 2015 წლებში ევროკავშირის მიერ ლტოლვილის სტატუსის მინიჭების ზრდას, 2013 წელთან შედარებით, როდესაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები სირიელებს ძირითადად დამატებით დაცვას ანიჭებდნენ.[163]

37. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც შეიძლება ვერ დაკმაყოფილდეს 1951 წლის დებულებები ჩართვის შესახებ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ლტოლვილის უფრო ფართო კრიტერიუმები, რომლებიც ლტოლვითა შესახებ რეგიონულ დოკუმენტებშია შემუშავებული,[164] ან გამოყენებული იქნეს საერთაშორისო დაცვის სხვა ფორმები, დამატებითი დაცვის ჩათვლით,[165] ან უზრუნველყოფილი იქნეს არგაძევების

---

[161] იხ. ზემოთ, პარ. 10.

[162] იხ. ზემოთ, პარ. 17.

[163] ევროსტატი, *Asylum Quarterly Report - First Instance Decisions in the EU-28 by Outcome, Selected Citizenships, 2nd Quarter 2015*, 2015 წლის 16 სექტემბერი, http://bit.ly/1MjEZWG. იხ. აგრეთვე, ევროპის თავშესაფრის მხარდამჭერი ოფისი (EASO), *Newsletter September 2015*, 2015 წლის ოქტომბერი, გვ. 3, http://bit.ly/1NSaVHd.

[164] ლტოლვილის რეგიონული კრიტერიუმებისთვის იხ. აფრიკული ერთობის ორგანიზაცია (Organization of African Unity), *კონვენცია აფრიკაში ლტოლვილთა პრობლემების კონკრეტული ასპექტების მართვის შესახებ ("OAU Convention"),* 1969 წლის 10 სექტემბერი, 1001 U.N.T.S. 45, http://www.unhcr.org/refworld/docid/3ae6b36018.html; *კართაგენის დეკლარაცია ლტოლვილთა შესახებ; კოლოქვიუმი ცენტრალურ ამერიკაში, მექსიკასა და პანამაში ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შესახებ,* 1984 წლის 22 ნოემბერი, http://www.unhcr.org/refworld/docid/3ae6b36ec.html; აზია-აფრიკის იურიდიული კონსულტაციის ორგანიზაცია (AALCO), *ბანგკოკის პრინციპები ლტოლვილთა სტატუსისა და მათდამი მოპყრობის შესახებ ("ბანგკოკის პრინციპები"),* 1966 წლის 31 დეკემბერი, http://www.unhcr.org/refworld/docid/3de5f2d52.html.

[165] სუბსიდიური დაცვის შესახებ იხ. ევროპის კავშირი, ევროპის პარლამენტის 2011 წლის 13 დეკემბრის დირექტივა *2011/95/EU მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის*

პრინციპის დაცვა, რომელიც მომდინარეობს ადამიანის უფლებათა საყოველთაო ან რეგიონული ნორმებიდან,[166] ან ეროვნული კანონმდებლობის სტანდარტებიდან.

რისკ პროფილები

38. იქ, სადაც სირიიდან გამოქცეული თავშესაფრის მაძიებელი ინდივიდუალურ საფუძველზე განიხილება - თავშესაფრის ან ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის მიზნით დადგენილი პროცედურების შესაბამისად, UNHCR-ს მიაჩნია, რომ პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე მახასიათებელს, ან ამ მახასიათებელთა გარკვეულ კომბინაციას - და ინდივიდუალური საქმის გარემოებებიდან გამომდინარე -, სავარაუდოდ საჭიროებენ საერთაშორისო დაცვას 1951 წლის კონვენციის შესაბამისად, რა თქმა უნდა, გარდა იმ შემთხვევებისა სადაც გამორიცხვის დებულებების გამოყენება არ არის საჭირო (იხ. პარ. 39). ოჯახის წევრები ან პირები, რომლებიც მოცემულ პირთან სხვაგვარად არიან დაკავშირებულნი ქვემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლების კონტექსტში, საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე, ასევე შეიძლება საჭიროებდნენ ლტოლვილის საერთაშორისო დაცვას. საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დევნას, რომელიც შეიძლება წარსულში მოხდა განმცხადებელთა მიმართ.[167] აქ ჩამოთვლილი მახასიათებლები ამომწურავი არ არის და შეიძლება ისინი ურთიერთგადამფარავი იყოს. მახასიათებელთა ჩამონათვალი რაიმე იერარქიას არ ითვალისწინებს. მახასიათებლები ეფუძნება მათი შემოშვების დროს არსებულ ინფორმაციას და, ამიტომ, მოთხოვნა არ უნდა იქნეს ავტომატურად განხილული უსაფუძვლოდ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იგი არ არის ჩართული აქ განსაზღვრულ მახასიათებელთა შორის.

განსაზღვრის სტანდარტები - საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარად აღიარებისთვის, ლტოლვილთა ერთიანი სტატუსის დადგენის, ან სუბსიდიური დაცვის განსაზღვრისთვის, და მინიჭებული დაცვის შინაარსისდადგენისთვის (გადამუშავებული), http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2011:337:0009:0026:EN:PDF.

[166] როგორიცაა კონვენცია წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვის შესახებ [მიღებულია და ხელმოსაწერად, რატიფიცირებისა და მიერთებისთვის გახსნილია გენერალური ასამბლეის 1984 წლის 10 დეკემბერის რეზოლუციით 39/46, ძალაში შევიდა 1987 წლის 26 ივნისს, 27 (1) მუხლის შესაბამისად], http://www.ohchr.org/EN/ProfessionalInterest/Pages/CAT.aspx; *საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ* [მიღებულია და ხელმოსაწერად, რატიფიცირებისა და მიერთებისთვის გახსნილია გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბერის რეზოლუციით, ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს, 49-ე მუხლის შესაბამისად], http://www.ohchr.org/en/professionalinterest/pages/ccpr.aspx; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია [კონვენცია ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის შესახებ, *რომი,* 4.XI.1950], http://www.echr.coe.int/Documents/Convention_ENG.pdf.

[167] შესაბამისი მოსაზრებები წარსულში განცდილი დევნის შესახებ იხ. გაიდლაინების 26-ე პარაგრაფში; UNHCR, *გაიდლაინები საერთაშორისო დაცვის შესახებ No. 4: "Internal Flight or Relocation Alternative" Within the Context of Article 1A(2) of the 1951 Convention and/or 1967 Protocol Relating to the Status of Refugees,* HCR/GIP/03/04, 2003 წლის 23 ივლისი, http://www.unhcr.org/refworld/docid/3f2791a44.html.

- *მთავრობის მოწინააღმდეგე, ან ასეთად აღქმული პირები,* მათ შორის - და არა მხოლოდ - ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წევრები; დემონსტრანტები, აქტივისტები და სხვები, რომლებიც მიიჩნევიან ოპოზიციის გულშემატკივრებად; ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების წევრები, ან პირები, რომლებიც მიიჩნევიან ანტისამთავრობო შეიარაღებული ჯგუფების წევრებად; პირები, რომლებიც თავს არიდებენ შეიარაღებულ ძალებში სამსახურს და დეზერტირები; მთავრობისა და ბაასის პარტიის ოფიციალური პირები, რომლებმაც მიატოვეს თავიანთი თანამდებობები; იმ პირთა ოჯახის წევრები და მათთან დაკავშირებული სხვა ინდივიდები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეულნი; და ქალაქში, დაბებსა და სოფლებში მცხოვრები სამოქალაქო პირები, რომლებიც მთავრობის მოწინააღმდეგედ არიან მიჩნეულნი.[168]

- *მთავრობის მხარდამჭერი, ან ასეთად აღქმული პირები,* მათ შორის - და არა მხოლოდ, მთავრობის თანამდებობის პირები და მთავრობასთან დაკავშირებული პარტიების წევრები; სამთავრობო ძალების წევრები ან ასეთად აღქმული პირები, და სამოქალაქო პრიები, რომლებიც მიჩნეულნი არიან სამთავრობო ძალების მოკავშირეებად; იმ პირთა ოჯახის წევრები, რომლებიც მხარს უჭერენ მთავრობას, ან ასეთად არიან მიჩნეულნი; და და ქალაქში, დაბებსა და სოფლებში მცხოვრები სამოქალაქო პირები, რომლებიც მთავრობის მხარდამჭერებად არიან მიჩნეულნი.[169]

- *პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ - ან მიიჩნევიან, რომ წინააღმდეგობას უწევენ - ISIS-ს მათ მიერ დე ფაქტო კონტროლირებულ ან მათი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე.*

- *პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ - ან მიიჩნევიან, რომ წინააღმდეგობას უწევენ - ანტისამთავრობო შეიარაღებულ ჯგუფებს მათ მიერ დე ფაქტო კონტროლირებულ ტერიტორიებზე.*

- *პირები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ - ან მიიჩნევიან, რომ წინააღმდეგობას უწევენ - PYD/YPG ძალებს მათ მიერ დე ფაქტო კონტროლირებულ ტერიტორიებზე.*

- *კონკრეტული პროფესიების მქონე ადამიანები,* განსაკუთრებით, ჟურნალისტები და მასმედიის სხვა მუშაკები; სამოქალაქო ჟურნალისტები; ექიმები და ჯანდაცვის სხვა მუშაკები; ადამიანის უფლებათა დამცველები; ჰუმანიტარული მუშკები; მსახიობები; და ბიზნესმენები და სხვა შეძლებული თუ გავლენის მქონე ადამიანები (ასეთად მიჩნეულნი).

- *რელიგიური ჯგუფების წევრები,* სუნიტების, ალავიტების, ისმაილელთა, თორმეტთა შიიტების, დრუზების, ქრისტიანებისა და ეზიდების ჩათვლით.

---

[168] იხ. ზემოთ, პარ. 17.
[169] იქვე.

- *შარიათის კანონის დამრღვევად მიჩნეული პირები, იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც არის ექსტრემისული ისლამური ჯგუფების კონტროლის ან გავლენის ქვეშ.*

- *ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფების წევრები,* ქურთების, თურქმენების, ასირიელების, ჩერქეზების და სომხების ჩათვლით.

- *ქალები,*[170] განსაკუთრებით, მამაკაცის დაცვის გარეშე მყოფი ქალები; ქალები, რომლებიც არიან სქესობრივი ძალადობის, ადრეული და იძულებითი ქორწინების, ოჯახში ძალადობის, „პატივის დაცვის მიზნით ჩადენილი დანაშაულის“ ან ტრეფიკინგის მსხვერპლი ან მათი რისკის ქვეშ იმყოფებიან.

- *ბავშვები,*[171]განსაკუთრებით, ბავშვები, რომლებსაც დაპატიმრება ემუქრებათ, ან უკვე იყვნენ დაპატიმრებულნი; არასრულწლოვანთა და იძულებითი რეკრუტის მსხვერპლი, ან ასეთი რისკის ქვეშ მყოფი ბავშვები; სქესობრივი და ოჯახში ძალადობის, ბავშვის შრომის, ტრეფიკინგის და განათლებაზე სისტემატური ხელმიუწვდომლობის მსხვერპლი ბავშვები.

- *სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის მქონე პირები.*[172]

- *პალესტინელი ლტოლვილები.*[173]

გამორიცხვასთან დაკავშირებული საკითხები

39. სირიის მოქალაქეთა ან მუდმივად მცხოვრებთა შორის, რომლებიც საერთაშორისო დაცვას ითხოვენ, შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ასოცირდებიან ისეთ ქმედებებთან, რომლებიც ხვდება 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის გამორიცხვის დებულებათა ფარგლებში.[174] გამორიცხვის შესახებ მოსაზრებების ჩამოყალიბება განსაკუთრებით იმ შემთხვევებში იწყება, როდესაც საქმე ეხება ძალადობის აქტებში შესაძლო მონაწილეობას, 2011 წლის მარტიდან, სამოქალაქო პირებზე უკანონო თავდასხმების, სკოლებსა და საავადმყოფოებზე თავდასხმების, კულტურული და რელიფიური ძეგლების განადგურების, მკვლელობების, წამების, და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების, გატაცების, ტყვედ აყვანის, გაუპატიურების სა სქესობრივი ძალადობის სხვა ფორმების, იძულებითი გადაადგილებისა და ბავშვთა რეკრუტისა და

---

[170] იხ. ზემოთ, პარ. 18.
[171] იხ. ზემოთ, პარ. 19.
[172] იხ. ზემოთ, პარ. 20.
[173] იხ. ზემოთ, პარ. 21.
[174] UNHCR, *გაიდლაინები საერთაშორისო დაცვის შესახებ No. 5: გამორიცხვის დებულებათა გამოყენება: ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1F მუხლი,* 2003 წლის 4 სექტემბერი, HCR/GIP/03/05, http://www.unhcr.org/refworld/docid/3f5857684.html.

გამოყენების ჩათვლით.[175] გამორიცხვის შესახებ მოსაზრებები შეიძლება ასევე ჩამოყალიბდეს იმ განმცხადებელთა მიმართ, რომლებიც შესაძლოა 2011 წლის მარტამდე მონაწილეობდნენ ადამიანის უფლებათა დარღვევების ან სხვა სახის ქმედებებში, რომლებიც ხვდება 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის გამორიცხვის დებულებათა ფარგლებში.[176] ყოველი ასეთი შემთხვევის დროს ყურადღებით უნდა იქნეს განხილული ინდივიდუალური პასუხისმგებლობა მოცემული დანაშაულის მიმართებით, რამაც შეიძლება წარმოშვას ლტოლვილის საერთაშორისო დაცვიდან გამორიცხვის საკითხი. ლტოლვილის საერთაშორისო დაცვის გამორიცხვიდან გამომდინარე სერიოზული შედეგების გათვალისწინებით, გამორიცხვის დებულებები ფრთხილად უნდა იქნეს გამოყენებული. შეიარაღებულ დაპირისპირებებში მონაწილეობა, როგორც ასეთი, გამორიცხვის საფუძველი არ არის. ანალოგიურად, ჯგუფის ან ორგანიზაციის უბრალო წევრობა ასეთი გამორიცხვისთვის საკმარისი არ არის. ყოველ ინდივიდუალურ საქმეზე აუცილებელია გარემოებათა სრული შეფასება.[177]

დაბრუნება, მორატორიუმი იძულებით დაბრუნებაზე და Sur Place განაცხადების განხილვა

40. სირიაში უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სიტუაციის მუდმივი გაუარესებისა და მოცემულ დროში პოლიტიკური გადაწყვეტის არარსებობის ფონზე, UNHCR-ი მიესალმება მრავალი მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რომლებმაც შეწყვიტეს სირიის მოქალაქეთა ან სირიაში მუდმივად მცხოვრებთა იძულებითი დაბრუნება, იმ პირთა ჩათვლით, რომლებსაც თავშესფარზე უარი უთხრეს. ეს ღონისძიებები ძალაში უნდა დარჩეს შემდგომი ინფორმაციის მიღებამდე. UNHCR-ი ასევე მიიჩნევს, რომ გონივრული არ არის სირიის მოქალაქეთა ან მუდმივად

---

[175] მოხსენებების თანახმად, ადამიანის უფლებათა დარღვევებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სერიოზული დარღვევების შემთხვევები ყველა მხარეს ხდება. იხ. განსაკუთრებით, მოკვლევის დამოუკიდებელი საერთაშორისო კომისია, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.ohchr.org/EN/HRBodies/HRC/IICISyria/Pages/IndependentInternationalCommission.aspx. ISIS-ის და JAN-ის შესახებ დამატებით იხ. UNSC, *უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 2170 (2014) ექსტრემისტული ჯგუფების მიერ სირიასა და ერაყში ადამიანის უფლებათა უხეში და მასშტაბური დარღვევების დაგმობის შესახებ,* 2014 წლის 15 აგვისტო, http://www.un.org/press/en/2014/sc11520.doc.htm.

[176] იხ. მაგ., Amnesty International-ის წლიური მოხსენება სირიის შესახებ 2011 და უფრო ადრეული წლების, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://www.refworld.org/publisher,AMNESTY,ANNUALREPORT,SYR,,,0.html and და მოხსენება სირიის შესახებ, რომელიც ჩართულია HRW-ის მსოფლიო ანგარიშში 2011 და წინა წლებისთვის, ხელმსიაწვდომია ვებვერდზე: http://www.refworld.org/publisher,HRW,COUNTRYREP,SYR,,,0.html.

[177] ზოგ შემთხვევაში შეიძლება ნავარაუდევი იქნეს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა გამორიცხვის აქტებისთვის, თუკი განსაკუთრებით მოძალადე ჯგუფის წევრობა ან მის მოქმედებებში მონაწილეობა ნებაყოფლობითი იყო. 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის განმარტებისა და გამოყენების შესახებ დეტალური მითითებები იხ. UNHCR, *გაიდლაინები საერთაშორისო დაცვის შესახებ No. 5: გამორიცხვის დებულებებსი გამოყენება: ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის მუხლი 1F*, HCR/GIP/03/05, 2003 წლის 4 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/3f5857684.html; და საინფორმაციო სტატია დებულებათა გამოყენების შესახებ: ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლსი კონვენციის მუხლი, 2003 წლის 4 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/3f5857d24.html.

მცხოვრებთა დაბრუნება რეგიონის მეზობელ თუ არამეზობელ ქვეყნებში. ზოგ შემთხვევაში, ასეთი დაბრუნება შეიძლება უსაფრთხო არ იყოს მოცემული პირებისთვის, და ვერ იქნეს დაკმაყოფილებული მათი (სპეციფიკური) საჭიროებები. თუმცა, უფრო ფართო კონტექსტში, UNHCR-ი მიჩნევს, რომ მეზობელ ქვეყნებში და რეგიონის ქვეყნებში იძულებითი დაბრუნებისაგან თავის შეკავება იქნება აღიარება სახელმწიფოთა წვლილისა სირიიდან გამოქცეულ ადმიანთა დაცვასა და დახმარებაში და, ამავდროულად, ეს იქნება მათთვის საერთაშორისო სოლიდარობის გამოხატვა, აღიარება, რომ რეგიონი კვლავ გაუწევს მასპინძლობას სირიიდან გამოქცეულ ადამიანთა უმრავლესობას.

41. სირიაში მიმდინარე მოვლენათა ფონზე, შესაბამისი იქნება სირიელთა და სირიაში მუდმივად მცხოვრებ პალესტინელთა საქმეების ხელახალი განხილვა - რომლებსაც ადრე უარი უთხრეს თავშესაფრის მოთხოვნაზე, იმ ფარგლებში, რომელშიც ეს ადრე არ მომხდარა, იმგვარად, რომ, იმ ადამიანთა საკითხი, რომლებსაც აქვთ სათანადო საფუძველი *sur place* განაცხადისთვის, შესაბამისად იქნეს განხილული, რაც მათ საშუალებას მისცემს, გარანტიის შემთხვევაში, ისარგებლონ ლტოლვილად აღიარებასთან დაკავშირებული დაცვითა და უფლებებით.

42. UNHCR-ი მოუწოდებს მთავრობებს განახორციელონ მეზობელი ან სხვა ქვეყნებიდან ნებისმიერი სირიელის ან სირიაში მუდმივად მცხოვრებთა სირიაში დაბრუნების მონიტორინგი და შეაფასონ, მათი დაბრუნება ეფუძნება თუ არა თავისუფალ და კარგად ინფორმირებულ გადაწყვეტილებას, თუ იგი იძულებითი ან ძალდატანებითი ბუნებისაა. სირიაში ძირითადად გაბატონებული გარემოებების ფონზე, ისეთი დაბრუნება, რომლის დროსაც დახმარების და/ან დაცვის მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ არის,[178] ხელს არ უნდა უშლიდეს რეადმისიის პროცესს და უცილობლად არ უნდა ზღუდავდეს მიმღებ ქვეყენაში დაცვასა და დახმარებაზე ხელმისაწვდომობას. თუმცა, UNHCR-ი, მოუწოდებს მთავრობებს, გამოიჩინონ სიფხიზლე ლტოლვილთა სამხედრო დაპირისპირებაში მონაწილეობის ნიშნების მიმართ, რაც, ზოგ შემთხვევაში, სირიაში დაბრუნების შემდეგ შეიძლება გახდეს ნათელი.[179]

სოლიდარობა და პასუხისმგებლობის გაზიარება

43. სირიასა და მის ზოგიერთ მეზობელ ქვეყანაში ბოლო წლებში მიმდინარე მწვავე და ძალადობრივმა კონფლიქტმა ზემოქმედება მოახდინა რეგიონის სტაბილურობაზე, ასევე, ლტოლვილთა მიმღები ქვეყნების შესაძლებლობებზე მზარდი ჰუმანიტარული მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და მასობრივ გადაადგილებაზე რეაგირების

[178] იხ. ზემოთ, პარ. 11.

[179] ზემოაღნიშნული ინსტრუქციის შესაბამისად, ინდივიდები, რომლებიც სირიაში ამ მიზეზით დაბრუნდნენ, კომბატანტებად ან შეიარაღებულ ელემენტებად შეიძლება იქნან იდენტიფიცირებულნი (იხ. პარ. 35).

თვალსაზრისით, რასაც თან სდევს რესურსების შემცირება და, ამის შედეგად, დახმარების შეკვეცა. UNHCR-ი მუდამ მიუთითებს, რომ საჭიროა საერთაშორისო სოლიდარობის ენერგიული და დროული ზომების მიღება, რათა დაეხმარონ მეზობელ ქვეყნებს და რეგიონის ქვეყნებს სირიიდან გამოქცეულ ადამიანთა დაცვისა და დახმარების ძალისხმევაში და უზრუნველყონ რეგიონში დაცვის ადგილები და სოციალური ერთიანობა.[180] ეს, *inter alia,* მოიცავს, ჰუმანიტარული და განვითარების სფეროს აქტორთა უფრო ენერგიულ, დროულ და უწყვეტ დაფინანსებას, რათა დახმარება გაუწიონ მიმღებ საზოგადოებებს მათი ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი სერვისების გაძლიერებაში და მათ საზოგადოებებში ლტოლვილთა დიდი რაოდენობის შეთვისებაში.

44. რეგიონში და მის გარეთ მიმდინარე ლტოლვილთა კრიზისის ფონზე, UNHCR-ი უფრო მეტი დაბეჯითებით მოუწოდებს უშუალოდ სირიის რეგიონში მდებარე ქვეყნებს, გამოძებნონ კონკრეტული და გონივრული გზები სირიელი ლტოლვილებისათვის სოლიდარობის გამოხატვისა და პასუხისმგებლობის გაზიარების მიზნით. მეზობელი ქვეყნები ვერ შეძლებენ გაუმკლავდნენ უდიდეს ტვირთსა და დაცვასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს, რომლებიც მათ ამჟამად იტვირთეს გონივრული და მდგრადი სოლიდარული ღონისძიებების გარეშე. ეს შეთავაზებები კი უცილობლად მოითხოვს არსებული ფარგლების გაფართოვებას. კონფლქიტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ქვეყნებში ფინანსური და სხვა საშუალებებით მეტი სოლიდარობის მიღწევის აუცილებლობასთან ერთად[181] საჭიროა მნიშვნელოვნად გაფართოვდეს სამართლებრივი გზები სირიელებისთვის უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველსაყოფად, ასევე, პალესტინელებისათვის და სხვა ლტოლვილებისთვის, რომლებიც სირიაში იმყოფებიან. ხელახალი განსახლების, ჰუმანიტარული თავშესაფრისა და ქვეყნებში სამართლებრივი შესვლის სხვა პროგრამები უზრუნველყოფს სასიცოცხლო მნიშვნელობის დაცვას მოწყვლადი ლტოლვილების უმრავლესობისთვის, რადგან ამ პროგრამებით მათთვის იქმნება ხელმისაწვდომობა გრძელვადიან გადაწყვეტაზე მესამე ქვეყნებში, სადაც ლტოლვილებს შეუძლიათ კვლავ მოიწყონ თავიანთი ცხოვრება უსაფრთხო და ღირსეულ პირობებში.[182] მიღების სხვა ფორმები, როგორიცაა, აკადემიური

---

[180] იხ. მაგ.,*გაეროს უშიშროების საბჭო (7433-ე შეხვედრა), ღია ბრიფინგი სირიაში ჰუმანიტარული მდგომარეობის შესახებ, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის, ანტონიო გუტერესის შენიშვნები, 2015 წლის 24 აპრილი,* 2015 წლის 24 აპრილი, http://www.unhcr.org/553a3fc39.html; UNHCR, *UNHCR Chief Warns that Syria Crisis at Dangerous Tipping Point, as Humanitarian Needs Outpace Funding*, 2015 წლის 31 მარტი, http://bit.ly/1ORZD4i.

[181] იხ. მაგალითად, UNHCR, *სირიელ ლტოლვილთა ძირითადი მასპინძელი ქვეყნების მინისტერიალის საკოორდინაციო შეხვედრა იორდანიაში,* 2014 წლის 4 მაისი, http://shar.es/1anw9P

[182] გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის, ანტონიო გუტერესის განცხადებით, "(...) *ხელახალი განსახლება და ჰუმანიტარული ადმისიის სხვა პროგრამები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და, შეიძლება, სიცოცხლის გადამრჩენიც იყოს კონფლიქტით დაზარალებულთათვის სირიაში. ეს სოლიდარობის კიდევ ერთი გამოხატულებაა მასპინძელი ქვეყნებისა და თემებისათვის, რომელთა ეკონომიკაზე და საზოგადოებაზე მძიმე ზემოქმედებას ახდენს ეს საშინელი კონფლიქტი";* UNHCR, *განსახლების ახალი ადგილები სირიელი ლტოლვილებისთვის, 2014 წლის 27 ივნისი,* http://www.unhcr.org/53ad92ff6.html.

სტიპენდიები, შრომის მობილობის სქემები, ჰუმანიტარული ვიზა, ოჯახების შეერთება და თემზე ორიენტირებული კერძო სპონსორობა, დამატებითი შესაძლებლობებია ლტოლვილებისთვის, რაც დამატებითი სარგებელია ოჯახებისა და თემებისთვის, მათ შორის, რემიტენციების მეშვეობით.[183] მაგალითად, აკადემიური სტიპენდიები სწავლის გაგრძელების საშუალებას აძლევს სწავლის მსურველ ლტოლვილებს და მათაც, ვისაც სწავლის შეწყვეტა მოუხდათ. ანალოგიურად, შრომის მობილურობა ლტოლვილებს ნორმალური ცხოვრების აღდგენის საშუალებას აძლევს და ღირსეული ცხოვრების, ცხოვრების ნორმალური პირობების მიღწევისა და მათი პოტენციალის რეალიზების იმედს უსახავს. ხელახალი განსახლებისა და მიღების სხვა ფორმებს შორის დამატებითი ღონისძიებების არსებობა ლტოლვილებს უფრო საიმედო არჩევანის საშუალებას აძლევს და მათ შეუძლია ხელი შეუწყოს გრძელვადიანი გადაწყვეტების რეალიზებას.[184] UNHCR-ი იმედით უყურებს მუდმივ შეთავაზებებს, რომლებიც სოლიდარობის სხვადასხვა ფორმას გამოხატავს,[185] თუმცა დაბეჯითებით სთხოვს ამ სახელმწიფოებს, კიდევ მეტი გააკეთონ, ხოლო სხვა სახელმწიფოებს სთხოვს, შეუერთდნენ მათ ამ ძალისხმევაში,[186] რასაც მოითხოვს კრიზისის უპრეცედენტო მასშტაბები რეგიონის ცვლად გარემოებებში.

---

[183] UNHCR, *UNHCR-ი ევროპას ლტოლვლთა კრიზისის მიმართ კურსის შეცვლისკენ მოუწოდებს,* 2015 წლის 16 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/55fa85705.html; UNHCR, *სამართლებრივი გზები უსაფრთხოებისა და დაცვისაკენ, ადმისიის სხვა ფორმების მეშვეობით,* 2014 წლის 18 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/5594e5924.html.

[184] UNHCR, *UNHCR-ი ევროპას ლტოლვლთა კრიზისის მიმართ კურსის შეცვლისკენ მოუწოდებს,* 2015 წლის 16 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/55fa85705.html; UNHCR, *სამართლებრივი გზები უსაფრთხოებისა და დაცვისაკენ, ადმისიის სხვა ფორმების მეშვეობით,* 2014 წლის 18 ნოემბერი, http://www.refworld.org/docid/5594e5924.html. UNHCR, *UNHCR-ის წინადადებები ლტოლვილთა კრიზისზე ევროკავშირის რეაგირების ფონზე და ევროკავშირის პაკეტი, 2015 წლის 9 სექტემბერი,* 2015 წლის 10 სექტემბერი, გვ. 2, http://www.refworld.org/docid/55f280774.html.

[185] "*ხმელთაშუა ზღვაში გოლოდროინდელი მოვლენების შემდეგ, ხელახალი განსახლების ქვეყნებმა სირიელ ლტოლვილებს განსახლებისთვის დამატებითი ადგილი შესთავაზეს ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთი აფრიკის რეგიონში (MENA region). სირიელთა ხელახალი განსახლების შესახებ განაცხადების რაოდენობა 2015 წელს 11590 ადამიანით გაიზარდა, ანუ, 42 პროცენტით (27500-დან 35750-მდე). ეს შეთავაზებები საერთაშორისო ტვირთისა და პასუხისმგებლობის გაზიარების საშუალებაა, რომელიც მოწყვლად ლტოლვილებს იცავს შემდგომი ზიანისაგან და ცხოვრების ხელახალ მოწყობაში ეხმარება".* UNHCR, *Syrian Refugees Inter-Agency Regional Update, 2015 წლის 30 სექტემბერი,* 2015 წლის 30 სექტემბერი, http://www.refworld.org/docid/562611cf4.html.

[186] UNHCR, *სირიელი ლტოლვილები ევროპაში: რისი გაკეთება შეუძლია ევროპას დაცვისა და სოლიდარობის უზრუნველსაყოფად,* 2014 წლის 11 ივლისი, http://www.refworld.org/docid/53b69f574.html.